


მამულიძე



აკაკი
ღვალაძე

აკაკი დვალიშვილი

მამულიშვილი

თბილისი
2009

შემდგენელ-რედაქტორი

საბა მეტრეველი

პროექტის ავტორი

ეთერ კობოძე-ბუთემაიერი

ყდის დზინი

ნოდარ მალაზონიასი

წიგნის გამოცემისთვის განუული დახმარებისათვის
მადლობას ვუხდით **კარლ-გერდ ბუთემაიერს**

Für die Unterstützung bei der Veröffentlichung dieses Buches
bedanken wir uns herzlich bei Herrn **Karl-Gerd Büttemeier**

© საბა მეტრეველი, 2009

გამომცემლობა „ნეკერი“, 2009

ISBN 978-9941-404-59-7

სარჩევი

საბა მეტრეველი – შესავალი	5
აკაკი დვალიშვილი – სოციალიზმის ნანგრევებში შემ- თხვევით გადარჩენილი ქართველი კაცის ჩანაწერები	10
ნათელა ურუშაძე – რეჟისორის პროფესიიდან სახელმწიფო მოღვაწემდე	42
მედეა ჩახავა – დახვეწილი ინტელიგენტი	60
ნანა მჭედლიძე – ქართული კინოს პატრონი	61
ნინო ჩხეიძე – რჩეულთა შორის რჩეული	63
ყუყუნა დუგლაძე – ადამიანური სითბოთი და სიკეთით აღსავსე რეჟისორი	64
გიგა ლორთქიფანიძე – დიდი მოღვაწე	66
რეზო ჩხეიძე – ქრისტიანული მორალის კაცი	68
რამაზ ჩხიკვაძე – ერის ბედზე ჩაფიქრებული	70
ოთარ მეღვინეთუხუცესი – მრავალმხრივ სამაგალითო	72
ნოდარ გურაბანიძე – მოღვაწე	74
გურამ ბათიაშვილი – გამორჩეული	76
ალექსანდრე შალუტაშვილი – სულნათელი	82
ნოდარ მალაზონია – ჩემი უფროსი მეგობარი	89
ვასილ კიკნაძე – ეროვნული მოღვაწე	93
მიშა ქუთათელაძე – მოადგილეობიდან მეგობრობამდე	110
რობერტ სტურუა – ღირსეული ადამიანი	121

შესავალი

აკაკი დვალისთვის განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. თითქმის 50 წელი ემსახურა თავის ქვეყანას, ქართულ ხელოვნებას და ყველგან, ყოველ საქმეს უაღრესად მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია, რადიკალური გარდატეხა შეიტანა კულტურის განვითარებაში.

დაიბადა ქუთაისში. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (შემდეგში უნივერსიტეტი), ქიმიის ფაკულტეტზე. თეატრის სიყვარულმა თავისი გაიტანა და 1944 წელს საბუთები შეიტანა თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე. როგორ მოხდა, რომ ქიმიკოსმა კაცმა რეჟისორობა გადანწყვიტა?! ამას თავად ასე იგონებდა: „1939 წლის იანვრის არდადეგებზე ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში დავესწარი სპექტაკლ „ოტელოს“. მთავარ როლს ასრულებდა ალექსანდრე იმედაშვილი. ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა ნამდვილ და დიდ ხელოვნებასთან, რომელმაც მრავალი ასპექტით წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. საოცარი, გულში ჩამწვდომი, დამუხტული ხმა ჰქონდა ა. იმედაშვილს. მონუსხული უსმენდა მთელი დარბაზი. ქუთაისში ვცხოვრობდი და შეჩვეული ვიყავი იმერულ ინტონაციებს. ეს კაცი კი რაღაც სხვა მუსიკალურ-ფონეტიკური ჟღერადობით მეტყველებდა. ეს იყო ბრწყინვალე ქართული! კი მესმოდა, რასაც ამბობდა, მაგრამ განცვიფრებული დავრჩი, რადგან ასეთი ქართულით არც სკოლაში საუბრობდნენ ჩემი მასწავლებლები, არც ოჯახში - მშობლები და არც ნაცნობ-მეგობრები. იმასაც კარგად მივხვდი, რომ ალ. იმედაშვილი ნამდვილი ტრაგიკოსი მსახიობი იყო. მაშინ ვერ გავაცნობიერე, მაგრამ შევიგრძენი თეატრალური ხელოვნების დიდებულება.

1939 წელს ქუთაისიდან თბილისში გადმოვიდა ჩემი ოჯახი. აქ ჩავირიცხე პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტზე, რომელიც, სხვათა შორის, ფრიადზე დავამთავრე.

სკოლის პერიოდში მქონდა თეატრთან შეხების მცდელობა,

კერძოდ, ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ გვინდოდა დაგვედგა. საოცრად მიზიდავდა თეატრი, მსახიობის თეატრი. თბილისში ჩამოსულმა ვნახე სპექტაკლები მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრებში. გავიდა დრო, შემიჩნდა რალაც ჭია, რომელმაც აღარ მომასვენა. თეატრის მიმართ თანდათან სერიოზული ინტერესები გამიჩნდა. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დავამთავრე თეორიული კურსი და სანარმოო პრაქტიკაზე გამამწესეს ზაჭესში, რომლის დირექტორს ვთხოვე, ორი კვირით გამიშვი, თეატრალურ ინსტიტუტში უნდა ვცადო ჩემი ბედი, თუ გამომივიდა, ხომ კარგი, თუ არა და დავბრუნდები-მეთქი. ეს იყო 1944 წელი. შევიტანე საბუთები, გავედი გამოცდებზე, გავხდი სტუდენტი, მაგრამ სახლში არ ვამხელდი. ოჯახთან ურთიერთობის საკითხი გამირკვია ჩემმა ძმამ. მოკლედ, დავიწყე სწავლა. ჩემი კურსელები იყვნენ მიხეილ თუმანიშვილი, ასიკო გამსახურდია, გიგა ლორთქიფანიძე და მუშელ ბაბლოიანი“.

თეატრალური ინსტიტუტის დირექტორის, აკაკი ხორავას, ბრძანებით დატოვეს ინსტიტუტში რეჟისორისა და მსახიობის ოსტატობის კათედრაზე, ამავე დროს მიიღეს რუსთაველის თეატრში რეჟისორის ასისტენტის თანამდებობაზე. 14 წელი იყო კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე, მარჯანიშვილის თეატრის დირექტორი, მხატვართა კავშირის საგამოფენო კომიტეტის თავმჯდომარე, 1973 წლიდან საქართველოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე..

რუსთაველის თეატრში ა. დვალიშვილმა ექვსი წელი იმუშავა, შემდეგ მთელი სიცოცხლე ჩინოვნიკის სახელმწიფოებრივ თანამდებობებს შეაღია, მაგრამ სრულიად განსაკუთრებულია მისი ღვაწლი და ადგილი ქართული თეატრის ისტორიაში.

ა. დვალიშვილმა მესამე კურსზე დადგა თავისი პირველი სპექტაკლი ჩეხოვის „ხელის თხოვნა“. რეჟისორის პირველი მსახიობები იყვნენ ლეილა ლამბაშიძე, მერაბ თაბუკაშვილი და ფარსმან სონლულაშვილი. სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა. ეს იყო ქართულ თეატრში ა. დვალიშვილის პირველი განაცხადი. ამის შემდეგ 1949 წელს უკვე სადიპლომო ნამუშევარს წარმოადგენს, თინა დონუაშვილის „გამარჯვებულთა ღიმილი“,

ამის შემდეგ კიდევ ექვს სპექტაკლს დადგამს რუსთაველის თეატრში, ამ წარმოდგენებით ა. დვალიშვილმა ქართულ თეატრში შემოიიტანა სიმართლის სრულიად განსხვავებული გრძობა. მის სმენას არ გამოეპარებოდა არც ერთი ყალბი ინტონაცია, არაბუნებრიობა. მას არ აინტერესებდა რეჟისორული ტრიუკები, მთელი ყურადღება გადატანილი ჰქონდა მსახიობის მართალ სიტყვაზე, განცდის უშუალოებაზე, უბრალოებაზე: **„მე ყოველთვის ვესწრაფვოდი ერთ რამეს, სცენაზე მსახიობი უნდა აზროვნებდეს, უნდა ფიქრობდეს და უნდა დაიბადოს ემოცია“.**

დიდი აურზაური და სკანდალი მოჰყვა 1957 წელს ა. დვალიშვილის სპექტაკლ „ჩვენებურებს“. წარმოდგენა მზად იყო, მაგრამ პრემიერის დღე ვერ დაინიშნა, სპექტაკლის გაშვება გაჭიანურდა. სანდრო ახმეტელის შემდეგ „ჩვენებურებამდე“ რუსთაველის თეატრმა არ იცოდა, რას ნიშნავდა სპექტაკლის აკრძალვა ან შეჩერება: **„დადგმა ოთხჯერ გასინჯეს, ბოლო გასინჯვაზე მოვიდა მთელი ცენტრალური კომიტეტის ბიურო და თვით ვასილ მჟავანაძეც. საოცრად პრინციპული დამოკიდებულება იყო. ყველაფერს შელამაზებულად უყურებდნენ. ჩემს სპექტაკლში არ გაისმოდა: „დიდება პარტიას, დიდება სტალინს!“.** ეს იყო ქართული სოფელი, ქართული სული, ხასიათები, დამოკიდებულება.. ამიტომ ზოგიერთები შეშინდნენ და შვიდი კაცის ხელმწიერით წერილი გაიგზავნა უშიშროებაში, რომ რუსთაველის თეატრში კონტრრევოლუციაა. ქართულ თეატრს არ ახსოვს, რომ სპექტაკლის რეპეტიციაზე დასასწრებად მოსულიყოს კულტურის მინისტრი. ავთანდილ გუნია (მაშინდელი კულტურის მინისტრი) თავის რედაქტორებით მობრძანდა სარეპეტიციო დარბაზში. მოუსმინა სპექტაკლს, მერე მაღლობა გადაგვიხადა და წავიდა, მაგრამ სპექტაკლის გაშვება მაინც ვერ გაბედეს. ეს ჩვეულებრივი წარმოდგენა იყო და, რადგან სცენიდან არ გაისმოდა კომუნისტური იდეოლოგიური ლოზუნგები, მოეჩვენათ რაღაც ანტისაბჭოთა გამოვლენად. ვასილ მჟავანაძემ თქვა: **„ჩემზე ამ სპექტაკლმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, რა კარგი ადამიანები დადიან სცენაზე, როგორ უყვართ და პატივს სცემენ ერთმანეთს... ეს არის კარგი და ახლობელი ქართველი ხალხისა-**

თვის. აქ ცუდს ვერაფერს ვხედავ“. ასე გადარჩა „ჩვენებურები“. მისი პრემიერა 1957 წლის 7 თებერვალს შედგა. სპექტაკლში ორივე თაობა ერთ სასცენო ენაზე მეტყველებდა. არსად არც ერთი ყალბი ინტონაცია, ყველაფერი სადა და ჰარმონიული იყო. ამით აკ. დვალიშვილმა დაანგრია რუსთაველის თეატრის ჰეროიკულ-რომანტიკული ესთეტიკა. ამ სპექტაკლით ისიც ითქვა, რომ თეატრში მოვიდა და დამკვიდრდა ახალი თაობა, თავისი მხატვრული აზროვნებითა და პოზიციით.

უფრო დიდი მოულოდნელობა ა. დვალიშვილის ცხოვრებაში სპექტაკლ „ჩვენებურების“ პრემიერიდან მეთათე დღეს მოხდა. უკვე ასეთი სკანდალური რეჟისორი საქართველოს კულტურის მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშნეს. ამით დასრულდა მისი, როგორც რეჟისორის, კარიერა ქართულ თეატრში. ამავე წელს აკაკი დვალიშვილი დაქორწინდა ქართული თეატრისა და კინოს ნამდვილ ვარსკვლავზე, მარინე თბილელზე. 1957 წლიდან დაიწყო ამ ბედნიერი ქართული ოჯახის ცხოვრების ისტორია და 2002 წელს მარინე თბილელის გარდაცვალებით გასრულდა. დიდი ოჯახის დიდ თეატრალურ ტრადიციას დღეს ბაია დვალიშვილი აგრძელებს.

რთული და საინტერესო გზა განვლო აკაკი დვალიშვილმა. XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულმა კულტურულმა ცხოვრებამ მის თვალწინ, მისი ხელშეწყობით ჩაიარა, თუმცა ერთ სევდას მაინც დაატარებდა: **„დღევანდელი გადასახედიდან გული მწყდება, რომ რეჟისორობა გავცვალე სახელმწიფო მოხელის პროფესიაში, თუმცა არ ვიცი, ჩემი მხატვრული ესთეტიკა შეძლებდა თუ არა რუსთაველის თეატრში დამკვიდრებას, რადგან მას შესატყვისი დრამატურგიაც სჭირდებოდა. როგორც ჩანს, მე არც იმოდენა ნიჭი და შინაგანი პოტენცია მქონა, რომ შევჭიდებოდი და ბოლომდე გამეტანა ჩემი ესთეტიკა. ალბათ მომინევდა კომპრომისებზე წასვლა. საერთოდ, მინდოდა რუსული დრამატურგიიდან ჩეხოვი დამემკვიდრებინა ქართულ თეატრში. თუმცა ამას ძალიან დიდი პროფესიონალიზმი დასჭირდებოდა.**

მე მსახიობის თეატრის მოტრფიალე ვარ. თეატრი მსახიობის ხელოვნებაა. რეჟისორი აქ მეორე კაცია, რომელმაც უნდა შექმ-

ნას ატმოსფერო იმისათვის, რომ მსახიობმა სრულყოს თავისი შემოქმედება“.

ა. დვალიშვილის სახელს უკავშირდება თეატრალურ ინსტიტუტში კინოფაკულტეტის ჩამოყალიბება, კინომსახიობთა თეატრის დაარსება, ქართული კინოფესტივალების ჩატარება, მხატვრული გაერთიანებების შექმნა, ქართული კინოს ხელშეწყობა... მაგრამ, მიუხედავად მისი ღვაწლისა, მუდამ ჩრდილში იდგა, იცხოვრა ერთი რიგითი კაცის ცხოვრებით, უპრეტენზიოდ, ამბიციებისა და ორდენების გარეშე. ყველაფერში მაგალითის მიმცემი იყო, რადგან მისი სიცოცხლის ქვაკუთხედს ღირსება და კეთილშობილება წარმოადგენდა. 2008 წლის პირველ მაისს ცხოვრებიდან უხმაუროდ წავიდა. ჩვენ კი ერთგვარ გაკვეთილად დაგვიტოვა უბრალოების აკადემიზმი!

აკაკი დვალიშვილმა იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე შეეძლო. კომუნისტური დიქტატურის ეპოქაში ეროვნული საქმის კეთება სარისკო იყო, მაგრამ მას ეყო მოქალაქეობრივი მრწამსი, განათლება, ერუდიცია და დიპლომატია, რომ ჩინოვნიკის თანამდებობა ქართული კულტურის შესანირი ყოფილიყო.

* * *

ნიგნის დასაწყისში ვბეჭდავთ აკაკი დვალიშვილის უკანასკნელ წერილს, რომელშიც ძალიან ნათლად ვლინდება სახელმწიფოებრივი ცნობიერების მქონე მამულიშვილი, თავისი პოზიციით, ეროვნული სატკივარით, ფიქრებით ჩვენი სამშობლოს დღევანდელ დღესა და მომავალზე.

ნიგნის ბოლო ნაწილი კი დაეთმობათ აკაკი დვალიშვილის კოლეგებს, მეგობრებს – მისი გასაოცარი პიროვნული ხიბლისა და ნიჭიერების თაყვანისმცემლებს – რომლებიც ცდილობენ შეაფასონ და დააფასონ ღვაწლი და დამსახურება ქართული კულტურის ამაგდარისა.

საბა მეტრეველი

სოციალიზმის ნანგრევებში უკეთესი ბაღარჩენილი ქართველი კაცის ჩანაწერები

უვარგისი კაცი
(ნაწყვეტი)

იან ძიმ¹, ყველასათვის გასაკვირველად და მოულოდნელად, მისი ერთ-ერთი მსახური დაითხოვა. როცა მას ჰკითხეს: „ამ კაცს, რაც შენთან მუშაობს, ერთი შეცდომაც არ დაუშვია, წესიერად გემსახურებოდა, შენ კი დაითხოვე. რატომ?“ იან ძიმ მიუგო: „მე ხომ ბრძენი არა ვარ. ჩემთვის სხვა ადამიანის აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს. მე რომ შეცდომას დავუშვებ, სხვამ ხომ უნდა შეამჩნიოს და მიმითითოს. ეს კაცი სამი წელია ჩემთან მუშაობს და ერთხელაც კი არ მოუცია ჩემთვის შენიშვნა. რა, ამ ხნის განმავლობაში არაფერში შევმცდარვარ და არაფერი დამიშავებია? მაშ, რაში მჭირდება ასეთი კაცი?“

სუ დუნგ ფო

„უძველესი ჩინური თქმულებები და იგავები“,
თარგმანები დავით ხომერიკისა,
გურამ ტყაბლაძის მონაწილეობით.

მკითხველო!

ფილოსოფოს იან ძის შეგონება: „მე ხომ ბრძენი არა ვარ, ჩემთვის სხვა ადამიანის აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს. მე რომ შეცდომას დავუშვებ, სხვამ ხომ უნდა შეამჩნიოს და მიმითითოსო“ – ბიბლიური სიბრძნეა.

1 იან ძი – ხუთი მმართველის ეპოქის (ძვ. წ. აღ. 440-360 – 414-339) ცნობილი ექიმი, საზოგადო მოღვაწე და ფილოსოფოსი

* * *

16 წელია დიდი კატაკლიზმებით მიმდინარეობს თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფოს შენება.

1991-2003 წლების განმავლობაში, იმის გამო, რომ არ არსებობდა ელემენტარული პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური და ეროვნული პროგრამა, კანონის უზენაესობის გამტარებელი მკაცრი სამართლებრივი სახელმწიფოს დისციპლინა, ქვეყანა აღმოჩნდა კორუფციისა და ველური „საბაზრო ეკონომიკის“ უმართავი წნეხის ქვეშ. სწორედ ამ ვითარებამ მიიყვანა კორუფცია არნახულ აყვავებამდე, ქვეყანა – ეკონომიკურ კოლაფსამდე, ქართველი ხალხი კი – ზნეობრივ დეგრადაციამდე.

და ეს ყველაფერი მოხდა იმიტომ, რომ 13 წლის განმავლობაში ქვეყანას არ გააჩნდა სოციალისტური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ელემენტარული პროგრამა. ლოზუნგმა: „გამდიდრდით!“ ქვეყანაში ქაოსი დაამკვიდრა. უაზროდ, ბარბაროსულად დაინგრა და გროშებად გაიყიდა ქვეყნის მატერიალური და სულიერი სიმდიდრე. ამით ისარგებლა საზოგადოების მცირე ნაწილმა და უზნეოდ გამდიდრდა. დღეს კი ისინი მოლიერის „გააზნაურებული მდაბიოს“ პოზაში დგანან და მომხიბვლელად ილიმებიან.

დიახ, უაზროდ დაინგრა ქართული საბჭოთა ეკონომიკა და ეს მაშინ, როდესაც 90-იან წლებში საქართველოში წარმატებით მუშაობდა ეკონომიკის ორი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელთა მეცნიერებს, უცხოელ სპეციალისტებთან ერთად, შეეძლოთ საქართველოს ისეთი ეკონომიკური კონცეფციის შექმნა (თუნდაც არასრულყოფილისა), რომლის საფუძველზედაც შესაძლებელი გახდებოდა შედარებით მცირე დანაკარგებით გამოსვლა ამ დამანგრეველი კატაკლიზმებიდან.

ქართველ ებრაელთა ბრძნული შეგონება-წყევლა: „შენი არ იცოდდე და სხვისი არ გესმოდესო“. – ამ სენით ვართ ქართველები დაავადებულნი!

მცირე პასაჟი:

1946 წელს დასავლეთ გერმანიამ (მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნანგრევებად ქცეულმა ქვეყანამ) კანცლერად 73 წლის კონრად ადენაუერი აირჩია. პირველი გადაწყვეტილება, რომელიც ამ გამოჩენილმა პოლიტიკოსმა მიიღო, ის იყო, რომ მიიწვია იმ დროს ცნობილი ეკონომისტი ედუარდ ერჰარდი (თავისი გუნდით) და შესთავაზა: შენ და მე (და არა მე და შენ! როგორც ჩვენ მოვიქცეოდით, მკითხველო) უნდა ჩავუდგეთ სათავეში სულიერად და მატერიალურად ნანგრევებად ქცეული გერმანიის აღდგენა-აღორძინებასო.

და მართლაც, 14 წლის შემდეგ, ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური რეფორმის წყალობით, რომელიც „საბაზრო მეურნეობად“ იწოდებოდა და არა „საბაზრო ეკონომიკად“ (ამას ეკონომისტები უკეთ აგვიხსნიან) დასავლეთი გერმანია პოლიტიკურად და ეკონომიკურად ევროპის ერთ-ერთი წარმატებული სახელმწიფო გახდა. ჩვენ კი 13 წლის განმავლობაში საქართველოს მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება, განათლება, კულტურა (ყვარყვარეს ნიჭიერებით) მიწასთან გავასწორეთ და 15 წელია ვცდილობთ ამერიკელი სპეციალისტების კონსულტაციებით ქვეყნის აღორძინებას!

მე იმდენად ბრყვი არ გახლავართ, რომ ქართული სახელმწიფო, ქართველი ხალხი და მისი პრობლემები გერმანიას გავუტოლო, მაგრამ, როცა არსებობს თუნდაც ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკის უახლესი გამოცდილება, გონივრულად უნდა გამოგვეყენებინა იგი (მოდელის კოპირებით კი არა, არამედ ქვეყნის ეროვნულ-სამეცნიერო პოტენციალზე დაყრდნობით).

1995 წელს საქართველოში ამერიკის დაფინანსებით მოწვეულ იქნა პოლონელ ეკონომისტთა ჯგუფი ლემუკ ბალცეროვიჩის ხელმძღვანელობით. ბალცეროვიჩის „შოკური თერაპიის“ ეკონომიკური მოდელი გაანგარიშებული იყო პოლონეთის სახელმწიფოსა და არა საქართველოს რეალობაზე. ლიბერალურ პოლონეთში რეფორმის განხორციელებას სათავეში ედგა რეფორმის ავტორი, პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და ფინანსთა მინისტრის უფლებებით აღჭურვილი და შედეგიც წარმატებული აღმოჩნდა.

ჩვენ „შოკის“ წყალობით „კუპონი“ მივიღეთ, რომელმაც ქაოსი და არნახული ინფლაცია გამოიწვია. „თერაპიის“ შედეგად კი გროშებად გაიყიდა (პრივატიზაციის დროშის ქვეშ) ქვეყნის მატერიალური და სულიერი სიმდიდრე. სწორედ ამაზეა ნათქვამი: „არა შეჯდა მწყერი ხესა“... გაუაზრებელ-გაუთვითცნობიერებელი ეკონომიკური პოლიტიკა დღესაც წარმატებით გრძელდება.

პოლონელ ეკონომისტთა ჯგუფის ორი წლის მოღვაწეობის შემდეგ ლეშეკ ბალცეროვიჩი გაოგნებული კითხულობს: „ბატონებო! გთხოვთ, ამიხსნათ, რა ქვეყანას აშენებთ“! მაგრამ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ სიღარბაისლით, ტაქტიკითა და მომხიბვლელი ლიმილით ... „სიდუმლო“ არ გაამხილა!

ეს გრძელი შარადა იმისთვის გავიხსენე, რომ დამესვა კითხვა: 13 წლის განმავლობაში, როდესაც შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანდა, რომ ქვეყანა უფსკრულისაკენ მიექანებოდა, პარლამენტისა და ხელისუფლების პირველი გვამებიდან, სახელმწიფო მინისტრებიდან, მინისტრებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, საპარლამენტო პოზიციიდან და ოპოზიციიდან რომელიმე ერთს მაინც რატომ არ გაუჩნდა სურვილი თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის ეკონომიკური კონცეფცია-პროგრამა შეექმნა, ეხსნა ქვეყანა გაუნათლებელი, არაპროფესიონალი, ამბიციური, უზნეო, მაფიოზური, კორუმპირებული ხელისუფლებისაგან?! თუ მაინცდამაინც ისეთი რევოლუციისათვის ვემზადებოდით, რომელსაც, დარწმუნებულნი ვიყავით, მსოფლიო რეზონანსი ექნებოდა (ისევ და ისევ ქართველი კაცის არტიტული ბუნების გამოვლენის ფორმა).

* * *

„გათენდა, ცეცხლის მზე აენტო, აცურდა
დროშები ჩქარა!
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა...
დროშები ჩქარა!“

/გალაკტიონი/

2003 წლის 23 ნოემბერი – გიორგობა!

წმინდა გიორგის მადლი და ძალა ფარავდა ყველას, ვინც „სახალხო რევოლუციურ“ ტალღაზე მიხეილ სააკაშვილის თავ-კაცობით „დაბალანსების პოლიტიკის“ ავტორი ედუარდ შევარდნაძე და ეკონომიკურად გაკოტრებული, კორუმპირებული, ამორფული ხელისუფლება გააძევა მთავრობის სასახლიდან.

პრეზიდენტი გადადგა... (ამერიკისა და რუსეთის „ლოცვა-კურთხევით“, მაგრამ შორს არა ... კრწანისში!).

ვარდების რევოლუციის დროს თავისუფლებისა და სასახლის მოედანზე ვარდებისა და დოლარის სურნელი იდგა.

გაჩნდა იმედი (ღმერთმა იმედი ნუ მოგიშალოთ!).

2004 წლის 22 აპრილი, პარლამენტის პირველი სხდომა.

დარბაზში გალაკტიონის ვირტუალური ხმა გაისმა:

„რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს, ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა, შენებას!“

ღვთიური ნიჭით დაჯილდოებულმა პოეტმა იცის, რომ რევოლუციის შემდეგ იწყება შენება!

მაგრამ შენება რომ დაიწყო, უნდა იცოდე, როგორ და რას აშენებ: ნალიას, გოიმების სასახლეს (საირმის გორაზე), თუ დემოკრატიულ სახელმწიფოს?! ერთხელ კიდევ დადგა ჟამი თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფო აღმშენებლობისა!

„დასაწყისში იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი“ (იოანე 1,1).

აღთქმულ ქვეყანაში შესვლის წინ მოსემ სინას მთაზე ღვთისაგან დამოძღვრილ ათ მცნებას აზიარა ებრაელი ხალხი და დაიწყო ისუ ნავეს წინამძღოლობით ებრაელთა გასვლა იორდანეში, მათი შესვლა აღთქმულ ქვეყანაში.

ქართველი ხალხი 16 წელია მოთმინებით ელოდება საქართველოს ხელისუფლებისაგან თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს შენების „ათ მცნებას“.

დროა შევიგნოთ, სანამ საქართველოს სახელმწიფო

კანონმდებლობაში, სახელმწიფო მართვის სტრუქტურასა და თითოეული ქართველი კაცის მენტალობაში არ დაინერგება ქვეყნის აღმშენებლობის ეკონომიკური პროგრამა – კონცეფცია და ეროვნული სულიერობის აღორძინების სტრატეგიის მექანიზმი, ქვეყნის შენება არ დაიწყება.

ჩვენ ხომ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ ე. ი. ხალხის რჩეულთა გუნდმა და მისმა სახელმწიფო მმართველობამ, გონიერებამ და ძალაუფლებამ გადამწყვეტი მონაწილეობა უნდა მიიღოს როგორც აღმშენებლობაში, ისე მართვაში. ეს ბიბლიური ჭეშმარიტება ხელისუფლებამ და ქართველმა ხალხმა დღემდე ვერ გააცნობიერა.

ბატონებო! ეს გზა საქართველოს სახელმწიფომ უნდა განვლოს „დამკვრელურად“, მაგრამ დემოკრატიული ცნობიერებით.

ქართველებს, როგორც მცირერიცხოვანი ქვეყნის შვილებს, 21-ე საუკუნის მსოფლიო გლობალიზაციის პოლიტიკური, ეკონომიკური ცხრაბალიანი ტალღა ამერიკასა და რუსეთს შორის ნაფოტივით აქანავებს და, ვაითუ, ქაფსა და ჭუჭყში ჩავიძიროთ. ამიტომ საჭიროა, ქვეყანაში დამკვიდრდეს ეროვნული სახელმწიფოს შენების კონცეფცია, პროგრამა, გველის ჭკუით გააზრებული საგარეო-პოლიტიკური ვექტორი, თორემ ისტორიის მძლავრი ტალღა წალეკავს საქართველოს, მის ხალხს, მის ისტორიას და საქართველო აღმოჩნდება მსოფლიო ქვეყნების მესამე ეშელონში (მეშინია ვიკითხო: ახლა სადა ვართ?!). მაშინ კი მშვიდობით, ღვთისმშობლის წილხვედრო ქვეყანავ!

ეს ჭეშმარიტება „ვარდების რევოლუციის“ ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს. დრო აღარ ითმენს!

„მოთმინებითა შენითა მოიპოვე სასუფეველი შენი“, – გვ მოძღვრავენ ვარდებით ხელში.

„მოთმინება ძალიან კარგია, მაგრამ სიცოცხლე ხანმოკლეა“, – ბრძანებს არაბული სიბრძნე.

ბატონებო! გეკითხებით: როდესაც საქართველოს ხელისუფლება, მისი ელიტარული ნაწილი 16 წლის განმავლობაში ვერ უზრუნველყოფს პარლამენტისა და ხელისუფლების დაკვალ-

იანებას (ეროვნული რწმენით, განათლებით, ნიჭიერებით, პროფესიონალიზმით, გამოცდილებითა და ზნეობით) ვის შესჩივლოს ქართველმა ხალხმა?!... (სიმღერით, მხოლოდ PIANO)... რუსთაველი მკვდარია...“.

მე კი გლახა ჭრიაშვილივით დღესაც ხმამაღლა ვიმეორებ: საქართველო ზეციური მანანასავით ელოდება ქვეყნის აღორძინების „ათ მცნებას“. გარშემო კი, სამწუხაროდ, მხოლოდ ტამ-ფანდურის ხმა ისმის.

* * *

„კორუფციამ დაანგრია ყველა დიდი სახელმწიფო, ბაბილონიდან დანწყებული სსრკ-ს ჩათვლით“.
„ხალხის ხმის ექო“!

მკითხველო!

პარლამენტისა და მთავრობის გაერთიანებულ სხდომაზე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელისუფლების დედოფარს შემოჰკრა და გამოაცხადა ლაშქრობა კორუფციის წინააღმდეგ. ამგვარ ბრძოლაში, ვფიქრობ, არა მარტო სახელმწიფო მოხელეებში გამეფებული ქურდობის, მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას გულისხმობდა, არამედ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის თვისობრივად გარდაქმნა-გაჯანსაღებას, რამეთუ არსებული ეკონომიკურ-ფინანსური პოლიტიკიდან მომდინარეობს ყოველგვარი ბოროტება. საქართველოში კორუფცია დიდი ხანია სახელმწიფოს მართვის მექანიზმია. კორუფცია დამკვიდრდა არა მარტო სახელმწიფო სტრუქტურებსა და მართვის მექანიზმში, არამედ, რაც ყველაზე ტრაგიკულია, ეროვნულ ცნობიერებაშიც.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან (ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ) საბჭოთა პარტიულ და სახელმწიფო ხელისუფლებაში დამკვიდრდა კორუფცია, რომელმაც კულმინაციას მიაღწია ბრეჟნევისა და მიცვალებული ჩერნენკოს მმართველობის დროს. საბჭოთა კავშირი დაანგრია ნაწილობრივ სოციალისტური ეკონომიკური პოლიტიკის კრიზისმა და

სოციალისტური იდეოლოგიის უპერსპექტივობამ, არსებითად კი – კორუფციამ და ქვეყნის ხელისუფალთა ზნეობრივმა გათახსირებამ.

საბჭოთა კავშირის ცხოვრებაში კორუფციის დამკვიდრებამ უხილავი დამანგრეველი (სოციალურ-ეკონომიკური) სიმბიოზი შექმნა, რომელმაც სახელმწიფო სისტემა გააკოტრა და უდიდესი იმპერიის, სსრ კავშირის დაშლა გამოიწვია.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა კორუფციის ნიშნით, მოგეხსენებათ, მენინავეთა რიგებში იდგა და კოხტაპრუნობდა. სწორედ კორუფციის სენით დაავადებული საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, ბატონ ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით, შემართებით იწყებს თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფოს შენებას!

დამოუკიდებელ საქართველოს ისტორიულად მნიშვნელოვან ეტაპზე (1991-2003) საჭირო იყო ახალი რეალისტური სახელმწიფო-ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკა და არა სოციალისტური ეკონომიკიდან სკუპ!... სკუპ!... და ისეთი ეკონომიკის ბაღჩაში ჩახტომა, სადაც მგლის კანონი განაგებს სახელმწიფოს. ამას ჭკუა სჭირდებოდა!... საჭირო იყო ჭკვიანი ხალხის მოწვევა! მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერი ამდაგვარი არ მომხდარა.

შემდგომში საბჭოთა მენტალიტეტით დაკვალიანებული ხელისუფლება და მისი ამორფული პოლიტიკურ-ეკონომიკური პროგრამა (და მისი შედეგი – კორუფცია) ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის წარმმართველი შეიქნა.

ურჩხულმა – სოციალიზმისა და კორუფციის სიმბიოზმა – ქვეყანაში საბჭოთა საქართველოს ხალხის მიერ ათეული წლის განმავლობაში შექმნილი მატერიალური და კულტურული ფასეულობანი მიწასთან გაასწორა. საბედნიეროდ, ქართველმა ხალხმა გააცნობიერა, რომ ქვეყანა უფსკრულში მიექანება, აღდგა ხელისუფლების წინააღმდეგ და უსისხლოდ განდევნა იგი! (2003 წლის ნოემბერში მაღალმა ღმერთმა უზენაესი გონიერება მოუვლინა ქართველ ხალხს. ეს უნდა გავაცნობი-

ეროთ და გადავცეთ მომავალ თაობას).

კორუფცია ვარდების რევოლუციის შემდეგაც გრძელდება, მართალია, არა მეცხრე ტალღის სიმძლავრით, მაგრამ იოლად არ ფიქრობს პოზიციის დათმობას. თუ კორუფცია ვერ დაეძლიეთ არა მარტო სახელმწიფო სტრუქტურებში, არამედ თითოეული მოქალაქის პირადს ცხოვრებაში, საქმე წინ ვერ წავა და შეიძლება კორუფცია საბედისწერო გახდეს ქართული სახელმწიფოსათვის (კორუფცია იმდენად უნდა შეიზღუდოს, რომ ქვეყნის შენებას ხელი არ შეუშალოს, თორემ მისი საბოლოო მოსპობა ზღაპარია (ამის საუკეთესო მაგალითია მსოფლიოს დიდი და მცირე სახელმწიფოები).

როგორც მოქალაქე ვაცხადებ: ამ მხრივ ღრმა, მეცნიერულად დასაბუთებული ეროვნული, იდეოლოგიური, ეკონომიკური და სამართლებრივი ბრძოლა, სამუხაროდ, არ წარმოებს. **ეროვნული იდეოლოგიური აზროვნება არ იკითხება ეკონომიკურ პოლიტიკაში, იურისპრუდენციაში, მეცნიერებაში, განათლებაში, კულტურაში.**

მკითხველნო! ვერ ვმაღავ ჩემს გაოცებას იმ ფაქტის გამო, რომ 2003 წელს ქვეყნის ბიუჯეტის ფაქტობრივი შესრულება იყო 933 266 მლნ. ლარი. 2004 წელს კი – 1 მილიარდ 773 732 ათასი ლარი, თითქმის ორჯერ მეტი. ეს ფანტასტიკა!!!

დიახ, მკაცრმა სახელმწიფო ფინანსურმა და ადმინისტრაციულმა დისციპლინამ ბიუჯეტი გაზარდა 850 მლნ. ლარით... მაშინ, როდესაც არც ერთი ქარხანა, ფაბრიკა, საწარმოო-გაერთიანება დამატებით არ ამუშავებულა! მაშ, საიდან? – კორუფციის შეზღუდვით! სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები: მეღვინეობა, მეჩაიეობა, მარცვლეული კულტურები, მეხილეობა და მისი გადამამუშავება არ გაზარდილა! პირიქით, „საბაზრო ეკონომიკა“ ნავარდობს და იმის მაგიერ, რომ სახელმწიფომ მოახდინოს ამ რთული პროცესის გონივრული კონტროლი, დამკვირვებლის როლშია და ოლიმპიური სიმშვიდით ტკბება წარმატებებით.

სიტუაცია, რომელიც შექმნილია ქვეყნის შიგნით და გარეთ, მოგვიწოდებს, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამო-

ვუცხადოთ ყველაფრის ამის მიზეზს, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური კონცეფციის (პროგრამის) არარსებობასა და სახელმწიფო მართვის მექანიზმის უნიათობაში, სახელმწიფო მოხელეთა არაპროფესიონალიზმსა და გამოუცდელობაშია. საჭიროა ყოველდღიური ზრუნვა, რათა თვისობრივად განახლდეს სახელმწიფო მართვის მექანიზმი, რომელიც გამოიყვანს ქვეყანას უზნეობისა და კორუფციის მარნუხებიდან (მართალია, კადრების ცვლა მიმდინარეობს, მაგრამ მხოლოდ ასაკის მაჩვენებლით და არა თვისობრივი ნიშნით).

სანამ გვიანი არაა, ხელისუფლებამ უნდა შექმნას სპეციალური სახელმწიფო ორგანო, მოწვეულ იქნან ქართველი ეკონომისტები, რომლებიც ჯერ კიდევ აზროვნებენ. მოვუხმოთ უცხოეთიდან ევროპულ სპეციალისტებს (შვედეთი, შვეიცარია, ბელგია, ჰოლანდია, ავსტრია და სხვა ქვეყნის სახელმწიფო მოხელეებსა და მეცნიერებს, რომელთა აზროვნება და პრაქტიკა უახლოვდება ტერიტორიის, მოსახლეობისა და სანარმოო საშუალებათა პოტენციის მასშტაბის მხრივ საქართველოს ეკონომიკურ მონაცემებს), რომლებიც, ქვეყნის ეკონომიკის კონცეფციისა და სახელმწიფო მართვის მექანიზმის ჩამოყალიბებაში მოგვეხმარებიან (და არა ეროვნულ ფასეულობათა ამერკიულით შეცვლაში).

ყველაფერი ეროვნული აზროვნების პრიზმაში უნდა გადატყდეს. სხვაგვარად თუ გაგრძელდა, სამშობლო ხელიდან გამოგვეცლება.

მკითხველო! ამერიკის სახელმწიფო და საქართველო ორი სხვადასხვა სიდიდეა, სულით, მრწამსით, რომელთა მართვა განიხილება სახელმწიფო აზროვნების სხვადასხვა განზომილებასა და სივრცეში.

გულწრფელად უნდა მოგახსენოთ, რომ ეს პანია ქვეყანა დღეს ჯერ კიდევ ეიფორიაშია.

* * *

„კადრები წყვეტენ ყველაფერს“
(სტალინი)

მკითხველო!

ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება: თავ-
ისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს
აღმშენებლობას სჭირდება თვისობრივად ახალი კადრები –
ჭეშმარიტებაა!

მოსემ 40 წელი ატარა ეგვიპტის მონობიდან გამოყვანილი
ებრაელი ხალხი და, მაშინ გადაწყვიტა შესვლა აღთქმულ ქვეყა-
ნაში, როდესაც მხოლოდ ქაღიბი და ისუ ნავე დარჩნენ ძველთა-
გან ცოცხლები. **მონობაში გაზრდილი ხალხის სულიერობითა და
ცხოვრების წესით არ შეიძლება ახალი ქვეყნის შენება.**

შორს ნუ წავალთ. „კადრები წყვეტენ ყველაფერს“ – ამ
ლოზუნგით განაახლა საბჭოთა სახელმწიფოს პარტიულ-სა-
ხელისუფლო კადრები, დაიწყო სოციალისტური სახელმწიფოს
წარმატებული შენება და მოიგო მეორე მსოფლიო ომი იოსებ
სტალინმა. ყოფილმა სემინარიელმა კარგად იცოდა ბიბლიური
სიბრძნე.

**კადრების შერჩევის ნიჭი ადამიანის გამორჩეული თვისებაა,
რომელიც მრავალი ნიშნით ხასიათდება, მათ შორის არსებითია
განათლება, ნიჭიერება, პროფესიონალიზმი, გამოცდილება და
მოქალაქობრივი მორალი. ეს ორი უკანასკნელი – მორალი და
გამოცდილება – საძირკველია საკადრო პოლიტიკისა.**

გამოცდილება – პიროვნების მიერ ცხოვრებაში შრომითი
მოღვაწეობით შექმნილი ცოდნაა, რომელიც უმაღლესი სასწავ-
ლებლის აუდიტორიაში არ ისწავლება.

მორალი – ზნეობა, მოქალაქის რწმენაა სარწმუნოებამდე
ამაღლებული. სულიერობა, რომლის „ხატია სამშობლო და სახ-
ატე – მთელი ქვეყანა“.

გამოცდილებისა და ზნეობის გამორიცხვა ქვეყნის საკადრო
პოლიტიკაში კატეგორიულად დაუშვებელია, საბედისწერო

შეცდომაა.

მიემართოთ რამდენიმე წყაროს „გამოცდილებისა“ და „მორალის“ („ზნეობის“) დასახასიათებლად:

- გამოცდილი – რჩეული, ხალასი, მცოდნე, მარჯვე;
- ვითარცა ვერცხლი... გამოცდილი, განწმენდილი მინით შვიდნილად“ (ფს. 11,7).
 - „მისცა მას ოქრო და გამოცდილსა სასწორი უჩვენა“ (ილია აბულაძე, „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“);
 - „ოჰ, რამდენი გამოცდილება მაკლია ჯერ კიდევ მე, მე საცოდავსა“ (ვაჟა-ფშაველა);
 - „რეგვენი ბრძენზე ბრძენია, რაშიაც გამოცდილია“ (ხალხური ანდაზა).

მორალი – ლათ. მორალის – ზნეობა. „საზოგადოებრივი ცნობიერებისა და სულიერი კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმა. მისი უმაღლესი იდეალია ჭეშმარიტების, მშვენიერებისა და სიკეთის სამსახური: მისი უმაღლესი ბედნიერებაა ბრძოლა და წარმატება უმაღლეს ღირსებათა მიღწევის გზაზე“ (ქართული ენციკლოპედია. გ. ბანძელაძე).

ეს ციტატები აქ იმიტომ მოვიშველიე, რომ შემფოთებას იწვევს ხელისუფლების ტენდენცია და უხეში შეცდომები კადრების შერჩევის საქმეში, რამაც შეიძლება გამოუსწორებელი გავლენა იქონიოს ქვეყნის აღმშენებლობაზე და ხვალინდელი დღის რწმენა დაუკარგოს ხალხს.

კადრების შერჩევის ნიჭით ყველა ხელისუფალი არ არის დაჯილდოებული, ამიტომ საჭიროა შეიქმნას მაღალი ინტელექტის, მორალისა და გამოცდილების სახელმწიფო ორგანო, რომელიც ინტენსიურად იმუშავებს საკადრო საკითხებზე და უზრუნველყოფს ხელისუფლებას განათლებული, ნიჭიერი, პროფესიონალი, გამოცდილებისა და მაღალი ზნეობის კადრებით (მაგალითი აიღეთ ამერიკის შეერთებული შტატების კანცელარიის სტრუქტურიდან).

დანტეს აქვს ნათქვამი: „თვალეზი სულის სარკეა“, ამ სარკეში ჩახედვასა და სახელმწიფო მოხელის თვისებების ამოკითხვას განსაკუთრებული ნიჭი სჭირდება. ამ ნიჭით იშ-

ვიათად არის ადამიანი დაჯილდოებული (როგორც ჩანს, არც დღევანდელი ხელისუფლება).

საოცარია, რამდენი დანიშნული და შემდეგ გათავისუფლებული გუბერნატორი, რწმუნებული, მინისტრი, მერი თუ სხვა თანამდებობის პირი უაზრო თხის თვალების გამოხედვით იყო დამშვენებული. ქვეყანაში ავრცელებენ ხმებს, რომ ქვეყნის საკადრო პოლიტიკაში პარტიულობას (იგულისხმებინან ნაციონალები) გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მაშინ რას ქილიკობთ კომუნისტების საკადრო პოლიტიკაზე?!

კიდევ ერთი არსებითი თვისება, რომელიც პირადი მაგალითის ჩვენებით უნდა დამკვიდრდეს ერის სულიერ ცხოვრებაში, ქართველი კაცის ხასიათში:

ცნობილია, რომ ფოთში ნიკო ნიკოლაძესთან თხოვნით ჩავიდა ქალაქ ქუთაისის თავადაზნაურთა დელეგაცია. ბატონ ნიკო ნიკოლაძეს სთხოვეს დასთანხმებულიყო და კენჭი ეყარა ქუთაისის ქალაქის თავის თანამდებობაზე. ნიკო ნიკოლაძემ თურმე ბოდიში მოიხადა და მოკრძალებული უარი მოახსენა. საფუძველი: მართალია, იგი ქალაქ ფოთის ხელმძღვანელობას თავს ართმევს, მაგრამ ქუთაისი დიდი ქალაქია! ქალაქს მალაღლი ეროვნული მისია აკისრია და იგი მის გაძღოლას ვერ შეძლებს. ეს თვისება დღეს ჩვენში აღარ არსებობს.

* * *

„ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ორივე ქურდია“.

(ხალხური სამართალი)

(ცნობისათვის: „ქურდი“ მეგრულად „მახინჯს“ ნიშნავს).

„ხელისუფლებამ ამ დღეებში წამოიწყო პოლიტიკური პროექტი, რომელიც მის ინიციატივთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. ეს არის ბრძოლა ქურდულ სამყაროსთან და ციხეებზე კონტროლის გაძლიერება“.

(გაზეთი „24 საათი“).

დიდი სურვილი მაქვს დავიჯერო, რომ ხელისუფლება შეძლებს ციხეში და მის გარეთ ქურდებისა და მათ მფარველთა

დამორჩილებას და მკაცრი სამართლებრივი წესრიგის დამყარებას.

ქურდობის სენი კაცობრიობის ისტორიის თანამგზავრია. როგორც კათოლიკური ლეგენდა მოგვითხრობს, ქრისტეს ჯვარცმის დროს ქურდმა მეოთხე სამსჭვალის მოიპარა. ამიტომ ქრისტე სამი სამსჭვალითაა ჯვარცმული.

როცა ქვეყანა, მისი საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრება მოუწესრიგებელია, ამ დროს აღზევდება ქურდული სამყარო, რაც ცუდ იმიჯსა და მომავალს უქმნის მას.

რაც გნებავთ თქვით და, როცა სახლში შვილები და მოხუცი მშობლები შიმშილით იტანჯებიან და ამ დროს სასოვნარკვეთილებში ჩავარდნილი კაცი თუ ქალი კანონის აკრძალულ ქმედებას ჩადის, მე ამას ქურდობას ვერ ვუნოდებ! უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ დროს თვითონ ქვეყანა და მისი ხელისუფლება არის ქურდი და ყაჩაღი.

ერთხელაც პარლამენტის თამჯდომარემ პარლამენტის რიგით სხდომაზე რომ განაცხადოს: ხელი ასწიეთ, ვისაც ნემსი არ მოგიპარავთო, ღმერთო, მაპატიე, მაგრამ, თუ სინდისი არ დაგვიკარგავს, ხელს ვერავინ ასწევს.

მაინც რა ცოდვა გვაქვს ასეთი, რომ, ფარული კამერის, ხმის ჩანერის არსებობისა და დასმენის ინსტიტუტის შემოღების მიუხედავად, თანამდებობის პირები თავს ვერ იკავებენ ქრთამისაგან, გამოძალვისაგან, შეწერილი თანხებისაგან, ნილში ჩაჯდომისა და სხვა „უალრესად რაფინირებული“ ქურდული მეთოდებისაგან. არადა, ხაზინის ქურდები დიდად ამუხრუჭებენ ჩვენი საზოგადოების, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

ქურდობა შეიძლება საბედისწერო სენი გახდეს (ქათმის გრიპივით!) ჩვენი ქვეყნისათვის. ქურდობის, ყაჩაღობის, აფიორისა და სხვა მსგავსი ქმედების 80% ოჯახის უკიდურესი სიღარიბის გამო ხდება. ამიტომ, სანამ არ აღმოიფხვრება ლუკმაპურისა და პირველადი მოთხოვნილების დაკმაყოფილების პრობლემა – ციხე და კოლონიის რეჟიმი ვერ აღმოიფხვრის ქურდობას (როგორი კომფორტაბელური ციხეები და კოლონიებიც არ უნდა ავაშენოთ). ამიტომ ხელისუფლების ზრუნვის

უპირველესი საგანი უნდა გახდეს ხალხის დასაქმება. შრომა ყველაზე დიდი მკურნალია ქურდობის სენისა. შესაბამისად, ხელისუფლებამ მთელი მონდომებით უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ქვეყანაში აშენდეს ფაბრიკა-ქარხნები, სოფლად გლეხმა ირწმუნოს შრომის ნაყოფის ძალა.

რა უნდა გითხრათ, რით განუგეშოთ, როდესაც ხელისუფლებას ხალხის ანაბრების ქურდების მიმართ ტაბუ აქვს დადებული?! ... მე უარს ვამბობ პირად ანაბარზე რიცხულ ცხრა ათას მანეთზე, ოღონდ სიმართლე ითქვას – ვინ „გააიმასქნა“ ეს ფული?! ხელისუფლება ნილშია ქურდებთან?! მამ, სხვაგვარად როგორ ავხსნათ ქურდების მფარველობა?! საზოგადოების ზნეობრივი დეგრადაცია და მოქალაქეთა ქურდული მენტალიტეტით ზომბირება – ეს კორუფციის ზეობის ნყალობაა, რომელიც ჯერ კიდევ ცუდად არ გრძნობს თავს.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის (ხალხის) სულიერი ამაღლება და ზნეობრივი გაჯანსაღება კუს ნაბიჯით მიიზღაზნება. ეს ბრძოლა ქართულ ზღაპარში გველემშაპთან ბრძოლას ჰგავს – ერთ თავს რომ მოჰკვეთ, მის ადგილზე ცხრა ამოდის.

თუ მართლა სიკეთე გვინდა, საჭიროა შევებრძოლოთ მიზეზს, რომელიც ადამიანის, საზოგადოებისა და ერის ზნეობაში მძიმე სენის სახით არის გავრცელებული.

ქართველ ხალხს უთქვამს: „ოჯახი ერის აკვანიაო“. სწორედ ოჯახიდან უნდა დაიწყოს პიროვნების ზნეობრივი აღზრდა: შემდეგ სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, პროფესიული დაოსტატება, შრომის კულტურის გათავისება.

ზნეობა – სოციალური პროგრესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და იგი გულისხმობს ადამიანთა შორის სოლიდარობასა და თანაგრძნობას.

საზოგადოებრივი ზნეობის დამკვიდრება სახელმწიფო იდეოლოგიური ინსტიტუტების ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

ზნეობის უპირველესი მაგალითია ოჯახი, საზოგადოება და სახელმწიფოს უმაღლეს ხელისუფალთა პირადი ცხოვრება და მოღვაწეობა.

ბატონო პრეზიდენტო, პარლამენტის თავმჯდომარეე და

პრემიერ-მინისტრო, პარლამენტარებო, მინისტრებო! დღეს თქვენ ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალნი ბრძანდებით. ქართველი ხალხი და ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქე მთელი გულისხმიერებით ადევნებს თვალს არა მარტო თქვენს სახელწიფო მოღვაწეობას, არამედ თქვენს პირადს ცხოვრებასაც.

თქვენი პირადი ცხოვრების კამერტონი გარკვეულ ტონალობას ქმნის საზოგადოების ზნეობრივ სამყაროში. იგივე ეხება თქვენს ოჯახსაც, რადგან, მოგესხენებათ, ოჯახი სახელმწიფოა სახელმწიფოში. ამიტომ უმაღლესი ზნეობრივი პასუხისმგებლობაა საჭირო ქვეყნის სამსახურში, რამეთუ ერის ჯადოსნური სარკე ასახავს არა მარტო ავსა და კარგს, არამედ იმას, რაც ჩვეულებრივი თვალთ არ ჩანს და ყურით არ ისმინება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თქვენი და თქვენი ოჯახის წარმატებით კმაყოფილი არა ხართ და ცდილობთ მის სრულყოფას.

დაე, თქვენი ზნეობრივი სახე და ზნეობრივი ცხოვრება იყოს დიდი მაგალითი და დიდი იმედი ჩვენი სამშობლოსათვის!

* * *

„გაეროს დემოგრაფიის დეპარტამენტის მონაცემებით საქართველო შატანილია დემოგრაფიული თვალსაზრისით 50 სახელმწიფოს ნუსხაში.

(2005 წლის 27 დეკემბერი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“)

გაოგნებული ვკითხულობდი, არაფერი მესმოდა... საქმე რომ ცუდად იყო ვიცოდი, მაგრამ ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო თუ უფსკრულის პირას იდგა, ეს არ მქონდა ბოლომდე გაცნობიერებული. როგორც ჩანს, დადგა ჩვენი ტანჯული სამშობლოს ყოფნა-არყოფნის დღე.

ამ ფიქრებში ვიყავი, როდესაც მსხვილი ხედით მეხსიერებიდან ამოტივტივდა წარწერა – ჟინვალის საფლავის ქვაზე ამოკვეთილი (რომელიც დუშეთის სამხარეო მუზეუმის ექსპოზიციაში არის გამოფენილი):

„ჩემს მშობლებს თვრამეტი ქალ-ვაჟი ჰყავდათ. მე საქართველოს ცხრამეტი შვილს ვუტოვებ, თქვენ?!“ (ასინეთ შავერზაშვილი).

შენ, აკაკი დვალიშვილო, ერთ ქალს!

შენ, ბატონო პრეზიდენტო, მიხეილ სააკაშვილო, ორ ვაჟს!

შენ, პარლამენტის თავმჯდომარე, ქალბატონო ნინო ბურჯანაძე, – ორ ვაჟს!

შენ, ბატონო პრემიერ მინისტრო, ზურაბ ნოლაიდელო – ორ ვაჟს!

შენ, მკითხველო?!..

თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს შენებაზე პრეტენზია გვაქვს. ბატონებო, ვკადნიერდები და გეკითხებით: ვისი ხელით ვაშენოთ?!

ქართველო ხალხო, გამოფხიზლდი! დემოკრატიულ ქვეყნის შენების პოლიტიკა, საბაზრო ეკონომიკა, მსოფლიო პოლიტიკური ორიენტაციები: ამერიკული, დასავლეთ-ევროპული, რუსული ... ყველაფერი ბითურობაა! ... ჩვენი სამშობლოს თავზე მეხი გავარდა, ჩვენ კი არაფერი გვესმის ... არხეინად ვართ.

მამიდაჩემს, პელაგია დვალიშვილ-კოხობძეს, შვიდი შვილი ჰყავდა. ზაფხულში, არდადეგებზე, მეც ვემატებოდი და სამზადის სახლში, ჩრდილოეთის კედელთან გამართულ სკამლოგინზე რვა ბავშვი თოჯინებივით ვიყავით ჩარიგებული. დილით უფროს ვაჟები ყანაში სამუშაოდ მიდიოდნენ, მე და ყიჟიკოს სამწყემსურში საქონელი მიგვყავდა. „ჭინჭის“ ჩანთაში კეცზე არეკილი ორი მჭადი იყო ჩადებული და ლელვის ფოთოლში გახვეული ქვიჯაში დანაყილი „საკმაზი“. შეჭამანდი – სოკო და ნაბლი – ტყეში და ყანაში უნდა მოგვეძია. კაკალი, თხილი, პანტა ვაშლი, ხეჭეჭური მსხალი და ზღმარტლი გამოუღვეველი იყო.

21-ე საუკუნის ცივილიზაციის აღზევების პირობებში საბჭოთა საქართველოს მიერ განებივრებული ქართველი კაცისათვის ეს „მენიუ“ საკმარისი არ აღმოჩნდა, ამიტომ დღევანდელი

სოფლისა და ქალაქის მოსახლეობამ ევროპისა და ამერიკის კონტინენტებს მიაშურა, მონობა ნებაყოფლობით აირჩია! უკან დაბრუნებას არ აპირებს, მიუხედავად ორმაგი მოქალაქეობის კანონისა.

რა ხდება?! ქვეყანას პატრონი არ ჰყავს, თუ სამშობლო აღარ გვაქვს?! ობლები ვართ?!

მკითხველო, ჩვენი სამშობლოს წინაშე დადგა შექსპირისეული „ყოფნა ... არყოფნა!“ ამ მარდიულ კითხვას პასუხი გასცეს ასინეთ შავერზაშვილმა, პელაგია დვალიშვილმა და ბევრმა ქართველმა დედაკაცმა, რომელთა წყალობით დღემდე მოვალნიეთ.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დღესაც საქართველოში არსებობენ ღირსეული დედები, რომელთა მიმართ სახელმწიფოებრივი ზრუნვა რეალურ საფუძველს მისცემს საქართველოს. კვლავ მოევლინოს ასინეთი, პელაგია, თამარი, ნინო, ეკვირინე და მრავალი სხვა – ათეულობით, ასეულობით, ათასეულობით და ასიათასობით, რათა გამრავლდეს საქართველო და გადარჩეს იგი დემოგრაფიული სიკვდილისაგან. გეკითხებით: რას აკეთებს საქართველოს ხელისუფლება დღეს ყოფნა-არყოფნის რუბიკონი რომ გადალახოს?!

მე მგონი, ძალიან ცოტას და, თუ მაინც რაიმე კეთდება, ეს მხოლოდ ფორმალური ვალის მოხდის მიზნით. მიზანდასახული სახელმწიფო პროგრამა არ არსებობს და კიდევ: მაშინ, როდესაც საქართველოდან ერთ მილიონზე მეტი მოქალაქეა გასული, აი, რას იწერებიან აჭარიდან: „სამუშაოს მაძიებლები თურქეთში მასობრივად გადიან“. ბათუმში სასტუმრო „ინტურისტის“ გახსნის დროს პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა: „ამ მშენებლობის ფონზე ბათუმში უმუშევარ კაცს ვერ ნახავთ“.

ამავდროულად, სარფის საბაჟოზე თურქეთის რესპუბლიკაში სამუშაოდ მიმავალი ქართველების რიცხვი დღითი დღე იზრდება. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მონაცემებით, დღე-ღამის განმავლობაში თურქეთის მიმართულებით სახელმწიფო საზღვარს 4 ათასამდე საქართველოს მოქალაქე

კვეთს. ამ ადამიანთა დიდი ნაწილი თურქეთში სამუშაოდ მიდის (ემზარ დიასამიძე – ბათუმი, 2 ივნისი, 2006 წ. გაზეთი „24“ საათი“).

90-იანი წლების მონაცემებით საქართველოში 3,5 მილიონი ქართველი ცხოვრობდა. არაოფიციალური მონაცემებით უკვე 1 მილიონი ქართველი გასულია საქართველოდან ლუკმაპურის საშოვნელად. დღეს საქართველოში ცხოვრობს 2,5 მილიონი ეროვნებით ქართველი. არაოფიციალური მონაცემებით 250,000 ნარკომანია. $2,500000 : 250,000 = 10$. გამოდის, რომ ყოველი მე-10 ნარკომანია?!

ღმერთო! რა ცოდვა მიგვიძღვის ასეთი შენ წინაშე, რომ ასე სასტიკად გვსჯი?!

დღევანდელ ხელისუფლებას გაცნობიერებული აქვს, რას ნიშნავს ყოველი მე-10 მოქალაქე ნარკომანი?!

გამოფხიზლდი, ქართველო, თორემ საქმე ისე მიდის, რომ რამდენიმე წლის შემდეგ სამშობლო ხელიდან გამოგეცლება. ჩვენს ლამაზ, სიუხვითა და მაღლით საგვს მიწაზე მოსახლეობის უმრავლესობა სხვა ეროვნებისა იქნება.

მხოლოდ ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის თანხლებით ქართველი გიჟვრაცუა თამადა ისევ იცბედებს თავისუფალ, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოს წარმატებებზე. **დღეს ხელისუფლების პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური ვექტორი უნდა იქნეს უშეცდომოდ მიმართული დემოგრაფიის, ნარკომანიისა და მიგრაციის წინააღმდეგ. ამაზე საღმრთო ეროვნული მისია საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნია.** თორემ აღსრულდება გაეროს დემოგრაფიის დეპარტამენტის წინასწარმეტველება – საქართველოში 2050 წელს მოსახლეობა ერთ მილიონამდე შემცირდება.

(ძალიან გაფუტიე, მაგრამ რა ვქნა! ცრემლები მახრჩობს, სიკვდილისთვის არ მემეტება ჩვენი სამშობლო – საქართველო).

ამ დროს კი მიდის პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე ამორფული ბურჟალობა (ბოდის ვიხდი ამ სიტყვისთვის). მე სხვას ვერაფერს ვუნოდებ იმას, რაც პარლამენტში, პარლა-

მენტს გარეთ და მთავრობის სხდომებზე ხდება.

ქვეყნისათვის ამ საბედისწერო დროს, როცა საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას, გაისმის ასეთი ხმამაღალი, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ლოზუნგები ...

- ჩვენ, ქართველები, მსოფლიოში ყველაზე მაგრები ვართ!
- ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ ქვეყანას, რომელიც ევროპაში შუქურად ანათებს!
- საქართველოს მტრებს სურთ ჩვენი განადგურება, გვინცობენ ეკონომიკურ დივერსიებსა და ემბარგოს, მაგრამ ვერაფერს გახდებიან!
- არ არსებობს სიძნელე, რომელსაც ჩვენ ვერ დავძლევთ!
- არ არსებობს ბაზარი, რომელსაც ჩვენ ვერ მოვიპოვებთ!
- არ არსებობს კონკურენცია, რომელსაც ჩვენ ვერ გავუძლებთ!

(გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 12 მაისი, 2006 წელი).

არადა, საქართველოში კიდით კიდემდე გაისმის გულისგამანვრილებელი და შემადრწუნებელი: გვშია, ... გვწყურია. ... არ გვაცვია. ... არ გვახურავს.

ნუთუ სასონარკვეთილ ადამიანთა ეს ხმა თქვენს ყურს არ სწვდება, ბატონებო?!

* * *

თავისუფლების, ერთობისა და თანასწორობის წმინდა სანთელი ყოველთვის ერთო ქართველი კაცის სულში, მაგრამ საქართველოს სახელმწიფო ცნობიერებას „სამების“ წმინდა სანთელი გზას არ უნათებდა.

ბატონებო! მოგეხსენებათ, საქართველო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ფეოდალური სამთავროების „ერთობა“ იყო. ერთი მთლიანი, განუყოფელი, მონარქიული სახელმწიფო მხოლოდ დავით აღმაშენებლისა და თამარის მეფობის დროს გვექონდა.

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით აღესრულა ქართლ-

კახეთის სამეფო და დაიწყო რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია.

1801-1917 წწ.-ში – საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ორი გუბერნიის სახით იყო წარმოდგენილი.

რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკა – ქართველი ერის რუსიფიკაციაა.

1918-1921 წწ. – დამოუკიდებელი „საქართველოს რესპუბლიკის“ ვირტუალური სამი წელი.

1921-1990 წწ. – დედამიწის ერთ მეექვსედზე საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო და მასში შემავალი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (სოციალიზმის შენების 70 წელი).

ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების იდეა არ შედეგა! საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები „დიდი რუსი ხალხის წინამძღოლობით“, მზად არ აღმოჩნდა სოციალიზმის იდეების დამკვიდრებისათვის. იმის მაგიერ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს სოციალიზმის მოძღვრება აღმშენებლობის იდეად, რწმენად გაეხადა, პროლეტარიატის სისხლიანი დიქტატურა პარტიის იდეოლოგიად გამოაცხადა. ეს ეპოქალური შეცდომა რუსულმა (რუსის) თვითმპყრობელურმა ეროვნულმა სულმა განაპირობა.

მოგეხსენებათ, კ. მარქსმა თავისი ცხოვრების ბოლო წლებში რუსული ენის შესწავლა დაიწყო. გასაგებია, მას სურდა რუსული ფენომენი გაეცნობიერებინა. კარლ მარქსი ასეთ ჩანაწერს აკეთებს: „ორასწლიანი მონღოლების ბატონობის შემდეგ რუსეთი თვითონ ხდება დამპყრობელი“.² ჩვენ კი ნახევრად სულელი რუსი გენერლების ყეფა გვიკვირს (ბაჩანა ბრეგვაძის ბოლო წლების ჩანაწერებიდან).

საბჭოთა კავშირში მიმდინარე კატაკლიზმების საფუძველზე საქართველოს, მის ხალხს მოსთხოვო მაღალი მოქალაქეობრივი და ეროვნული შეგნება, დაფუძნებული დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის გამოცდილებაზე, სხვა რომ

2 Великорусь "Мечтал целое утро о покорение Кавказа" - ჩაუწერია თავის დღიურში (29. I. 1852) ახალგაზრდა ოფიცერს, ლევ ტოლსტოის!

არაფერი ვთქვათ, უაზრობაა.

ბატონებო! 1990 წელს ქართველი ხალხი და მისი ელიტარული ნაწილი, ბუნებრივია, არ აღმოჩნდა მზად იმისათვის, რომ საძირკველი ჩაეყარა თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოსათვის.

მეორედ (ისტორიის მოკლე მანძილზე) ხონჩით მორთმეული დამოუკიდებლობა, მართალია, ზარ-ზეიმით გამოვაცხადეთ, მაგრამ ქვეყნის შენება ვერ შევძელით.

დაიწყო საბჭოთა საქართველოს დატოვებული მატერიალური და სულიერი საგანძურის წარმატებული ნგრევა და ძარცვა, რაც ახლაც წარმატებით გრძელდება.

ქართველი ხალხის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ეროვნულ-მოქალაქეობრივი ნდობა გამოუცხადა 1990, 1992, 1997 წლებში პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნებს და ამით დიდი ისტორიული მისია დააკისრა ხელისუფლებას – ააღორძინოს საუკუნეების განმავლობაში შელახული ეროვნული ღირსება და დაამკვიდროს საუკუნეების მანძილზე არშემდგარი სახელმწიფოებრიობა!

კაცობრიობის ისტორიის გამოცდილება გვასწავლის, რომ სახელმწიფო აღმშენებლობის საფუძველი – საკრალური „სამეზაა“: თავისუფლება, თანასწორობა, ეროვნული ერთობა ეფუძნება სარწმუნოებრივად ამაღლებულ ზნეობას, ქვეყნისა და ხალხის ისტორიულ გამოცდილებას.

თუ „სამეზის“ ცნება ქვეყნისა და ხალხის ცხოვრების წესად იქცევა, „სამეზის“ უზენაესი ძალა ქვეყნის შენების რწმენით ერთარსებად შეკრავს ხალხს.

ქართველი ხალხის მენტალობაში და ისტორიულად მისი ცხოვრების წესში დამკვიდრებულია თავისუფლების, თანასწორობის, ტოლერანტობის ეროვნული ურთიერთობის ღვთიური საკაცობრიო იდეა. ისმის კითხვა: ქართველი ხალხი დღეს მზად არის კი ცხოვრებაში დაამკვიდროს თავისუფლების, თანასწორობის და ეროვნული ერთობის ღვთაებრივი იდეა და დაიწყოს დემოკრატიული ქვეყნის შენება?! – ეს საკრალური კითხვაა, რომელიც პასუხს მოითხოვს!

დავინწყით საკრალური სამების პირველი ცნებით:

თავისუფლება!

„თავისუფლებისთვის გაგვათავისუფლა ქრისტემ. მაშ, იდეით და ნულარ შეუდგებით მონობის უღელს“ (გალატ. 5,1).

„თავისუფლება თვითშეზღუდვის დიდი ნაყოფია“ (ფილოსოფოსი ეპიკურე).

„თავისუფლება – ეს პასუხისმგებლობაა“ (ჟან პოლ სარტრი).

„თავისუფლებით სარგებლობის უნარი ყველას როდი შესწევს“ (პოლ ვალერი).

„თავისუფლება არის უმაღლესი მადლი, ვითარცა შემოქმედება, აზროვნება, ქმნა, ძიება, მიღწევა და აღტაცება, მაგრამ ბოროტებასთან ბრძოლით „ანუ ტანჯვის გზით სიარული“ (ლუდვიგ ფოიერბახი).

თავისუფლება მოქალაქის სულიერების უზენაესი წესრიგია, გამოხატვის ფორმაა, ხელისუფლება კი მისი რეალიზატორია.

თუ საქართველოს ისტორიას ობიექტურად და არა „ადვოკატური გამოსარჩლებით“ (ივ. ჯავახიშვილი) გადავიკითხავთ, დავრწმუნდებით, რომ თავისუფლება ქართველი ხალხის ცხოვრების წესი არასოდეს ყოფილა! მართალია, თავისუფლების სანთელი ყოველთვის ენთო ქართველი კაცის სულში, მაგრამ საქართველოს სახელმწიფოებრივ ცნობიერებას თავისუფლების სანთელი გზას არ უნათებდა. თავისუფლებას ქართველი ხალხი დღესაც დიდი ტკივილის ფასად აცნობიერებს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დადგება დრო, როცა მას გაითავისებს.

ერთობა, ეროვნული ერთობა!

„ხოლო მე შეგაგონებთ, ძმანო ჩვენო, უფლისა იესო ქრისტეს სახელით, რომ ყველანი ამბობდეთ ერთსა და იმავეს და არა იყოს თქვენში განხეთქილება, არამედ გაერთიანებული იყოთ გონით და აზრით“ (1 კორინთ. 1,1).

საქართველოს ხანგრძლივი ისტორია ვერ დაიკვეხნის ეროვნული ერთობით. „ძალა ერთობაშია“ – სულხან-საბა ორბელიანის ეს სახელმწიფოებრივი სიბრძნე ქართველ ხალხს მხოლოდ იგავ-არაკებში აქვს გაცნობიერებული. ყოველ შემთხ-

ვევაში, 1991-2006 წლებში საქართველოს სახელმწიფო აღმშენებლობისათვის ბრძოლაში ქართველი ხალხის რჩეულთ არ აღმოაჩნდათ ნებისყოფა, სიბრძნე და ზნეობა გაცნობიერებინათ, რომ ძალა, მართლაც, ერთობაშია.

1991 წელს ეროვნული ერთობის უზენაეს ცნებას ქართველმა ტყვიამ ესროლა, სულში ჩააფურთხა. ერი გაიხლიჩა. ჭრილობა დღემდე ღიაა.

თანასწორობა!

„იესომ კი მოიხმომო ისინი და უთხრა: თქვენ იცით, რომ წარმართთა მთავარნი ბატონობენ მასზე და დიდებულნი ძალაუფლებას იყენებენ მათზე, მაგრამ თქვენ შორის არა ასე, არამედ რომელსაც თქვენ შორის სურს დიდი იყოს, ის იყოს თქვენი მსახური და, რომელსაც თქვენ შორის სურს პირველი იყოს, ის იყოს თქვენი მონა. ისევე, როგორც ძე კაცისა არ მოსულა იმისათვის, რომ ემსახურონ, არამედ (თვითონ) მოემსახუროს და მისცეს თავისი სული მრავალთა გამოსახსნელად“ (მათეს სახარება).

პოლიტიკურ-ეკონომიკურ აზროვნებაში თანასწორობა არითმეტიკული ტოლობის ცნება არ გახლავთ. იგი დიფერენცირებულია განათლების, ნიჭიერების, პროფესიონალიზმისა და მალალი ზნეობის ნიშნით.

1991-2003 წლებში თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში თანასწორობა ცინიზმის საგანი გახდა და დღესაც მის გაგონებაზე ქართველი კაცი ღიმილს შემოგაგებებს.

1991-2006 წლებში საკრალური „სამება“ – თავისუფლება, ერთობა, თანასწორობა, როგორც საქართველოს სახელმწიფო შინების იდეა და საძირკველი, არ შედგა.

მკითხველო! ქართველმა ხალხმა უნდა გააცნობიეროს „სამების“ საკრალური ძალა, შემდეგ კი წესად აქციოს თავისუფლების, ერთობისა და თანასწორობის რწმენით ცხოვრება. ეს არის დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების გრძელვადიანი სტრატეგია, ეს არის გენეტიკის გაჯანსაღებისა და ერის აღზრდის ზეამოცანა. „სამების“ იდეას სჭირდება სახელმწიფო დონეზე დამკვიდრება, კოორდინირება და ხელმძღვანელობა.

დიახ, საჭიროა იდეოლოგია, ანუ „სისტემა პოლიტიკური,

სამართლებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, რელიგიური, ფილოსოფიური შეხედულებებისა და იდეებისა“ (ფილოსოფიური ლექსიკონი).

15 წელია დამოუკიდებელი საქართველო არსებობს და იდეოლოგია, როგორც სახელმწიფო შენების საძირკველი და ქართველი ხალხის სულიერობის მრწამსი, ქვეყნის, საზოგადოებრივი ცხოვრების ზრუნვის საგანი არ გამხდარა.

ჩვენ ხომ დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება გვსურს ე. ი. დემოსმა, ანუ განათლებულმა, მაღალი ზნეობითა და სახელმწიფო მართვის ნიჭიერებით დაჯილდოებულმა ქვეყნის რჩეულმა მოქალაქეებმა უნდა აიღონ ძალაუფლება და გადამწყვეტი მონაწილეობა მიიღონ როგორც აღმშენებლობაში, ისე – მართვაში.

ამისათვის საჭიროა ქართველი ხალხი სულიერად და ინტელექტუალურად გათვითცნობიერებული იყოს ქვეყნის შენების იდეაში ე. ი. იდეოლოგიაში.

კოლხთა ოქროს სანმისი იყო ტყავზე ნანერი წიგნი „შემცველი იმისა, თუ ვით უნდა გაკეთდეს ოქრო“ (იოანე ანტიოქიელი, ბერძენი ისტორიკოსი).

ბატონებო! არ გთხოვთ ვეფხვის ტყავზე ლამაზი კალიგრაფიისა და მხატვრული თავსართით შესრულებულ ეტრატს.

თექვსმეტი გამარჯვება ხომ დაბეჭდეთ და დაურიგეთ მთელ საქართველოს?! თანახმა ვარ, ასეთ პოლიგრაფიულ დონეზე დაიბეჭდოს საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრამა, ქვეყნის შენების კრედო – კონცეფცია.

* * *

„მე პატივს ვცემ მხოლოდ მას, ვინც ოპონირებას მიწევს“.
(შარლ დე გოლი)

თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური და ზნეობრივი სპექტრი, სამწუხაროდ, უფერულია და მრავალ კითხვას

ბადებს. საქართველოში პოზიციისა და ოპოზიციის პაექრობის შინაარსი და ფორმა ნათლად მეტყველებს, რომ „დანის სახელმწიფოში“ (უ. შექსპირი) საქმე რიგზე ვერ არის.

პოზიცია და ოპოზიცია ვალდებულია არა მარტო დააფიქსიროს ქვეყანაში გამეფებული სიღარიბე და უმუშევრობა, რომელიც დამოკლეს მახვილივით კიდა დღეს საქართველოს ცაზე, არამედ ღრმა პოლიტიკურ-ეკონომიკური მეცნიერული ანალიზი გაუკეთოს ამ დამანგრეველ მოვლენას და სახელმწიფოს ჩიხიდან გამოყვანის დასაბუთებული კონცეფცია ჩამოაყალიბოს.

ხელისუფლების უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს, ხელი შეუწყოს ქმედითი ოპოზიციის ჩამოყალიბებას, რომლის მაღალი ზნეობა, ნიჭიერება და სახელმწიფოებრივი აზროვნების მასშტაბი იქნება ის ძალა, რომელიც ხელისუფლების ბრძოლისუნარიანობას აამღლებს. უკომპრომისო დებატებში იბადება ქვეყნის განვითარების ჭეშმარიტი გზა და არა ქორიკნობასა და ლაყობაში, ერთმანეთის შეურაცხყოფაში (შეძახილებში: „ნუ ყიყინებთ“, „ბაზარნიკებო“, „ბორშისტებო“).

გასაგებია, რომ 16 წლის ინტენსიური ნგრევის შემდეგ ქვეყანა სწრაფად ვერ აშენდება. მოგეხსენებათ, პრეზიდენტს, სამწუხაროდ, ხელთ არ უპყრია ჯადოსნური კვერთხი. გულწრფელად უნდა მოგახსენოთ, რომ ვერც ხელისუფლება და ვერც მისი აპარატის მოღვაწეობა ვერ ტოვებს იმ შთაბეჭდილებას, რომ ისინი ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას ნიჭიერებითა და პროფესიონალიზმით წარმართავენ.

კაცმა რომ თქვას, 21-ე საუკუნეში სახელმწიფოს მართვა ერთი ადამიანის ნებას არ ემორჩილება და არც ერთი ჭკუის კოლოფში ეტევა, ამიტომ საჭიროა თანამოაზრე-თანამებრძოლთა, განათლებულ, ნიჭიერ პროფესიონალთა გუნდი. ვერ დავმაღავ გულისტკივილს, რომ ამის უკიდურესი უკმარისობა იგრძნობა. ამიტომ უპირველესი ამოცანაა, ხელისუფლებამ შექმნას ისეთი გუნდი, პოზიციაც და ოპოზიციაც, რომელიც მწვავე დიალოგში ჩამოაყალიბებს ქვეყნის შენების პროგრამა-კონცეფციას (არადა, შთაბეჭდილება იქმნება, რომ ქვეყნისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხები სპონტანურად წყდება).

პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარისა და პრემიერ-მინისტრის უპირველესი მოვალეობაა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ზნეობრივი კმერტონი ისეთ ტონალობაში გააჟღერონ, რომ თითოეულმა პარლამენტარმა თავისი პროფესიონალური ცოდნითა და მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით აქტიური მონაწილეობა მიიღოს საპარლამენტო და სამთავრობო დებატებში და, თუ ამის ინტელექტი არ ჰყოფნის, თავის ბიზნესს დაუბრუნდეს, რომლის „კრიშად“, მფარველად (დოლარების წყალობით) მოვიდა პარლამენტში.

მთავარი და უპირველესი, რაც ხვალინდელ დღეს განაპირობებს, არის ის, რომ გლობალიზაციის მძლავრი ეკონომიკური და პოლიტიკური ტალღა ძირფესვიანად შეცვლის ჩვენი სამშობლოსა და ხალხის ცხოვრებას, აზროვნებასა და შრომის იერსახეს.

მოგეხსენებათ, საქართველო – GEORGIAN – მიწის მუშად მოიხსენიება ძველთაგან. საქართველო დღესაც რჩება სოფლის მეურნეობის ქვეყნად ღვთისგან დალოცვილი მიწის, წყლისა და კლიმატის წყალობით. მეორე მსოფლიო ომამდე სოფლის მოსახლეობა ისეთ ქვეყნებში, როგორებიც არის ამერიკა და ევროპა 65%-ს შეადგენდა, დღეს – 45%-ია.

დღეს საქართველოს სოფლის მოსახლეობა შეადგენს 60%-ს. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში ჩააყენებს საქართველოს ეროვნულ სულიერობას, ცხოვრების წესს სოფლის მეურნეობის 5%-მდე შემცირება.

ჩვენ ყველანი სოფლიდან ვართ. არა აქვს მნიშვნელობა, სოფელში ვართ დაბადებულნი და გაზრდილნი, თუ – ქალაქად. ზაფხულის არდადეგებს სოფელში ვატარებდით და დომინანტი ჩვენი სამყაროს აღქმისა სოფელთანაა დაკავშირებული.

დიამეტრალურ გარდატეხას უნდა ველოდეთ ჩვენი ქვეყნის არეალში, თუ ამას დემოგრაფიული კატასტროფა, წარკოძნია და კორუფცია დაემატება (როგორც „გაეროს“ დემოგრაფიის ინსტიტუტი წინასწარმეტყველებს). დიდი კატასტროფის წინაშე დგას ჩვენი სამშობლო! ასეთ სიტუაციაში ხელისუფლების უპირველესი ზრუნვის საგანი უნდა გახდეს ქვეყნის გადარჩე-

ნის მეცნიერულად გაანგარიშებული და პოლიტიკურად უშეცდომო კონცეფცია.

* * *

„აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია“.
(ხალხური)

ქართულ სახელმწიფოში შექმნილ მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე, როგორც წესი, ერთ პიროვნებას ვთხოვთ ხოლმე პასუხს. ჯერ ეს იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი – ნოე ჟორდანიას, მერე – თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, შემდეგ – თავისუფალი დამოუკიდებელი, დემოკრატიული რესპუბლიკის ორჯერ არჩეული პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, ბოლოს – „ვარდების რევოლუციის“ ტალღებზე მოსული, პოლიტიკური ქარიშხლით დაჯილდოებული ახალგაზრდა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

ხალხო! იქნებ დავფიქრდეთ, ხომ არ ვჩქარობთ? ხომ არ ვცდებით?

მოგეხსენებათ, რომ საქართველომ ხმის უმრავლესობით სწორედ ისინი აირჩია ქვეყნის წინამძღვრად და არა (ვირტუალურად თუ წარმოვიდგენთ) ვახტანგ გორგასალი, დავითი, თამარი და ილია ჭავჭავაძე.

ჩემი მოკრძალებული აზრით, **ქვეყნის წარუმატებლობის მიზეზი უნდა ვეძიოთ თითოეულ ჩვენგანში, ქართველი ხალხის დღევანდელ ეროვნულ, სახელმწიფოებრივ, ინტელექტუალურ, კულტურულ ფასეულობებში, საქართველოს ისტორიულ კატაკლიზმებში და არა ერთ პიროვნებაში.**

მოთმინებითა და პასუხისმგებლობით ღრმად ჩავიხედოთ ქართველი ხალხის დღევანდელ სულიერ ცხოვრებაში, კორექტივი შევიტანოთ მასში რიტორიკითა და უაზრო ყბედობით კი არა, არამედ საქმით, მეცნიერული არგუმენტაციით. სხვაგვარად შეიძლება ჭეშმარიტი აღმოჩნდეს ყვარყვარე თუთაბერის

სიტყვები პოლიკარპე კაკაბაძის ტრაგიკომედიიდან „ყვარყვარე თუთაბერი“:

„ყვარყვარე – ჰოდა, აბა სიამტკობილობით მოვუქციოთ ერთმანეთს ღრანჭი, მეტი რაა ქართველი კაცის სიცოცხლე.

მენისქვილე – ამას არ ამბობ უჭკუოდ.

ყვარყვარე – იცოდე, ოქროს სარაიას აგიშენებ, ჩემს საკუთარს რომ მოვრჩები, იმის მერე!“

ცრემლნარევ სიცილს ვერ ვიკავებ... თითქოს ყვარყვარე თუთაბერი დღევანდელი პარლამენტისა და მთავრობის ტრიბუნიდან გვმოძღვრავდეს.

მოგეხსენებათ, ყვარყვარეს, ყვარყვარიზმს ქართულ ფოლკლორში აქვს ფესვები გადგმული. ქართული ფოლკლორი კი ხალხური სიბრძნის წყაროა, რომელშიც შეუცდომლად არის გამოხატული ქართველი ხალხის ეროვნული სულიერობა და ცხოვრების წესი.

სწორედ ქართველი ხალხის ხასიათი, ცხოვრების წესი, სახელმწიფოებრივი აზროვნება და ეროვნული სული აისახა ამირანის ეპოსში, ნაცარქექიასა და ქოსატყუილას ზღაპრულ სახეში.

ქართველი ხალხი ამირანის გმირული სულითა და შემართებით ებრძოდა გარეშე მტრებს და ავადა თუ კარგად მეცხრამეტე საუკუნემდე მოიგანა ჩვენი სამშობლო – დაქუცმაცებული საქართველო. რუსეთის სახელმწიფომ და მისმა თვითმპყრობელურმა პოლიტიკამ ამირანი (საქართველო) კავკასიონს მიაჯაჭვა.

დაიწყო ქართველი ხალხის ეროვნული სულიერობის ასიმილაცია, ზნე-ჩვეულებების, ადათ-წესების შეცვლა. ორი საუკუნის განმავლობაში რუსეთის ზენოლით ამირანის გმირული სული გარდაისახა ნაცარქექიასა და ქოსატყუილას იერსახეში. მართალია, 200 წლის შემდეგ ჯაჭვი გადანწყვიტა ისტორიის განვითარების კანონზომიერებამ, მაგრამ ქართველი ხალხის ცნობიერებას დღემდე შემორჩა რუსეთის ბორკილების ნამსხვრევები.

ახლა სიბრძნეა საჭირო, რომ რუსეთთან ორასწლიანი

ურთიერთობის მრავალმხრივად მნიშვნელოვანი პროცესიდან ღირსეულად გამოვიდეთ.

დიახ, ჭკუა და სიბრძნეა საჭირო!

დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკა ჭკუასთან ახლოსაა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. **გონივრული სიღრმისეული სვლებით საჭიროა რუსი და ქართველი ხალხის 200-წლოვანი ურთიერთობის ახალ თვისობრიობაში გადაყვანა და არა დაპირისპირება.** ნათქვამია „დათვი რომ მოგერევა, ბაბაია დაუძახეო“. დათვს ან ტყვია უნდა ესროლო (რუსის მიერ დატოვებული „კალაშნიკოვი“ საკმარისი არ არის!), ან სიამტკბილობით უნდა „მოუქციო ღრანჭი“, ან კიდევ ცირკის მწვრთნელის ნიჭიერებით შენი ინტერესებით პოლიტიკურ ხაფანგში გააბა. ამას ჭკუა უნდა! სადაა მერე ამდენი ჭკუა?!

200 წელი რუსეთის დაკრულზე, მთვრალ რუსთან ყანნით ხელში ვცეკვავდით და ჩინ-მედლებით ვიმშვენებდით მკერდს.

მაგრამ რუსეთი ახლა სულ სხვაა!

საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, გაითვალისწინოს სტრატეგიული დაპირისპირება რუსეთსა და ამერიკას შორის, ანუ გაითვალისწინოს მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამხედრო სტრატეგიული ვექტორი. გველის ჭკუის სიბრძნით უნდა გადაწყდეს საქართველოს ხვალინდელი დღის საკითხი და არა აჩქარებით!

მკითხველნო!

ქართველი კაცის გენეტიკაში სახელმწიფოებრიობის ეროვნული გენი სუსტია. ამას ამტკიცებს საქართველოს 3000-წლოვანი ისტორია. საქართველო ერთიანი, მთლიანი და განუყოფელი სახელმწიფო მხოლოდ დავით აღმაშენებლისა და თამარის მეფობის დროს იყო. ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ თამარის მეფობის დროს დაიბადა „კარავის“ (ხალხის რჩეულთა საკრებულოს) იდეა. ეს იყო ქართველი ერის სულიერობისა და ცნობიერების ღვთიური გამონათება.

ჩვენო პრეზიდენტო!

თქვენი უზენაესი მოვალეობაა საპრეზიდენტო მმართველობის (200?) პერიოდში მოამზადოთ ქართველი ხალხი საქართ-

ველოს საპარლამენტო მმართველობისათვის.

მიეცით გზა ხალხის ნებას, რწმენას, ზნეობას, სიყვარულსა და პროფესიონალიზმს, ჩამოყალიბდეს სახელისუფლებო ინსტიტუცია დევიზით თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული რესპუბლიკა.

ღმერთი იყო საქართველოსა და თქვენი მფარველი!

პატივისცემით აკაკი დვალიშვილი

P.S. ქართველ ხალხს უთქვამს, ქოთანი მექოთნემ უნდა გააკეთოსო.

ქოთანი!!! რაშია ც ჩვენი გამზრდელი-მარჩენალი ლობიო (ამოლესილი, კვანარახიანი, ტყლაპიანი, ნიგვზიანი, მძალიანი, ზეთიანი, ერბოიანი, სვირსვალი, კვირკვალი) მზადდება.

დასავლეთ საქართველოში – კეციდან არეკილი ნეშონიანი ცხელი მჭადი, ქლაკვით და ღვინო ჭინჭილით...

აღმოსავლეთ საქართველოში – თონიდან ამორეკილი დედას პური, მწნილი და ღვინო თასით...

ქვეყანა მაძღარია!!!


ჰაიდა, აბა, მრავალჟამიერ.... (ღიღინით)

ქვეყნის მამებო!!!

ხედავთ, რა ადვილია ქვეყნის დაპურება?!

„მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი – რჩეულ“
/მათე 20, 16/

„რამდენი ჩვენგან წასული კაცის
ვერ გადავიხდით ვერასდროს ამაგს...“
/მიხეილ ქვლივიძე/



რეჟისორის პროფესიიდან სახელმწიფო მოღვაწემდე

ძალიან ძნელია იმის დადგენა, თუ სად იწყება ნებისმიერი ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბება. ალბათ, მაინც მაშინ, როცა ის იგრძნობს მონოდებას და ირჩევს საქმეს, რომელსაც სურს ემსახუროს. ჭაბუკმა აკაკი დვალიშვილმა ასეთ საქმედ დრამატული თეატრის სპექტაკლების შეთხზვა - რეჟისურა აირჩია. ძალიან ძლიერი იყო ჩვენი თაობის სიჭაბუკის ხანის ქართული თეატრი კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის მიერ შექმნილი და უნიჭიერეს მსახიობთა წარმოდგენელი სიმრავლით. მაშინ ჩვენთვის სცენაზე ჯადოქრობდნენ ელისაბედ ჩერქეზიშვილი და ნიკო გოცირიძე, ვერიკო ანჯაფარიძე და სესილია თაყაიშვილი, აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე, ვასო გოძიაშვილი და შალვა ღამბაშიძე, გიორგი შავგულიძე.....

მათ მიერ მოწადობულმა ჭაბუკმა, აკაკი დვალიშვილმა, აირჩია პროფესია, ჩააბარა მისაღები გამოცდები რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში და ჩაირიცხა სარეჟისორო ფაკულტეტზე.

აქ დახვდნენ ისინი, ვინც არჩეული მიზნის განხორციელებაში უნდა მოხმარებოდა - მასწავლებლები. საგანთა და მათ ხელმძღვანელთა არასრული ჩამოთვლაც საკმარისია იმისათვის, რომ მკითხველისათვის ნათელი გახდეს, როგორ ზრუნავდნენ ამ სასწავლებლის თავკაცები - რექტორი აკაკი ხორავა და პრორექტორი სასწავლო დარგში აკაკი ფალავა მომავალ ხელოვანთა აღზრდაზე:

ქართული ენა - არნ. ჩიქობავა და ივ. გიგინეიშვილი

ქართული ლიტერატურა - გრ. კიკნაძე

სასცენო მეტყველება - მ. მრეველიშვილი

მუსიკა - კომპოზიტორი კ. მელვინეთუხუცესი

ქართული ცეკვა - ჯანო ბაგრატიონი

სასცენო მოძრაობა - კ. ბადრიძე

და უმთავრესი - მსახიობის ოსტატობა და რეჟისურა - დ. ალექსიძე და გ. ტოვსტონოგოვი.

ჩვენ აქ შევხვდით ერთმანეთს. მე სამსახიობო ფაკულტეტზე, კაკო – სარეჟისოროზე. სასცენო ხელოვნებას ორივეს გიორგი ტოვსტონოგოვმა გვაზიარა.

ჩვენს ცხოვრებაში გ. ტოვსტონოგოვი შემოვიდა როგორც მასწავლებელი, თუმცა მხოლოდ რვა წლით იყო ჩვენზე უფროსი. ახალი დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის ა. ლუნაჩარსკის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი და რამდენიმე წარმოდგენა ჰქონდა დადგმული თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრში. დიდი გამოცდილება ვერ ექნებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ჰქონდა უდიდესი, როგორც შემოქმედებითი, ისე პედაგოგიური, ნიჭი, რომელიც ახლო მომავალში მსოფლიოში სახელგანთქმულს გახდის. მაშინ ეს ორივე ნიჭიერება გამოვლენას ითხოვდა და უხვად ვლინდებოდა კიდეც ინსტიტუტში, ჩვენდა საბედნიეროდ!

ის გვასწავლიდა, უფრო სწორედ, მას შევყავდით იმ სამყაროში, რომელიც ყველაზე უფრო მეტად გვაინტერესებდა და ცხოვრების გზად ავირჩიეთ. სასცენო ხელოვნების სამყაროში მიგვიძღოდა, შეგვიყვანა და დაგვტოვა კიდეც სამუდამოდ, თუმცა - განსხვავებულად.

თეატრალურ უმაღლეს სასწავლებელში ყველა ფაკულტეტზე სასცენო ხელოვნებას შეისწავლიან. გ. ტოვსტონოგოვის პირველი შეხვედრა ნებისმიერი ფაკულტეტის სტუდენტებთან იწყებოდა შეკითხვით - იცით რა არის თეატრი? მაშასადამე, ხელოვნების ამ სახეობის რაობის გარკვევით. გრძელდებოდა ერთობლივი ფიქრით ამ რაობაზე, ამ ხელოვნების თავისებურებაზე, დანიშნულებასა და უდიდეს მნიშვნელობაზე ყველა ქვეყნისა და ხალხისათვის, რადგან ცხოვრებისეული რწმენის მსახურებას მოიცავს იგი, როგორც სულის საზრდოს მომწოდებელი ყველა ასაკის ადამიანისათვის. მას მიაჩნდა, რომ მომავალი სპეციალისტის აღმზრდელის უპირველესი მოვალეობაა, ყურადღება მიაპყროს უმთავრესს - მის მიერ არჩეული პროფესიის რაობას, შესწავლის საგანს. ამავე დროს, ამ შესწავლის მიზანს, ანუ იმას, თუ რისთვის შეისწავლის იგი ამ პროფესიას, რის საშუალებას მისცემს ეს შესწავლა? მისი აღზრდილებიც

სათეატრო ხელოვნების რაობის, მისი მაღალი მოქალქეობრივი დანიშნულების ცოდნისა და საკუთარი შემოქმედებითი რწმენით აღჭურვილნი იწყებდნენ დამოუკიდებელ ცხოვრებას დრამატული თეატრის რთულ სამყაროში.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ამგვარი სპექტაკლების თვალნათელი ნიმუშები გ. ტოვსტონოგოვის მოწაფეებს მის მიერ თეატრალურ ინსტიტუტში განხორციელებულ სტუდენტურ სპექტაკლებში ნანახი ჰქონდათ, როგორ იყო დაძლეული ანსამბლური ხელოვნების ყველაზე დიდი სირთულე: აქ ყველაფერი მიზეზ-შედეგობრივ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული, ერთი მეორისთვის არსებობდა. მოქმედ პირთა ცხოვრებაში არ მოიძებნებოდა არც ერთი სიტყვა, რომლის წარმოთქმა შინაგანად არ ყოფილიყო აუცილებელი იმისათვის, ვინც მას წარმოთქვამდა. ეს იყო წარმატება არა მარტო მომავალ მსახიობთა და რეჟისორთა მასწავლებლისა, არამედ გარკვეული მიმართულებისა სასცენო ხელოვნებაში, გარკვეული თეატრალური მრწამსისა – ერთმორწმუნე გუნდით ანსამბლური სპექტაკლის შექმნა: სინამდვილის მწერლური აღქმისა და მისი ასახვისათვის თეატრალური სახეობრიობის აღმოჩენისა და გაცოცხლებისა სცენაზე. სცენის ხელოვანის სათქმელი სცენაზე გაცოცხლებულ ადამიანთა საშუალებით უნდა ითქვას, ასე გადაეცეს მაყურებელს, რათა თან გაჰყვეს ცხოვრებაში.

აკაკი დვალისვილიმა მიიღო ეს შემოქმედებითი რწმენა და ურყევად უერთგულა მას!

ამ ცოდნითა და რწმენით მიდიოდა იგი ქართულ თეატრში. რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელის აკაკი ხორავას სურვილით გ. ტოვსტონოგოვის აღზრდილი ორივე რეჟისორი - მ. თუმანიშვილი და აკ. დვალისვილი - მიღებულ იქნა რუსთაველის თეატრში.

მ. თუმანიშვილიამ ამ თეატრში ოცდაათამდე წარმოადგენა დადგა. მათ შორის ისეთი გახმაურებული სპექტაკლები, როგორებიცაა ი. ფუჩიკის „ადამიანებო, იყავით ფხიზლად“, ჯ. ფლეტჩერის „ესპანელი მღვდელი“, პ. კოჰოუტის „როცა ასეთი სიყვარულია“, გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“, ჟ. ანუის „ანტი-

გონე“ და სხვ.

აკაკი დვალიშვილმა მხოლოდ შეიღი:

1949 წ. – თ. დონუაშვილი, „გამარჯვებულთა ღიმილი“. დამდგმელი აკ. დვალიშვილი, მხატვარი ფ. ლაპიაშვილი. პრემიერა - 11.11.1949;

1951 წ. – ი. ჭავჭავანიძე, „თბილისელი ქალიშვილი“. დამდგმელი აკ. დვალიშვილი, მხატვარი ფ. ლაპიაშვილი. კომპ. შ. მშველიძე. პრემიერა - 1.03.1951;

1952 წ. – ნ. გოგოლი, „ბანქოს მოთამაშენი“. მთარგმნელი ს. შანშიაშვილი, დამდგმელი აკ. დვალიშვილი, მხატვარი დ. თავაძე. პრემიერა - 25.03.1952;

1953 წ. – გ. ქელბაქიანი, „ახალგაზრდა მასწავლებელი“. დამდგმელი აკ. დვალიშვილი. მხატვარი ფ. ლაპიაშვილი, კომპ. რ. ლალიძე. პრემიერა - 30.03.1953;

1954 წ. – ს. კლდიაშვილი, „დღესასწაული საკრეულაში“. დამდგმელი აკ. დვალიშვილი, მხატვარი ფ. ლაპიაშვილი, კომპ. რ. ლალიძე. პრემიერა - 06.10.1954;

1955 წ. – ვ. როზოვი, „ხალისიანი მეგობრები“ (გადმოქართულებული ს. კლდიაშვილის მიერ). დამდგმელი აკ. დვალიშვილი. მხატვარი ფ. ლაპიაშვილი. პრემიერა - 28.06.1955;

1957 წ. – მ. ჯაფარიძე. „ჩვენებურები“. რეჟისორი აკ. დვალიშვილი, მხატვარი ნ. ცაგარელი. პრემიერა - 08.02.1957.

ეს სპექტაკლები არ იყო გახმაურებული მკვეთრად რეჟისორული სახეობრიობით. ამით მანამდელი გმირულ-რომანტიკული

რუსთაველის თეატრი გამოირჩეოდა, ამიტომ ახალგაზრდების სწრაფვა ფსიქოლოგიური რეალიზმისაკენ, მათი ინტერესი ყველანაირი ადამიანის შინასამყაროსადმი განსაკუთრებით ნათელი იყო. სწორედ ამ თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი აკ. დვალიშვილის წვლილი იმ წლების ქართული თეატრის ცხოვრებაში.

ამგვარად, გ. ტოვსტონოგოვის აღზრდილმა მსახიობებმა და ორმა რეჟისორმა – მიხეილ თუმანიშვილმა და აკაკი დვალიშვილმა – რუსთაველის თეატრში, საპირისპიროდ გმირულ-რომანტიკულისა, შემოიტანეს ნაკადი ფსიქოლოგიური რეალიზმისა და თანდათან შეცვალეს ამ თეატრის შემოქმედებითი სახე, დიდის გვერდით მცირე სცენის პარალელური ამუშავებითაც.

ასეთი ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე ხდება იგი მაღალჩინოსანი მოღვაწე საქართველოს კულტურის სამინისტროსი. მას სასცენო ხელოვნება შესწავლილი აქვს უმაღლეს დონეზე, აქვს გარკვეული შემოქმედებითი პრინციპები, რომლებიც თვითონაც განუხორციელებია რუსთაველის თეატრში დადგმულ ნარმოადგენებში და მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ხელმძღვანელის მოვალეობაც შეუსრულებია. მმართველი სახელმწიფო ორგანიზაციაში მისი მოსვლა, ცხადია, გამორჩეულობას აუცილებლად განაპირობებდა სამართავი უბნის სიღრმივი თეორიული ცოდნითაც და პრაქტიკული გამოცდილებითაც.

ამის საბუთია თვით აკ. დვალიშვილის ხელნაწერი, დღეს ყველასათვის ცნობილი მ. თუმანიშვილის სახელობის კინოთეატრის შექმნის შესახებ, რომელიც მან ჩემთვის გადმოსაცემად დატოვა.

ამ მასალის ერთი ნაწილი გამოვაქვეყნე ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ (№3, 2008). ვაქვეყნებ აქაც, რადგან აკ. დვალიშვილისადმი მიძღვნილ საგანგებო კრებულს არ შეიძლება, რომ ის მოაკლდეს.

ჩემთან არსებული ეს ხელნაწერი მოიცავს აკ. დვალიშვილის ცხოვრების ორ პერიოდს – სტუდენტობის ხანას, როცა მას სათეატრო ხელოვნების რაობასა და რეჟისურას ასწავლიდა გ. ტოვსტონოგოვი და იმ ხანას, როდესაც ის, უკვე როგორც

სახელმწიფო მოღვაწე თეატრისა და კინოს სფეროში თვითონ მონაწილეობდა, როგორც მაღალი თანამდებობის პირი.

კინოსახიობთა ქართული თეატრის შექმნის ამბავს იხსენებს უკვე ასაკოვანი, ყოველი სახის პრაქტიკულ საქმიანობას განშორებული, ძალიან ჭკვიანი, გამოცდილი და დარბაისელი ადამიანი. მას თავის ზნეობრივ ვალდებულებად მიაჩნია არავის დაუკარგოს მისი წვლილი ქართული თეატრის ცხოვრებაში კიდევ ერთი ეროვნული თეატრის შექმნის მამულიშვილურ საქმეში.

იმისათვის, რომ მკითხველისათვის ნათელი გახდეს აკ. დვალიშვილის პირად არქივში დაცულ მასალათა ამ ორი ჯგუფის ღირებულება, წარმოვადგენ ამონარიდებს, რომლებიც, ჩვენი ფიქრით, მნიშვნელოვანია.

პირველი ჯგუფის მასალიდან ამონარიდი მოიცავს რეჟისურის შესახებ პირველი და მეორე ლექციის თემატიკას: მეცნიერება, ხელოვნება, მხატვრული სახე, მშვენიერება, ესთეტიკა (საუბარი რუსულ ენაზე მიმდინარეობს), დასკვნა. სტუდენტს ქართულად მიუწერია: „ხელოვნება საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმაა. ხელოვნების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს შემეცნება სინამდვილისა.“

ასე იწყებდა მაშინ გ. ტოვსტონოგოვი სარეჟისორო ხელოვნების შესწავლას მომავალ რეჟისორებთან.

იმავე 1944 წელს სტუდენტ აკ. დვალიშვილს მასწავლებლის მიერ ლექციებში მონოდებულისათვის თავი მოუყრია და ხელახლა შეუდგენია უკვე ლექციათა კონსპექტი სათაურით – „რეჟისურა, მსახიობის ოსტატობა“. ლექციების კონსპექტი. ლექტორი – რეჟისორი გ. ტოვსტონოგოვი, სტუდენტი აკ. დვალიშვილი“.

დანომრილი ლექციების მიხედვით დასახელებული პრობლემები ასეთი თანმიმდევრობით განიხილებოდა:

ლექცია 1 – მეცნიერების მიზანი. ხელოვნების მიზანი. მხატვრული სახე. მშვენიერების ესთეტიკა;

ლექცია 2 – იდეოლოგია;

ლექცია 3 – სათეატრო ხელოვნების თავისებურება;

ლექცია 4 – ნილაბი, ტიპი, სახე, შინაარსი;
ლექცია 5 – ექსპოზიცია, კვანძის შეკვრა, ბრძოლა, დასასრული;

ლექცია 6 – სტილი, სკოლა, ჟანრი, ხერხი;

ლექცია 7 – წარმოდგენის სკოლა. განცდის სკოლა;

ლექცია 8 – მსახიობის ოსტატობა. კანონი. შემოქმედებითი წარმოსახვა. სიყველა, რეჟისორის როლი.

ყველა ლექციის სტრუქტურაა: პრობლემა, მისი განმარტება და არსებითი რაობა.

ვინ ასწავლის ყოველივე ამას მომავალ რეჟისორებს? რანაირი გამოცდილების მქონე პრაქტიკულ რეჟისურასა და პედაგოგიკაში?

1944 წელს გ. ტოვსტონოგოვი მხოლოდ 29 წლისაა. ექვსი წლის წინ დაამთავრა მოსკოვის უმაღლესი თეატრალური სასწავლებლის სარეჟისორო ფაკულტეტი. ამავე წლიდან, დედით ქართველი და თბილისელი, ჩვენი დედაქალაქის ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის რეჟისორია. დადგმული აქვს ხუთი სპექტაკლი. არც ერთი წიგნი სათეატრო ხელოვნებაზე ჯერ არ დაუწერია.

ვფიქრობ, მის მიერ გააზრებული და სტუდენტ აკ. დვალის მიერ ჩაწერილი ამ განხილული პრობლემების დასახელებაა საკმარისი იმისათვის, რომ მივიჩნიოთ ეს ჩანაწერები თავისებურ, პირველ მოსინჯვად იმისა, რაზედაც შემდგომ გ. ტოვსტონოგოვი დანერს თავის შესანიშნავ წიგნებს.

აი, რას ინახავს საქართველოში ეს ერთი პირადი არქივი საქვეყნოდ აღიარებული რეჟისორის შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობის საწყისი პერიოდის შესახებ! ადვილი წარმოსადგენია, როგორ გამოადგება იგი გ. ტოვსტონოგოვის შემოქმედების მკვლევარს. საქართველოსთვის კი იმის საამაყო საბუთია, თუ რა დონეზე მიმდინარეობდა მაშინ თეატრალური განათლება ჩვენში.

ეს მასალა ქართული თეატრის ისტორიკოსისათვის ფასდაუდებელია, რადგან უთუოდ დაუკავშირდება იმას, რაც მოხდება რუსთაველის თეატრში, როცა, რეჟისურის სრული კურ-

სის გავლის შემდეგ, გ. ტოვსტონოგოვის აღზრდილ ორ რეჟისორს – აკ. დვალიშვილსა და მ. თუმანიშვილს – აკაკი ხორავა რუსთაველის თეატრში წაიყვანს.

გავა დრო და თეატრალურ ინსტიტუტში მიღებული შემოქმედებითი რწმენითა და პროფესიის ცოდნით აღჭურვილი აკ. დვალიშვილი ქართული კულტურის სახელმწიფოებრივ მოამაგეთა რიგებს შეემატება. კინომსახიობთა ქართული თეატრის შექმნის ამბავსაც დაწვრილებით დაწერს და დაგვიტოვებს თავის პირად არქივში სახელწოდებით „**დაუმთავრებელი წერილი კინომსახიობთა თეატრის შესახებ.**“

მოგონებას განოდებთ სრული სახით, რადგან ის მოიცავს მხოლოდ რეალურ ფაქტებს, რომელთა მონმე და ხშირად მონანილეც თვითონ აკ. დვალიშვილი ყოფილა. პრობლემის გადაწყვეტა კი სახელმწიფოს მმართველობის მაღალ ეშელონებში მიმდინარეობდა.

აკ. დვალიშვილი: „**მიხეილ თუმანიშვილმა, დიდმა მაესტრომ, ქართული თეატრის ერთ-ერთმა რეფორმატორმა, განუმეორებელმა პედაგოგმა 1978 წლის 14 იანვარს, თავის მოწაფეებთან ერთად, დააარსა კინომსახიობთა თეატრი - სახელოსნო.**“

(2004 წლის 6 თებერვალს გაიხსნა თეატრის განახლებული შენობა. ბუკლეტის სუპერის თავსართი გახლავთ ეს ტექსტი).

ინკოგნიტო თეატრის მოღვაწე მანდილოსანი აცხადებს, რომ იგი „გვაზდიკით“ დამშვენებული, ვიზიტად ეწვია საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ედუარდ შევარდნაძეს, და მისგან მიიღო თანხმობა კინომსახიობთა თეატრის დაარსებისა.

ესე ამბავი კინომსახიობთა თეატრ-სახელოსნოს დაარსებისა! (წინასწარ ბოდიშს ვიხდი გლახა ჭრიაშვილივით დაწვრილებითი თხრობისთვის).

1973 წლის ივლისის თვე იყო. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, ქალბატონმა ვიქტორია სირაძემ, დამირეკა და მთხოვა, მასთან მივსულიყავი. ჩვენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთად ვმუშაობდით: ქალბატონი

ვ. სირაძე - საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, რომელიც კურირებდა (სხვა ბევრ დარგთან ერთად) საქართველოს კულტურის სამინისტროს, სადაც მე მინისტრის პირველ მოადგილედ ვიმუშავე 14 წელი. შეხვედრის დროს ქალბატონმა ვიქტორია სირაძემ განმიცხადა: ცენტრალური კომიტეტის აზრი არის, რომ თქვენ გადაგიყვანოთ სამუშაოდ საქართველოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ (ჩემთვის ცხადი იყო, რომ ეს პირადად მისი წინადადებაა).

გულწრფელად გითხრათ, წინადადება ჩემთვის მოულოდნელი იყო. მაღლობა მოვახსენე ნდობისათვის და ვთხოვე, დრო მოეცა პასუხისათვის.

სამოციან წლებში, სანამ კინოკომიტეტი შეიქმნებოდა, კინემატოგრაფია კულტურის სამინისტროში შემოდიოდა და მე, როგორც კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე, ამ დარგსაც ვკურირებდი. ასე რომ, დარგის საქმიანობის შინაარსი ჩემთვის უცნობი არ იყო.

სამინისტროში დაბრუნებულმა აქტიურად დავიწყე ფიქრი დარგის მომავალზე.

ამ დროს ქართული კინოს შემოქმედებით ცხოვრებას წარმართავდნენ კინორეჟისორები: სიკო დოლიძე - კინოკავშირის თავმჯდომარე, დავით რონდელი, ნიკოლოზ სანიშვილი, შოთა მანაგაძე, ვახტანგ ტაბლიაშვილი, თენგიზ აბულაძე, რეზო ჩხეიძე, მერაბ კოკოჩაშვილი, ყარამან მგელაძე, ნოდარ მანაგაძე, გიზო გაბისკირია, რეზო ესაძე და სხვები.

„ქართული ფილმის“ დირექტორი გახლდათ ბატონი აკაკი ძიძიგური.

ამ მნიშვნელოვანი დარგის ხელმძღვანელობა, ერთი შეხედვით, არც თუ ისე ძნელი იყო. მთავარია, ალლო აგელო კინემატოგრაფიის შემოქმედებითი და ორგანიზაციული ცხოვრებისათვის და ჯანსაღი ატმოსფერო შეგვექმნა. მაგრამ, თუ სიღრმისეულად წარუუძღვებოდი დარგს, საჭირო იყო დროის მოთხოვნათა მიხედვით თვისობრივი და ტექნიკური სიახლეები, რაც ქართული კინოხელოვნების განვითარებას ახალ იმპულსებს მისცემდა.

ასეთად, უპირველესად, მე ჩავთვალე:

I. კინოსარეჟისორო და სამსახიობო ფაკულტეტის დაარსება თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სტრუქტურაში.

მეორე თაობის ყველა ქართველმა კინორეჟისორმა განათლება მიიღო ქ. მოსკოვში „ВГИК“-ში. დღეს ისინი აღიარებული ოსტატები არიან. რეალური საფუძვლები არსებობს ეროვნულ გარემოში ქართული კულტურის და ესთეტიკის საფუძველზე მომავალი თაობის აღზრდისა.

თბილისის თეატრალური ინსტიტუტი რეალური საფუძველია, დაარსდეს კინოფაკულტეტი, რომელიც დროთა განმავლობაში მოიცავს დარგის ყველა სპეციალობას. ეს კი ქართული კინემატოგრაფიის შემდგომი აღმავლობის საფუძველი იქნება;

II. კინოსტუდია „ქართულ ფილმთან“ კინომსახიობთა თეატრალური სახელოსნოს დაარსება.

კინომსახიობთა შემოქმედებით პროცესს აქვს თავისი სპეციფიკა, დრამის მსახიობისაგან განსხვავებით. საჭირო იყო ამ სპეციფიკის გათვალისწინებით შექმნილიყო შემოქმედებითი ორგანიზმი.

ჩემს წინადადებას კინომსახიობთა თეატრ – სახელოსნოს შექმნის შესახებ საფუძვლად ედო ჩვენი მასწავლებლის, გიორგი ტოვსტონოგოვის, მოსაზრება – კინემატოგრაფიული ხედვით სპექტაკლის პროექტზე ჩატარებული რამდენიმე ლექცია – პრაქტიკუმი (ლექციას ესწრებოდნენ მიხეილ თუმანიშვილი, ავქსენტის გამსახურდია, მუშელ ბაბლოიანი და მე – აკ. დვალისშვილი). მჯერა, რომ ამ საინტერესო ლექცია-პრაქტიკუმის ჩანაწერები იქნება მიხეილ თუმანიშვილის არქივში. გ. ტოვსტონოგოვი საუბრობდა კინოხელოვნების თვალთახედვით სპექტაკლის დადგმის და მსახიობთა თამაშის ბუნების შესახებ. მახსოვს, როდესაც იგი ამბობდა, რომ კინორეჟისორის შემოქმედების გვირგვინია გადაღებული ფირის მონტაჟი (მართალი გითხრათ, მაშინ არ მესმოდა მონტაჟის არსი).

დიახ, კინოხელოვნების შემოქმედების სპეციფიკა უნდა გახდეს საფუძველი და მხატვრული გასაღები კინომსახიობთა თეატრ-სახელოსნოს შემოქმედებითი პროცესებისა.

ასეთი პროფესიული რწმენით ვიყავი შთაგონებული ჩემი ძვირფასი მასწავლებლის, გიორგი ტოვსტონოგოვის, მაღალი ნიჭიერების წყალობით;

III. ორი შემოქმედებითი გაერთიანების შექმნა – სტუდიის ადმინისტრაციულ სფეროდან შემოქმედებითი პროცესის გამოყოფა და დამოუკიდებელი სტრუქტურის ჩამოყალიბება;

IV. კინოჟურნალის – ალმანახის დაარსება.

ქართული კინოს შემოქმედებითი წარმატებები საკავშირო და საერთაშორისო არენაზე, ბუნებრივია, იმსახურებდა სპეციალური კინოჟურნალის დაარსებას, რომელიც მისცემდა საშუალებას კინომცოდნეებს და ქართველ ხელოვნებამცოდნეებს ანალიზი გაეკეთებინათ ქართული ეროვნული კულტურის განვითარების სპექტრში, ქართული კინოს განვითარებისა და მისი ადგილის შესახებ. შეიქმნებოდა ბაზისი ქართული კინოს ისტორიის შექმნისათვის;

V. რესპუბლიკური კინოფესტივალების დაწესება 2-3 წელიწადში ერთხელ.

სამწუხაროდ, ქართული კინოს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა მაყურებლის დასწრების მხრივ საქართველოში. საჭირო იყო რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ხელშესახები პროპაგანდა და ღონისძიებები ჩაგვეტარებინა, რათა როგორმე ეს მაჩვენებელი ამოგვენია და, როგორც იტყვიან, ხალხის ფართო მასებთან მიგვეტანა ქართული კინო;

VI. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება-გაფართოება. სისტემის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღება. საკადრო საკითხები.”

ზედმინევენითი სიზუსტის დაცვისათვის გთავაზობთ მასალის მომდევნო ნაწილსაც, რადგან მისი შინაარსი ძალიან მნიშვნელოვანია.

„...ორი კვირის შემდეგ შევხვდი ქალბატონ ვიქტორია სირაძეს. შეხვედრას ესწრებოდა ცეკას კულტურის განყოფილების გამგე ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი.

ქალბატონ ვიქტორიას მოვასხენე ყველა ზემოხსენებული მოსაზრება, ცხადია, სათანადო განმარტებებით და დასაბუთებით. აზრთა გაცვლის შემდეგ ქალბატონმა ვიქტორია სირაძემ წარმოდგენილი პროექტი მომინონა და წარმატება მისურვა.

რამდენიმე დღის შემდეგ შევხვდი ელუარდ შევარდნაძეს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ამხანაგი ელუარდ შევარდნაძე, ღიმილით შემეგება... გადმომცეს, იდეები განუხებს, – თქვა მან და ხმამაღლა გაიცინა. ასეთმა შეხვედრამ გამამხნევა. თანმიმდევრულად დავინყე ჩემი წინადადებების დასაბუთება.

იშვიათად შევხვედრივარ ხელმძღვანელს, რომელსაც მოსმენის ასეთი უნარი ჰქონოდა. იგი უხილავი ძაფებით კიდევ უფრო სიღრმისეული აზროვნებისაკენ გიბიძგებს. საუბრის დროს სიმშვიდე მეფობს. მხოლოდ ქალაქში აკეთებს ჩანანერებს. პაუზის შემდეგ დასძინა – ქართული კინოსკოლის შექმნადროულია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პროფესიონალი კინორეჟისორების აღზრდა და ფორმირება ქართულ ეროვნულ კულტურაზე დაყრდნობით მოხდეს. იმედია, ასეთი პროცესი თვისობრივად ახალ ხარისხს შემატებს ქართულ კინოხელოვნებას. ბედად მაღალი პროფესიონალი რეჟისორები გვყავს, რომლებიც ამ ეროვნულ საქმეს ზრუნვას არ მოაკლებენ.

რაც შეეხება კინომსახიობთა თეატრ – სახელოსნოს, როგორც შენ თქვი, თვისობრივად და შინაარსით არ გაიმეორებს ტრადიციულ თეატრს და კინოს სპეციფიკის გათვალისწინებით დააოსტატებს ახალგაზრდა თაობას. ეს, ჩემი ფიქრით, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ქართული კინემატოგრაფიისათვის და იგი ახალი პლასტით გაამდიდრებს ქართული თეატრის შემოქმედებით დიაპაზონს.

კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ ორი შემოქმედებითი გაერთიანების შექმნა, რამდენადაც მე ჩავწვდი წინადადების არსს, ნიშნავს სტუდიის ხელმძღვანელობის დეცენტრალიზაციას, ე.ი. შემოქმედთა უფლებებისა და ინიციატივის გაფართოებას. ეს წინგადადგმული ნაბიჯია, საერთოდ, სახელოვნებო ორგანიზაციების სტრუქტურაში.

კინოჟურნალის დაარსება მეტად კარგი საქმეა, მაგრამ - რთული. იგი საკავშირო ცეკას სამდივნოს ნომენკლატურაა, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეა. ჟურნალ-ალმანახის გამოცემა რესპუბლიკის პრეროგატივაა და ჩათვალე ეს საკითხი გადაწყვეტილად!

რესპუბლიკური კინოფესტივალის დაარსება მისასალმებელი საქმეა, კინოხელოვნების მასებთან მიტანის კარგი ფორმაა. კინოფესტივალის კარგ სამსახურს გაუწევს ქართულ კინოს. რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების კულტურული ცხოვრება კი ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებით გამდიდრდება.

კინოსტუდიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება აუცილებელი და გადაუდებელი საქმეა. რამდენადაც ვიცი, კინო ტექნიკური აღჭურვილობის გარეშე არ არსებობს. ამიტომ საჭიროა მაქსიმალურად აღვჭურვოთ ქართველი კინოს ოსტატები. საჭიროა, საგეგმო კომიტეტთან და ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, დროზე მომზადდეს დასაბუთებული გაანგარიშებები მომავალი წლის ბიუჯეტში შესატანად.

ჩემს შემდეგ პირველი ვიზიტი გაუკეთე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, გივი ჯავახიშვილს, და მისი პრინციპული მხარდაჭერა მოიპოვე. დაუყოვნებლივ შეუდექი ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილების პროექტის მომზადებას.

ჩემი ფიქრით, წარმოდგენილი წინადადების რეალიზაცია სერიოზულ მუშაობას მოითხოვს. გისურვებ წარმატებას!

პაუზის შემდეგ ღიმილით მკითხა:

- დამატებითი იდეები ხომ არ განუხებსო?! და გემრიელად გაიცინა.

ასეთი იყო ჩემი პირველი საქმიანი შეხვედრა ამხანაგ ედუარდ შევარდნაძესთან.

1973 წლის 4 აგვისტოს დამამტკიცეს საქართველოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

1973 წლის 31 აგვისტოს საქართველოს ცეკას და მინისტრთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე მიღებულ იქნა ერთობლივი დადგენილება „ქართული კინოს განვითარების შემდეგომ ღონისძიებათა შესახებ“.

მესამე დღეს დამიძახეს მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობაში, სადაც გამაცნეს არა საქართველოს ცეკას და მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება, არამედ საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილება, სადაც ძირითადი საკითხები - თეატრალურ ინსტიტუტში კინოფაკულტეტისა და კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ კინომსახიობთა თეატრ-სახელოსნოს დაარსების შესახებ ამოღებული იყო, რაც გამონვეული იყო იმით, რომ ორივე საკითხის გადაწყვეტა იყო კომპეტენცია საკავშირო საგეგმო კომიტეტისა და შესაბამისი სამინისტროებისა!!!

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილთან შეხვედრის დროს გადაწყდა, მომზადდეს ორი წერილი: 1. ცეკას და მინისტრთა საბჭოს ერთობლივი წერილი ედ. შევარდნაძისა და გ. ჯავახიშვილის ხელმოწერით, სადაც დასაბუთებული იქნებოდა თეატრალურ ინსტიტუტში კინოფაკულტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ. წერილს თან ერთვის (Госплан СССР, Министерство высшего и среднего специального образования, Госкино СССР и Министерство культуры СССР). წერილი 2. საქართველოს სახკინოსა და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის ერთობლივი წერილი საკავშირო სახკინოს თავმჯდომარისა და საკავშირო კულტურის მინისტრის ეკ. ფურცევას სახელზე თხოვნით, ნება დაერთოთ: კინოსტუდია „ქართულ ფილმთან“ კინომსახიობთა თეატრ-სახელოსნოს დაარსების შესახებ (წერილის ასლი სახკინოს არქივშია).

წერილებით ხელდამშვენებულები გავემგზავრეთ ქ. მოსკოვში, მიხეილ ქუთათელაძესთან ერთად, რომელიც ახალი დანიშნული იყო საქართველოს სახკინოს თავმჯდომარის მოადგილედ, წლების განმავლობაში საქართველოს საგეგმო კომიტეტში კულტურის, განათლებისა და მეცნიერების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. მისი გამოცდილება და ცოდნა გახდა ჩვენი მოსკოვში გამართული დიალოგის დადებითად გადაწყვეტის საყრდენი.

პირველი შეხვედრა გვექონდა საკავშირო სახკინოს თავმჯდომარე ამხანაგ ფილიპე ერმაშთან.

როდესაც ამხ. ფილიპე ერმაში გაეცნო ცეკას და მინისტრთა

საბჭოს წერილს თეატრალურ ინსტიტუტში კინოფაკულტეტის დაარსების შესახებ, კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ კინომსახიობთა თეატრ-სახელოსნოს, ორი მხატვრული გაერთიანების, კინოალმანახისა და რესპუბლიკური კინოფესტივალის დაარსების შესახებ - ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ღიმილით გვკითხა: შემთხვევით, ხომ არ აპირებთ კინემატოგრაფიის ახალი ცენტრის გახსნას ქ. თბილისში?

ჩვენ მოკრძალებით ხუმრობაში გადავიტანეთ საუბარი და შევეცადეთ დაგვესაბუთებინა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობა, რათა ქართულ კინემატოგრაფიაში გაგრძელდეს აღამელობა, რომლის გზაზედაც დგას ქართული კინო.

ამხანაგმა ფილიპე ერმაშმა თავიდანვე შორს დაიჭირა თავი და შეეცადა დავერწმუნებინეთ მოსკოვის კინომსახიობთა თეატრის მაგალითზე, რომელიც საკმაოდ უფერული შემოქმედებითი კოლექტივია და ამ საქმეს პერსპექტივა არა აქვს. შეეცადა, საერთოდ, კინომსახიობთა სპექტაკლის არარსებობის დასაბუთებას. მე პირველად მომმართა, როგორც პროფესიით რეჟისორს, გულწრფელად მეთქვა ჩემი აზრი მოსკოვის კინემატოგრაფთა თეატრის შესახებ. მე მოკრძალებით მოვახსენე, რომ ეს განპირობებულია იმით, რომ თეატრს არა აქვს შემოქმედებითად გააზრებული კინომატოგრაფიული ხელოვნების სპეციფიკა სცენურ ხელოვნებაში, რომელიც უნდა იყოს საფუძველი კინომსახიობთა თეატრის: რეჟერტუარის, რეჟისურისა და სამსახიობო ხელოვნების შემოქმედებითი პროცესისა.

ასეთი პროფესიული რწმენით ვიყავი შთაგონებული ჩემი მასწავლებლის, გიორგი ტოვსტონოგოვის, მაღალნიჭიერების წყალობით და ჩემი რწმენა და რესპუბლიკის ხელმძღვანელთა მხარდაჭერა გახდა საფუძველი, ამხანაგ ფილიპე ერმაშს თანხმობა მოეცა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ კინომსახიობთა თეატრ-სახელოსნოს ჩამოყალიბებისა.

საჭირო იყო აგრეთვე საკავშირო კულტურის სამინისტროს ოფიციალური თანხმობა.

ჩემი 14 წლის საქართველოს კულტურის მინისტრის პირველ

მოადგილედ მუშაობა იმედს მაძლევდა, რომ ამ საკითხის გად-
ანწყვეტა არ გამიჭირდებოდა და ასეც მოხდა. კულტურის სამინ-
ისტროდან მივიღე დადებითი დასკვნა.

საკავშირო სახკინოსა და კულტურის სამინისტროს თანხმო-
ბის წერილების საფუძველზე, მიხეილ ქუთათელაძემ საკავშირო
საგეგმო კომიტეტსა და ფინანსთა სამინისტროში დადებითად
გადაწყვიტა.

მეორე და ასევე მნიშვნელოვანი საკითხი გახლდათ კინო-
სარეჟისორო და სამსახიობო ფაკულტეტის დაარსების შესახებ
თხოვნა.

ცნობისათვის – თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში
1940 წლიდან არსებობდა დრამის მსახიობთა და რეჟისურის
ფაკულტეტი, საჭირო იყო ტირე – კინორეჟისურა - კინოსამსახ-
იობო ფაკულტეტი. ამ (-) ტირეს გადაწყვეტა არ შეეძლო რესპუბ-
ლიკის ხელისუფლებას, ამიტომ გავემგზავრეთ ქ. მოსკოვში!

ამ საკითხთან დაკავშირებით საჭირო იყო ამხანაგ ფილიპე
ერმაშის მხოლოდ თანხმობა, რადგან საკითხს წყვეტდა საკავ-
შირო უმაღლესი სკოლებისა და საშუალო სპეციალური გა-
ნათლების სამინისტრო. ამხანაგ ფ. ერმაშს ვთხოვე არა მარტო
მხარი დაეჭირა, არამედ მინისტრ ვ. ელიუტინს დალაპარაკე-
ბოდა მხარდაჭერის მიზნით. ფილიპე ერმაშს სიცილი აუტყდა
და გვკითხა, ახლა კი ვრწმუნდები, სრულ დამოუკიდებლობას
აცხადებთ (როგორც ჩანს ენამ უყვილა!). გასაგები იყო, რომ წინ
დიდი ბრძოლები გველოდა.

ვ. ელიუტინთან შეხვედრა უსიამოვნო ნოველაა.....

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო მიხეილ ქუთათელაძის საფუძვ-
ლიანი მუშაობა, რომელიც მან ჩაატარა უმაღლესი სკოლების
მთავარი სამმართველოს აპარატში იმისათვის, რომ მიგველო
დასტური კინორეჟისურისა და კინოსამსახიობო ფაკულტეტზე
ერთჯერადი მიღების ნებართვა.

მოსკოვიდან ხელდამშვენებულები დავბრუნდით. დადებ-
ითად გადაწყდა კინოსტუდია „ქართულ ფილმთან“ კინოსახ-
იობთა თეატრ-სახელოსნოს დაარსება, თეატრალური ინსტი-
ტუტის სტრუქტურაში, - კინოსარეჟისორო და კინოსამსახიობო

ფაკულტეტის დაფუძნება - ერთჯერადი მიღებით.

ამ ეიფორიაში ვიყავით, რომ მინისტრთა საბჭოში მოვიდა საკავშირო განათლების მინისტრის, ე. ელიუტინის, სამთავრობო ტელეგრამა, სადაც ნათქვამი იყო კატეგორიულად – თუ თეატრალურ ინსტიტუტს არ გამოეყოფოდა დამატებით 500 კვ.მ. ფართი, ბრძანება ძალაში არ შევა. ჩავვარდით საგონებელში.“

ასე მთავრდება აკ. დვალიშვილის მიერ ჩემთვის გადმოსაცემად დატოვებული 11-გვერდიანი ხელნაწერი „ესე ამბავი კინომსახიობთა თეატრ-სახელოსნოს დაარსებისა“.

დღეს ეს თეატრი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მეოთხე ათეულს ითვლის. ის მიხეილ თუმანიშვილის სახელობისაა და საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში წარმატებული მონაწილეობით მსოფლიოშია ცნობილი. მის შესახებ ბევრი რამ დაიწერა. რა თქმა უნდა, მისი შექმნის შესახებაც, მაგრამ, რაც აკაკი დვალიშვილის ამ მოგონებამ გვიამბო, არავის უთქვამს.

თვითონ მან კი მხოლოდ ახლა და ამნაირად შემატყობინა. რატომ დუმდა აქამდე? რამდენი შეცდომა გვაქვს დაშვებული ყველას, ვისაც ამ თეატრის შესახებ დაუწერია. მათ შორის მეც, რომელმაც პატარა ნარკვევი წიგნად ასეთი სათაურით გამოვაქვეყნე - „როგორ შეიქმნა თეატრი-სტუდია სახელოდებით „თეატრალური სახელოსნო“. იქ ნათქვამია, რომ ეს თეატრი აღმოცენდა თეატრალურ ინსტიტუტში არსებული ე.წ. „მეთერთმეტე აუდიტორიის თეატრის“ წიაღში და მას არავითარი კინემატოგრაფიული ინტერესები არ გააჩნია. მისი შემოქმედებითი ამოცანები წმინდა თეატრალურია. მართალია, აქვე ისიცაა ნათქვამი, რომ „ახალგაზრდული კოლექტივის თეატრად გადაქცევა ორი კინემატოგრაფისტის - კინორეჟისორ რეზო ჩხეიძისა და პროფესიით თეატრის რეჟისორის - აკაკი დვალიშვილის (იმხანად საქართველოს კინოს სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის) დამსახურებაა, მაგრამ სინამდვილეში თურმე როგორ ყოფილა?!

საიდან უნდა გვცოდნოდა? ვინ ისურვა, ვინ გაბედა ამ საშინელი ბიუროკრატიული მექანიზმის გამომზეურება, რომელიც

აკ. დავალიშვილის ამ ხელნაწერშია აღწერილი?

სიტყვით არც ჩემთვის უთქვამს არაფერი, მაგრამ ხელნაწერი დამიტოვა, - სიმართლე, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა თქმულიყო, თუნდაც იმათი პატივისცემით, ვინც ასე იბრძოდა კიდევ ერთი ეროვნული თეატრის დაარსებისათვის. ვუსრულებ ამ სურვილს და მის ხელნაწერსაც სრული სახით ამიტომ ვაქვეყნებ. აქამდე მას აკაკი დავალიშვილის პირადი არქივი ინახავდა.

პირადი არქივი... საქართველოში ბევრია ასეთი – საზოგადოებისათვის დღესაც უცნობის მომცველი, გარდასულ დროთა ცხოვრების ამსახველი ათასნაირი ანარქელით მდიდარი.

რადგან ნებისმიერი ანმყო წარსულს ეფუძნება და იმ წარსულში დიდადაა განპირობებული, მისი ამრეკლავის ღირებულება ცხადია.

... ყველა არქივი მდუმარეა და მუდამ მომლოდინე - იქნებ, ვინმეს დაჭირდეთ!... თუ დასჭირდა და მივიდა, მაშინ იგი უშურველად გასცემს ყველა თავის განძს... ამ დროს ანარქელებში ჩაბუდებული წარსული გაცოცხლდება და ჩვენ ანმყოს შეუერთდება. დამყარდება დროთა კავშირი! ჩვენ კი გავმდიდრდებით ცოდნით, აღვივსებით პატივისცემით და სიყვარულით მათდამი, ვინც იღვანა ჩვენი ანმყოსათვის.

...არქივები გველოდებიან. ზოგჯერ თვითონაც მოდიან ჩვენთან, როგორც ამჯერად.. იქნებ მაინც ჩვენ მივიდეთ.. იქ ხომ მხოლოდ ანარქელებია... ქაღალდის ფურცლები.. რამდენს გაუძლებენ ჩვენს მოლოდინში...

ნათელა ურუშაძე

დასვენილი ინტელიგენტი

ცხოვრებამ მარგუნა ბედნიერება, რომ სიყრმიდან ერთად ვყოფილიყავით მიხეილ თუმანიშვილი, გოგი გეგეჭკორი, ეროსი, აკაკი დვალისძე... შეკრული და მეგობრული ოჯახი გვეკონდა შემოქმედებაში. დაინტერესებულნი ვიყავით ერთმანეთის საქმიანობით. მართლაც, ბედნიერი დრო იყო!

კაკო დვალისძე უაღრესად განათლებული, განონასწორებული, ბრწყინვალე მონაცემების პიროვნება იყო. ასეთები თითებზე ჩამოსათვლელნი არიან ჩემს ცხოვრებაში. რასაც კი ხელს მოჰკიდებდა, ყველაფერს რუდუნებით აკეთებდა, მთელი არსებით, მთელი გულით.

ცალკე თემაა, როგორი მეუღლე იყო. თავდავინწყებით უყვარდა მარინე თბილელი, სრული ჰარმონია სუფევდა მათ შორის, ხალასი და სითბო იდგა მათს ოჯახში. სიცოცხლის ბოლო წლებში გვერდიდან არ მოშორებია მეუღლეს, არ მიუტოვებია არც ერთი წუთით. ასეთი ერთგულება შეეძლო მას, ნიჭითა და სილამაზით აღსავსეს, ყოველგვარ ჭორსა და უხამსობაზე მაღლა მდგომს.

აკაკი დვალისძე, პირადად ჩემთვის, ასოცირდება დამოუკიდებელ ადამიანთან. იგი იყო თავისი მიზნისა და ჩანაფიქრის პატიოსნად გამტარებელი, პრინციპული, ბავშვურად გულკეთილი, არა რბილი, თუმცა ტაქტი და თავდაჭერილობა არასოდეს აკლდა. სიმართლე იყო მისი ცხოვრების პრინციპი. აკაკი დვალისძე სინონიმია დახვეწილი ინტელიგენტის, პატიოსნების, სიმართლის, გულკეთილობის, ნიჭიერებისა და, საერთოდ, მართალი კაცისა.

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს ასეთი შვილები!

მედეა ჩახავა

ქართული კინოს პატრონი

ჩვენი ძვირფასი აკაკი დვალიშვილი, ბატონი კაკო, შესანიშნავი ადამიანი და შემოქმედი! კინოსტუდიაში მისი მოღვაწეობის პერიოდი იყო მშვენიერი, რადგან ვიცოდით, რომ მხარში გვედგა პიროვნება, გულანთებული, საქმის მცოდნე და კინოს დიდი გულშემატკივარი. დღემდე მახსოვს მისი არაჩვეულებრივი სიმშვიდე და სითბო.

ერთი ასეთი ინციდენტი მახსენდება: ჩემი ერთ-ერთი ფილმი იმ დროისათვის შედარებით რალაც გაბედული გამოვიდა. ამის გამო, კინოსტუდიის დირექტორსა და კომიტეტის თავმჯდომარეს აშკარა უსიამოვნება ემოქრებოდათ, რადგან მათ დაუშვეს ასეთი გაბედულება. კომუნისტურ ეპოქაში ასეთი წესი იყო, სანამ მოსკოვის საკავშირო ეკრანზე საჩვენებლად ფილმს გაუშვებდნენ, მანამდე იგი ცეკას უნდა ენახა. დანიშნულ დროს წავედით მთავრობაში მე, რ. ჩხეიძე და კაკო. ფილმის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო. თუ არ მიიღებდნენ და დაიწუნებდნენ, ამით დიდი ფინანსური ზარალი მაიდგებოდა კინოსტუდიას. ველავდი ძალიან, უფრო კინოსტუდიის ბედზე, ვიდრე ჩემს ფილმზე. უნდა გენახათ, როგორ იქცეოდა კაკო, რა სიმშვიდით, თავშეკავებით, განონასწორებული, იუმორით აღსავსე. სწორედ მან გადაგვატანინა ყველაფერი. ცეკაში დილით მისულები საღამომდე არ მიგვიღეს, გვალოდინეს. მოგვშივდა. კაკომ თქვა; „როგორ მშია, ერთი, სადმე, ნიორზე პატარა პური ჩამანანუნებინა და მეტი არაფერი მინდაო“.

როგორც იქნა, დაგვიძახეს, შევედით, თბილად მიგვიღეს. ფილმის დაწუნების შემთხვევაში კაკოს, როგორც ხელმძღვანელს, დიდი უსიამოვნება ელოდა, მაგრამ ის ამ ყველაფერზე მაღლა იდგა, ერთი არ დაუნუნუნებია, საყვედური, სამდურავი არ წამოსცდენია ჩემ მიმართ. იგი ჩვენთან ერთად იზიარებდა მთელ პასუხისმგებლობას. საბედნიეროდ, ფილმი მოენონათ, ბევრიც იცინეს, არანაირი შენიშვნა არ გამოუთქვამთ და მოგვცეს ვიზა მოსკოვში წასაღებად. ამ პატარა ეპიზოდში სრულად გამოვლინდა ა. დვალიშვილისთვის დამახასიათებელი

ვაჟკაცობა და პატიოსნება.

ნათქვამია, ადამიანს მოგზაურობაში უკეთ ეცნობიო. მეც მქონდა სიამოვნება მგზავრობისას ვყოფილიყავი კაკოს გვერდით. ირანის კინოფესტივალზე მიიწვიეს ჩემი ფილმი „პირველი მერცხალი“. მე, დოდო აბაშიძე და ბ-ნი კაკო ერთად გავემგზავრეთ თეირანში. როგორი კეთილმოსურნე, ამხანაგური, თბილი და ყურადღებიანი იყო ეს ნიჭიერი რეჟისორი. ჩვენმა ფილმმა მიიღო ორი ოქროს პრიზი, საუკეთესო ფილმისა და მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის. ის ოქროს ვერძი საუკეთესო ოქროსგან იყო დამზადებული. მახსოვს, სამინისტროში კაკო რაღაც მედლებს არიგებდა, ყველას მისცეს. მივედი და ვუთხარი: ბ-ნო კაკო, ყველას რომ ჩამოურიგეთ ეს მედლები, რა მოხდებოდა, ერთი ჩემთვისაც მოგეცა-მეთქი“. ასე მიპასუხა: შენ რომ პრიზი გაქვს სახლში, ამისთანა მედლებს მასში ერთ „იაშიკს“ მაგართმევო.

სანიმუშო და სამაგალითო ადამიანი იყო აკაკი დვალიშვილი, მისი „უფროსობის“ ხანა კინოსტუდიაში ჩვენთვის იყო მიმზიდველი და მომხიბვლელი. კაკოსთანა ადამიანების ბედნიერება იმაშია, რომ მათი სიკვდილის შემდეგაც არ ნელდება ის სიყვარული და პატივისცემა, რომლითაც სარგებლობდა ხალხში და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ქართული კინო იარსებებს!

ნანა მჭედლიძე

რჩეულთა შორის რჩეული

აკაკი დვალიშვილი იყო უკეთილშობილესი ქართველი ვაჟკაცი, რჩეულთა შორის რჩეული მამულიშვილი, უკიდევანო და უსაზღვრო სითბოთი სავსე გაჭირვებულთა მიმართ, ახალგაზრდების დამხმარე, მათი აღზრდისა და მომავლისათვის მზრუნველი მეგობარი.

ხელგაშლილი ქველმოქმედი ქართველი – ბატონი კაკო დიდი მოაზროვნე და საბჭოთა პერიოდში ხელოვნების სფეროში გამოუვალი მდგომარეობის დროს უმტკივნეულოდ და ტაქტიკურად გამართლებული ხელმძღვანელი იყო, გამოგონებათა და იდეათა დიდოსტატი. აღსანიშნავია ისიც, რომ მალე თანამდებობათა პოსტზე სამსახურის დროს ეხმარებოდა უმწეო და გამოუვალ სიტუაციაში ჩავარდნილ ადამიანებს, რომ ცხოვრებისეული დიდი ტრაგიკული გაჭირვების დროს შეშველებოდა მათ, რათა მათი სიცოცხლე და ოჯახები გადაერჩინა განადგურებისაგან. და ეს უანგარო დახმარება მარტო თბილისში მცხოვრებ ადამიანებს არ ეხებოდათ. ბ-ნ კაკოს რეგიონებიდან და შორეული სოფლებიდანაც კი ჩამოჰყავდა გაჭირვებული ახალგაზრდობა, რომელთაც თვეობით და წლობით საკუთარ ბინაში ინახავდა.

კარგად დააკვირდით აკაკი დვალიშვილის იმ პორტრეტს, ამ წიგნის ყდას რომ ამშვენებს. მის პიროვნებაზე წერა საჭიროც კი არ არის. ნახეთ, რამდენი სითბო, სიყვარული და უბრალოება, მაღლიერება, მოკრძალება და კეთილშობილების შუქი იფრქვევა მისი სახიდან და თვალებიდან.

ასეთი გვახსოვს და ასეთად დარჩება აკაკი დვალიშვილი თავისი ერის ხსოვნაში!

ნინო ჩხეიძე

ადამიანური სიტუატი და სიკეთით აღსავსე რეჟისორი

როცა თეატრალურ ინსტიტუტში ჩავირიცხე, აკაკი დვალ-იშვილი დამამთავრებელ კურსზე სწავლობდა. გაგონილი მქონდა, რომ ძალიან ნიჭიერი იყო, იმდენად ნიჭიერი, რომ მისაღებ გამოცდებზე გიორგი ტოვსტონოგოვმა ფრიადი მხოლოდ მას დაუნერაო. 1950 წლიდან რუსთაველის თეატრის მსახიობი გავხდი, ჩემი და კაკოს მეგობრობა იქაც გაგრძელდა და გაღრმავდა. ღვიძლი ძმასავით მიყვარდა. მე მის სამ სპექტაკლში ვითამაშე: გამარჯვებულთა ღიმილი, ხალისიანი მეგობრები და ახალგაზრდა მასწავლებელი.

ცალკე სკოლა იყო აკაკი დვალიშვილის რეპეტიციები, უაღრესად საინტერესო და დასამახსოვრებელი. ბ-ნი კაკო შინაურულ, ოჯახურ ატმოსფეროში ატარებდა რეპეტიციებს ისე, რომ მისი ხმამალალი სიტყვა არ მახსოვს. მისგან მხოლოდ მეგობრული დამოკიდებულება და დიდი სიყვარული იგრძნობოდა მსახიობების მიმართ. გვეხმარებოდა გმირის ხასიათის გახსნაში. მას აინტერესებდა და უყვარდა ადამიანი სცენაზე. შემოვიდოდა ჩვენს საგრიმიროროში, დაყნოსავდა გრიმს და იტყოდა: ამის სურნელი მიყვარსო. უზომოდ უყვარდა თავისი პროფესია, ძალიან ნერვიულობდა და ღელავდა პრემიერის დღეს, მაგრამ მოვიდოდა ჩვენთან და, როგორც მშობელი დაამშვიდებს შვილებს, ისე გვანუგეშებდა. უაღრესად ადამიანური იყო, ყველას დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ისე, როგორც შეშვენის დახვეწილ ინტელიგენტსა და დიდ ერუდიტს. ჩემი ბედნიერებაა, რომ ასეთ პიროვნებასთან და ასეთ რეჟისორთან ვმეგობრობდი.

კარგად მახსოვს, როგორ შევწუხდით ყველანი, როცა გავიგეთ, რომ აკაკი დვალიშვილი თეატრიდან უნდა გადაეყვანათ კულტურის მინისტრის მოადგილედ. გული წყდებოდა მასაც. სწორედ მაშინ ვაჩუქე წიგნი ასეთი წარწერით: „ჩემო უსაყვარლესო რეჟისორო, შენ მიდიხარ თეატრიდან და გვტოვებობლად, უპატრონოდ, რა გვეშველება?! ხანდახან მაინც გაგ-

ვიხსენე. მუდამ შენი პატივისმცემელი და მოსიყვარულე მსახიობი ყუყუნა დუგლაძე”.

უკვე მინისტრის მოადგილე აკაკი დვალიშვილს ვხვდებოდი პრემიერებზე, სალამოებზე... არასოდეს მაგრძნობინებდა, რომ მაღალი თანამდებობის პირი იყო. თბილად მხვდებოდა – როგორ ხარ, გოგო - ასე მომიკითხავდა, თუმცა სევდა თეატრთან განშორებისა მასში ყოველთვის იგრძნობოდა. კაკო ძალიან ფაქიზი ბუნების კაცი იყო, საოცარი ადამიანი, მას არ შეეძლო მსახიობი დაეჩაგრა, გაეშვა თეატრიდან... ცნობილი თეატრმცოდნე ვ. კიკნაძე თავის მემუარებში წერს, რომ თეატრი ერთდროულად არის სამოთხეც და ჯოჯოხეთიც. ჩემი აზრით, ბ-ნი კაკო ამ ჯოჯოხეთს გაექცა, თუმცა თავისი თანამდებობიდანაც ძალიან ბევრს ეხმარებოდა ქართულ თეატრსა და მსახიობებს.

ბედნიერი ვიყავი, როცა მან ცოლად შეირთო ულამაზესი და უნიჭიერესი მსახიობი მარინე თბილელი. მერე ბაია გაჩნდა, ღირსეული მშობლების ღირსეული მემკვიდრე. დღეს, როცა აკაკი დვალიშვილი მარადისობის მკვიდრია, – ეს სახელი ჩემთვის უკავშირდება რაინდული თვისებების, უკეთილშობილეს, კარგ ქართველს, პრინციპულსა და გულჩვილ ადამიანს.

ყუყუნა დუგლაძე

დიდი მოღვაწე

აკაკი დვალიშვილი ერთ-ერთი ბრწყინვალე პიროვნება იყო, ვისაც კი ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე შევხვედრივარ. ჩვენი მეგობრობა 1944 წლიდან დაიწყო, როდესაც თეატრალურ ინსტიტუტში სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტები გავხდით, მაშინ მე 16 წლის ბიჭი ვიყავი, კაკოს კი პოლიტექნიკური ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული, ჩემზე ექვსი წლით უფროსი და ჩამოყალიბებული პიროვნება იყო. ეს განსხვავება ბოლომდე შემოგვრჩა და, მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს მაგრძნობინებდა, სიცოცხლის ბოლომდე უფროს მეგობრად მიმაჩნდა, რომლის აზრსაც ჩემთვის ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. კაკომ, როგორც რეჟისორმა, ძალიან საინტერესოდ დაიწყო მოღვაწეობა რუსთაველის თეატრში. განსაკუთრებით მიყვარდა მისი ბრწყინვალე წარმოდგენა დადგმული მ. ჯაფარიძის პიესის, „ჩვენებურების“, მიხედვით. სპექტაკლი გამოირჩეოდა ღრმა ეროვნული აზროვნებით, რეალისტური მანერით და შესანიშნავი მსახიობური მიგნებებით. მისი პირველივე სპექტაკლები დიდი მოწონებით სარგებლობდა და ნათელი იყო, რომ ქართულ თეატრში მოვიდა საინტერესო და პერსპექტიული რეჟისორი. ამ დროს მე, სრულიად ახალგაზრდა რეჟისორი, ქუთაისის თეატრში ვმუშაობდი სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე. კაკომ დამირეკა და მთხოვა, თბილისში ჩამოვსულიყავი და დღის 15 საათზე მასთან ბინაში მივსულიყავი. მე, რა თქმა უნდა, იმ ღამესვე წამოვედი და დათქმულ დროს მივედი მასთან. იქ დამხვდა ჩვენი თანაკურსელი, მეგობარი და მომავალი ბრწყინვალე რეჟისორი – მ. თუმანიშვილი. კაკომ გვითხრა, რომ იგი დაიბარა ცეკას მაშინდელმა პირველმა მდივანმა, ვ. მჟავანაძემ, და შესთავაზა საქართველოს კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობა. იმ დროს ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო, ვინაიდან ასეთ თანამდებობას მხოლოდ პარტიულ მუშაკებს სთავაზობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკმაოდ საპატიო წინადადება იყო, კაკოს ძალიან უჭირდა თეატრის დატოვება

და საშინლად განიცდიდა შექმნილ მდგომარეობას. მას აინტერესებდა ჩვენი აზრი. დიდხანს ვისხედით, ვისადილეთ ერთად, ღვინოც დავლიეთ (მიშამაც დალია, მიუხედავად იმისა, რომ, საერთოდ, არ სვამდა). ძალიან დაგვაფიქრა გადანყვეტილების მიღებამ, მაგრამ, ბოლოს, მივედით იმ დასკვნამდე, რომ კაკოს შეეძლო ამ თანამდებობაზე დიდი სიკეთის მოტანა ქართული კულტურისათვის. მართლაც, კულტურის მინისტრის პირველი მოადგილისა და საქართველოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე იმდენი სიკეთე მოუტანა ქართულ კულტურას, რომლის აღწერაც შეუძლებელია ამ მოკლე წერილში. ის ყოველთვის სათავეში ედგა ყოველ პროგრესულ მოვლენას ქართულ ხელოვნებაში, გამოიჩინებოდა გასაოცარი ობიექტურობითა და გამბედაობით. მან მსხვერპლად შესწირა პირადი შემოქმედება ქართული კულტურის ინტერესებს. აკაკი დვალიშვილი ყოველთვის გვერდით გვედგა თავისი გონივრული გადანყვეტილებებითა და რჩევებით. მისთვის ყველაფერზე მაღლა იდგა ქვეყნის ინტერესები და მთელი ცხოვრება შესწირა ქართულ ხელოვნებას.

გიგა ლორთქიფანიძე

ქრისტიანული მორალის კაცი

თბილისში ყოველი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი საკითხი, რაგინდ თითქოს სამთავრობო წრეებში ხდებოდეს და იქ, სადაც ჯერ არს, დიდი მსჯელობისა და საიდუმლო ატმოსფეროში მიმდინარეობდეს, მგონი, უპირველეს ყოვლისა, თბილისის ქუჩებს მოივლის, ქალთა წრეების სატელეფონო მსჯელობის საგნად იქცევა და მხოლოდ მერე წყდება მაღალჩინოსანთა კაბინეტებში. შეიძლება, ეს არც თუ ზუსტი სურათი იყოს, მაგრამ ჩვენ ჩვეულებრივ მოკვდავთ ამ საკითხზე თითქმის ასეთი წარმოდგენა გვაქვს.

ასეა თუ ისე, (იყო და არა იყო რა...) რამდენიმე წლის წინათ (მგონი სამი თუ ოთხი ათეული წლის წინათ, ზუსტად ვერ ვიტყვი) გაიმართა ცხოველი მსჯელობა და აზრთა გაცვლა ჩემი პერსონის გარშემო...ვივარგებდი თუ არა მე კინოსტუდია “ქართული ფილმის” დირექტორად... რამდენად შევეფერები კინოსტუდიის ხელმძღვანელის პოსტს. პირველ აზრს, რომ რეზო ჩხეიძე კარგი კანდიდატურაა ამ თანამდებობისთვისო, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, აკაკი დვალიშვილი, აყენებდა. ოპოზიციის რამდენიმე წევრმა სანინააღმდეგო აზრი ასე ჩამოაყალიბა: “ბატონო კაკო, ნუ იზამთ ამ საქმეს, თორემ ჩვენს სინამდვილეში ასე იქნება: თუ რაიმე კარგი და საზეიმო მოხდება ქართულ კინოში, ყოველივეს რეზო ჩხეიძეს მიაწერენ, თუ რაიმე გაფუჭდება შენ მოგაწერენ“.

ბატონ აკაკის ჩაუცინია და ასე უპასუხია: „არაფერია, მე მიჩვეული ვარ სცენაზე ფარდის უკან დგომას, მთავარია, საქმე გაკეთდესო.“

საოცარი პასუხია! ამას მილიონ კაცში ერთი თუ იტყოდა! ამ პასუხში ჩანს ბატონი აკაკის მთელი უბრალოება, მთელი ცხოვრებისეული სიბრძნე... თუმცა ყველამ ვიცოდით, ფარდის უკან რომ ბატონი აკაკი იდგა, სინამდვილეში ის იყო ნამდვილი ავტორი მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი რეფორმისა ჯერ კულტურის სამინისტროში და შემდეგ ქართულ კინემატოგრაფიაში. თავისი მომხიბვლელი ღიმილით იგი შეუძლებელს აღწევდა, ბოროტს კეთილ სულს ჩაუდგამდა და ისე გამოუშვებდა თავისი სამუშაო კაბინეტიდან.

როდესაც ქართული კინო დაანგრეეს, გახლიჩეს, ადამიანები

ერთმანეთს დაუპირისპირეს, ისედაც მცირე, კინოსთვის სრულიად შეუფერებელი დაფინანსება დააქუცმაცეს, რამდენჯერმე მიფიქრია, რამდენჯერ მითქვამს: აკაკი დვალიშვილი რომ ადგილზე ყოფილიყო, ამას არ დაუშვებდა-მეთქი. დიახ, აკაკი იმდენი გამარჯვების და სიკეთის შემქმნელი იყო, რომ ქართული კინოს დაცემას და დაყრუებას არ დაუშვებდა!

ყოველ წელიწადს კინოსტუდია „ქართული ფილმი“ 30 ფილმზე მუშაობდა! იყო ბრწყინვალე გამარჯვებები!... იყო გამარჯვებები!... იყო საშუალო ფილმებიც... მაგრამ არც ერთი არ ყოფილა სულიერად მახინჯი, არაქრისტიანული მორალის, ქართული ეროვნული მენტალიტეტის შემლახველი...

„ქართული ფილმი“ – ქართული კულტურის ცენტრი გახლდათ. კინოსტუდია საქართველოს პოლიტიკური ცენტრიც იყო. „ქართული ფილმი“ ჩვენი ერის სიამაყე იყო! მე მნამს, რომ აკაკი დვალიშვილი მის დაცემას არ დაუშვებდა. ბატონ აკაკის გარეშე ეს პროცესი ვერ შევაჩერეთ. მეტად ძნელი აღმოჩნდა მსოფლიო გლობალიზაციისა და საქართველოს ეკონომიკის დაცემის ხანაში კინოსტუდია „ქართული ფილმის“ გადარჩენა. იმაშიც კი დარწმუნებული ვარ, ეს ობიექტი სწორედ რომ სიაში ჰყავდათ არჩეული, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეროვნული ცენტრი! ბატონი აკაკი ამ დროს უკვე ტროსტიტ ხელში, როგორც პენსიონერი, დინჯად დააბიჯებდა ვაკის პარკში და ამ სამყაროს ოდნავ მოჭუტული თვალით გაჰყურებდა — აქაო და მე რაღა უნდა ვქნა, ახლა ხომ აღარც ფარდის უკან ვდგავარ, საერთოდ, საქმიდან გამორიყესო...

დიახ, ეს უდიდესი პატრიოტი, ნამდვილი ქრისტიანული მორალის კაცი გარიყეს და, როგორც ეს საქართველოში იციან, წარმავალი ხალხის რიგში ჩააყენეს!

რა მშვენიერი ღიმილი იცოდა ბატონმა კაკომ! როგორ უხდებოდა ეს ღიმილი ნაჭირნახულევე ქართველ კაცს...ეს ღიმილი, ალბათ, მომავლისადმი რწმენით იყო გამთბარი და ის არა მარტო ქართულ თეატრს, არა მარტო ქართულ კინოს, არა მარტო მისი შესანიშნავი მეუღლის ხსოვნას – მარინე თბილელს, არა მარტო მის შვილებს და შვილიშვილებს, არამედ მთელ საქართველოს ეკუთვნოდა!

რეზო ჩხეიძე

ერის ბელზე ჩაფიქრებული

აკაკი დვალისვილიდან დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებდა. თეატრალურ ინსტიტუტში მე პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა ის მეხუთე კურსზე იყო. ხშირად მესმოდა ორი სახელი: აკაკი დვალისვილი და მიხეილ თუმანიშვილი. მას იმთავითვე გამორჩეული სტუდენტის სახელი ჰქონდა. ჩვენ იმ წლებიდან დავუახლოვდით ერთმანეთს და დავმეგობრდით. ორჯერ მქონდა ბედნიერება მის სპექტაკლში მეთამაშა. პირველად 1953 წელს, მაშინ, როცა მან დადგა საკმაოდ გახმაურებული „ახალგაზრდა მასწავლებელი“. ამ წარმოდგენას მაყურებელი არ აკლდა, ძალიან კარგი დადგმა იყო და ყველა კმაყოფილი ტოვებდა დარბაზს.

საერთოდ, ა. დვალისვილი ძალიან საინტერესო რეჟისორი, ნიჭიერი, წესიერი კაცი იყო, რეპეტიციებიც სასიამოვნო ჰქონდა, არანაირი კაპრიზებით არ შეგანუხებდა, სწორად მუშაობდა და იგრძნობოდა, რომ მსახიობი უყვარდა. 1955 წელს კაკომ დადგა ს. კლდიაშვილის მიერ გადმოქართულებული ვ. როზოვის „ხალისიანი მეგობრები“, რომელშიც მე მთავარი როლი ვითამაშე. მას უკვე გზა ხსნილი ჰქონდა, როგორც ახალგაზრდა საინტერესო, იმედის მომცემ რეჟისორს... მაგრამ უცებ ხმა დაირხა, რომ აკაკი დვალისვილი თეატრიდან წავიდაო. მახსოვს, სრულიად გაკვირვებული დავრჩი, რადგან მას არავისთან არ ჰქონია კონფლიქტი, უპრობლემოდ მუშაობდა და კარგ რეჟისორადაც ითვლებოდა. იგი გახდა ჩინოვნიკი – კულტურის მინისტრის პირველ მოადგილედ დაინიშნა. მერე ვიფიქრე, რომ თეატრალურ სეზონში ერთ სპექტაკლს მაინც დადგამდა. ვეუბნებოდი: კაკო, რა მოხდა, ნიჭიერი კაცი ხარ, დადგი რაღაც, მოდი თეატრში. გამიღიმებდა და მეტყოდა: კი, მაგაზე მეც ვფიქრობო. მე კი ველოდებოდი, მოვა, პიესას მოიტანს და რაღაცას დადგამს-მეთქი, მაგრამ ის თეატრში აღარ დაბრუნდა.

ძალიან მენანებოდა ა. დვალისვილი შემოქმედებითი მუშაობის გარეშე. იგი თანდათან ჩაეფლო თავის სამუშაოში და ჩამოყალიბდა სახელმწიფო მოღვაწედ, თანაც ყველას უყ-

ვარდა, ყველა კმაყოფილი იყო მისი მუშაობით. ჰაკოსაც მოს-
ნონდა თავისი სამსახური, სიყვარულით აკეთებდა ყველაფერს
და საქმეს არაფერს არ აკლებდა. ასე იცხოვრა ბოლომდე
სიკეთით, პროფესიის, საქმის ერთგულებით.

ძალიან ძნელია დაივიწყო ის ადამიანი, რომელთანაც შენი
შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისში ორი მთავარი როლი
იტამაშე. ასე განსაკუთრებული გახდა ჩემთვის აკაკი დვალიშ-
ვილი. საოცარია ისიც, რომ, მიუხედავად ასაკისა, არ გატყდა,
სიბერემ ვერ სძლია. მართალია, ჯოხით დადიოდა, მაგრამ ახ-
ალგაზრდულად შემართული, ჯანმრთელი, სალად მოაზროვნე
და ისევ ისეთივე საინტერესოდ მოსაუბრე – ერის ბედზე
ჩაფიქრებული!

რამაზ ჩხიკვაძე

მრავალმხრივ სამაგალითო

თეატრალურ ინსტიტუტში მსახიობის ოსტატობის კურსი ჩვენთან ერთი წელი აკაკი დვალიშვილს მიჰყავდა. საინტერესო იყო მისი როგორც საერთო, ასევე ინდივიდუალური გაკვეთილები. დილიდან გვიან ღამემდე ინსტიტუტში ვიყავით. არ გვეცალა ქუჩისა და დროსტარებისათვის. სასწავლებელში ძალზე საყვარელი და საინტერესო საქმით ვიყავით დაკავებული. სწორედ ჩემმა ძვირფასმა პედაგოგმა ჩამინერგა საკუთარი თავის რწმენა და საქმის სიყვარული. მაღლიერი ვიყავი მისი და ვფიქრობ, გრძნობდა კიდევ ამას. უაღრეს პატივს ვცემდი ბატონ აკაკის, როგორც პედაგოგს, რეჟისორს, თეატრის დირექტორსა თუ კინოსა და კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელ-ორგანიზატორს. განათლებული, პრინციპული, სამართლიანი, პატიოსანი, საქმის მცოდნე და თავდაუზოგავი მშრომელი იყო.

ჩემი სტუდენტობის დროს აკაკი ხორავა 60 წელს მიახლოებული იყო, უკვე საკმაოდ წონამომატებული, ინსტიტუტის, თეატრალური საზოგადოების, კინოსა თუ თეატრის, აგრეთვე დეპუტატის საქმეებით გადატვირთული. გვიყვარდა და მოწინებით ვეპყრობოდით, მაგრამ აკაკი დვალიშვილმა კიდევ უფრო მეტად შემაყვარა ეს გოლიათი არტისტი. 1947 წელს მოსკოვში, რუსთაველის თეატრის გასტროლებზე, აკაკი ხორავა თამაშობდა ოტელოს. ბატონი კაკო მომიყვა: ამ სპექტაკლს მაყურებელთა დარბაზიდან ვუყურებ. მაყურებელი სულგანაბული მისჩერებია სცენას. ფინალისკენ ოტელომ უკვე მოკლა დეზდემონა და ამ დროს ეუბნებიან, რომ უმიზეზოდ, უსაფუძვლოდ მოუკლავს, ვინც თავს ერჩინა და, რომ ეს იაგომ დამართა. ეს მოვლენა რომ შეაფასა, უცებ ხორავა, ეს ბუმბერაზი კაცი, სადღაც დამეკარგა, ველარ ვხედავო. ერთბაშად ვერ გავერკვიე, რა მოხდა! თურმე ოტელოს შეფასების გამო შეძრული დარბაზი ფეხზე ამდგარა და ჩემ წინ მდგომი მაყურებლის ზურგსა ვხედავდი. მერე მეც წამოვდექი და თეატრში განცდილი უდიდესი სასწაულის მომსწრე გავხდი. ოვა-

ცია იმდენ ხანს გაგრძელდა, ხორავა იძულებული გახდა, ოდნავ დაეკრა თავი დარბაზისათვის მაღლობის ნიშნად და მერე გააგრძელა მოქმედება. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, სტუდენტებს მხრებზე შეუსვამთ და ხელში აყვანილი მიუყვანიათ სასტუმრომდე.

დღემდე ვინახავ ბატონ კაკოს ორ ღია წერილს შევარდნაძისადმი მიწერილს. ორივეში ქვეყნის ეკონომიკის განვითარების, ხსნის შესახებაა საუბარი. რა ღრმა ცოდნა და გულისტკივილია, ზრუნვა პატრიოტი კაცისა! ერთხელ მითხრა: სამხატვრო თეატრში ქართველი მსახიობებიდან მესხიშვილის შემდეგ შენ გერგო ასეთი წარმატება. ამისთვისაც სამუდამოდ მაღლიერი ვარ მისი!

აკაკი დვალიშვილი მრავალმხრივ სამაგალითო იყო საქმეში, ცხოვრებაში, კაცობაში, მეგობრობაში, არაჩვეულებრივი მეუღლე და მამა! კარგი იყო დალოცვილი და ასეთი დარჩება ჩემსა და ბევრის ხსოვნაში.

ოთარ მეღვინეთუხუცესი

მოღვაწე

თუკი შესაძლებელია ადამიანის პიროვნული არსის ერთი სიტყვით გამოხატვა, მაშინ აკაკი დვალიშვილის მიმართ ზედმინვენით ზუსტი იქნება ცნება მოღვაწისა. საზოგადო ასპარეზზე მას წარმართავდა დიად წინაპართა ცხოვრებისა და აზროვნების სტილი.

აკაკი დვალიშვილმა შეძლო შეუძლებელი – თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ბოლომდე შეინარჩუნა უმნიშვნლო ადამიანისათვის დამახასიათებელი ყველა ის თვისება, რომლებიც ასე ამშვენებს და გამორჩეულს ხდის პიროვნებას.

მშვენივრად დანყებული რეჟისორული კარიერა, რომელიც დაკავშირებული იყო რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი მეთოდისა და სტილის ძირულ განახლებასთან (სპექტაკლი „ჩვენებურები“), მან მოულოდნელად სულ სხვა კალაპოტში გადაიყვანა – გახდა მაღალი რანგის „ჩინოვნიკი“ – საქართველოს კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე. სიტყვა „ჩინოვნიკი“ შემთხვევით არ ჩამისვამს ბრჭყალებში, რადგან, რაც მან ქართული კულტურის განვითარებისათვის გააკეთა, თავისი მასშტაბურობითა და ეროვნული მიზანდასახულობით, შორს სცილდებოდა სამსახურებრივი მოვალეობის საზღვრებს და იძენდა სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას სწორედ იმ პერიოდში, როცა ოფიციალური იდეოლოგია თრგუნავდა ყოველივე ეროვნულს და სატიკად ებრძოდა თავისუფალი აზრის გამოვლენას.

იგი ბუნებით დემოკრატი იყო. დემოკრატი არა მხოლოდ ადამიანებთან ურთიერთობაში, არამედ უმთავრესში: ხელოვნების მოვლენების აღქმასა და შეფასებაში. დელიკატური და ჭეშმარიტად ტოლერანტული, შეუპოვარი და ქედუხრელი იყო, როცა საქმე ეხებოდა მის ზნეობრივ და მოქალაქეობრივ პრინციპებს, მის მსოფლგაგებასა და მსოფლალქმას.

აკაკი დვალიშვილს შეეძლო სხვისი შემოქმედებით აღფრთოვანება, რაც თვისებაა მხოლოდ თავისუფალი პიროვნებისა, რომელიც ხელოვნებაში შეზღუდული არ არის არც ე. წ.

მიმდინარეობებით თუ მეთოდებით და არც რომელიმე ერთი სტილისადმი ბრმა მორჩილებით. დაჯილდოებული იყო სიახლის, ნოვატორობის მძაფრი შეგრძნებით, ყოველთვის მხარს უჭერდა პროგრესულ მოვლენებს, ამიტომაც თანაბრად უყვარდათ თეატრალებს, მხატვრებს, მუსიკოსებს, ბოლოს კი – კინემატოგრაფისტებს, რაც სრულიად ბუნებრივია, იგი იყო საქართველოს კინემატოგრაფიის მინისტრი, ანუ იმყოფებოდა ისეთ პოსტზე, რომელიც იდეოლოგიის ყველაზე მძაფრი და საყოველთაო ყურადღების ცენტრში გახლდათ მოქცეული. ეს კი იმასაც მოწმობს, რომ იგი დიპლომატიური ნიჭითაც იყო დაჯილდოებული და თავისი ეროვნული მოღვაწეობისას შესაშურ ელასტიკურობას ავლენდა.

ყველაფერთან ერთად, აკაკი დვალიშვილი მომხიბვლელი პიროვნება იყო, კეთილგანწყობილი და მიმტევებელი. ამ თვისებების წყალობით, მას შეეძლო ადვილად მოეპოვებინა სხვათა კეთილგანწყობა.

საინტერესოდ და ცოცხლად წერდა. მისი ერთ-ერთი თეატრალური სტატიის (ვგონებ, საერთოდ, პირველი წერილის) „ინსპირატორი“ მე ვიყავი, როცა მან ჩემი თხოვნით ამ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებისთვის“ დაწერა მშვენიერი ანალიტიკური წერილი მ. თუმანიშვილის სპექტაკლზე „ესპანელი მღვდელი“.

სიცოცხლის ბოლო წლებში კი მრავალი მძაფრი პუბლიცისტური წერილის ავტორად მოგვევლინა, რომლებიდანაც განსაკუთრებული სიცხადით გამოსჭვივოდა მისი ეროვნული სულისკვეთება და ღრმა წუხილი საქართველოში მომხდარი მძიმე მოვლენების გამო.

ბედნიერი ვარ, რომ ჩემს არქივში ინახება აკაკი დვალიშვილის პირადი ბარათები, რომლებშიც იგი მიზიარებდა თავის შთაბეჭდილებებს ჩემი წიგნების („რეჟისორი რობერტ სტურუა“ და „სამყარო თეატრალის თვალთ“) ირგვლივ.

ნოდარ გურაბანიძე

ბამორჩეული

არ მხვდა წილად ბედნიერება მენახა აკაკი დვალიშვილის სპექტაკლები, როცა იგი რუსთაველის თეატრში მივიდა და ახალი ხედვა, გარდაქმნის სულისკვეთება მიიტანა. მე ჯერ კიდევ სენაკის რკინიგზის საშუალო სკოლაში ვსწავლობდი და წარმოდგენა არ მქონდა იმაზე, თუ რა ხდებოდა ქართულ თეატრში.

წლების შემდეგ, როცა უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდდი, ბ-ნი აკაკის სპექტაკლები თეატრის რეპერტუარში არ იყო. იმდროინდელი ახალგაზრდობისათვის თეატრალური (და არა მხოლოდ თეატრალური!) ნოვაცია მიხეილ თუმანიშვილის სპექტაკლებში იყო გაცხადებული. მისი თეატრალური ესთეტიკა მიგვაჩნდა მთავარი ყურადღების საგნად, ხოლო დიმიტრი ალექსიძის „ბახტრიონი“, „ოიდიპოსი,“ თუ სხვა სპექტაკლები დიდებულ თეატრალურ სკოლად გვესახებოდა.

ამ კონტექსტში აკაკი დვალიშვილი არ იკითხებოდა. წლების შემდეგ, ბ-ნი აკაკის კოლეგების მოგონებებმა, თეატრის ისტორიკოსთა შრომებმა, ახლო წარსულის თეატრალური ცხოვრების შესწავლამ მიმანიშნა, რომ აკაკი დვალიშვილი ერთ-ერთი პირველთაგანი გახლდად იმათ შორის, შოთა რუსთაველის თეატრში ახალი სტილისტიკის დამკვიდრების აუცილებლობა რომ იგრძნო და სწორედ ამ სულისკვეთებით მივიდა თეატრში.

მისი ფიგურა მოგვიანებით იკვეთება, როცა იგი კულტურის მინისტრის მოადგილეა და ბევრი თეატრალური მოღვაწე სინანულით კითხულობს „რატომ“, „რისთვის“. ეს კი ნიშნავდა შემდეგს: „ასეთი კარგი რეჟისორი რატომ, რისთვის ჩამოაშორეს თეატრს, რატომ გაგზავნეს ადმინისტრაციულ სამუშაოზე?“.

ამკარა იყო, კომუნისტურ ხელისუფლებას ამ გადაწყვეტილებას უწუნებდნენ.

მოგვიანებით კი თავად ბ-ნი აკაკის ერთ მოგონებაში ამოვიკითხე, თუ რაოდენ სამგლოვიარო განწყობილება დაეუფლათ

მას და მის მეგობრებს, როცა კულტურის მინისტრის მოადგილის თანამდებობა შესთავაზეს.

ცხადია, არ ვიცი ვისი ჩანაფიქრი იყო ეს, ვინ მიიჩნია, რომ რუსთაველის თეატრის ახალგაზრდა რეჟისორი აკაკი დვალისშვილი ძალიან კარგი ხელმძღვანელი იქნებოდა. ვინც არ უნდა იყოს იგი, მიმაჩნია, რომ გონივრული გადაწყვეტილება მიიღო. მან ამ პიროვნებაში არა მხოლოდ შემოქმედი, ის მოღვაწე აღმოაჩინა, რომელიც ქართულ კულტურას დიდ სამსახურს გაუწევდა.

ამბობენ, ადმინისტრაციული სამსახური ერთობ უმადური საქმე გახლავთო. არა ვგონებ, სწორი იყოს: თუ ქვეყანა, ის საქმე გიყვარს, რომელსაც ემსახურები და მასაც შემოქმედებითად განიხილავ, შეუძლებელია უმადური იყოს, რადგან იმაში, რასაც ხელოვანი ქმნის, შენი წვლილიც დიდია.

აკაკი დვალისშვილი სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კაცი გახლდათ, სწორედ ისეთი, რუსები „გოსუდარსტვენნი მუჟს“ რომ ეტყვიან. ასეთი ადამიანები კი საქართველოს მხოლოდ დღეს არ სჭირდება. მისებურად მოაზროვნე ადამიანების დეფიციტი ყოველთვის იყო – რასაკვირველია, არა იმ მასშტაბებში, როგორც არის დღეს.

არ არის იოლი სათქმელი, თუ რა სარგებლობას მოუტანდა ბ-ნი აკაკის რეჟისურა რუსთაველის თეატრის რეპერტუარს. თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, როგორც მან შემოქმედებითი ცხოვრება დაიწყო, ალბათ, ბევრი სიკეთის განმაპირობებელი იქნებოდა, მაგრამ დღევანდელი დღის გადასახედიდან მკაფიოდ იკითხება მისი ადგილი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული კულტურის განვითარებაში.

ეს ის ხანაა, როცა სახელმწიფო ჩინოვნიკები, უმეტესწილად, სკამის დარაჯნი, თავთავიანთი თანამდებობების როლის შემსრულებელნი უფრო არიან, ვიდრე ამათუიმ დარგის მშენებლები. აი, ასეთ წლებში აკაკი დვალისშვილი – ეს უაღრესად დახვეწილი ინტელიგენტი – გახლდათ ხელებდაკაპინებული მშენებელი ეროვნული კულტურისა.

ბოლო წლებში ჩემი მასთან შორიასლო ურთიერთობა

მადლევს უფლებას ვთქვა, რომ ეს იყო ერთობ ახლებურად, თანადროულად მოაზროვნე ადამიანი, მოღვაწე, რომელიც ღებულობდა სწორ გადანყვეტილებებს. ამიტომ ითამაშა მან დიდი როლი, ზოგადად, ქართული კულტურისა, კონკრეტულად, ქართული თეატრისა და კინოს განვითარებაში, ჯერ როგორც საქართველოს კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ და შემდეგ როგორც კინოკომიტეტის თავმჯდომარემ. რა მადლევს ამის თქმის უფლებას? ამ ადამიანს მოსდევდა თვისება, თავის ირგვლივ შეექმნა, დაემკვიდრებინა შემოქმედებითი ატმოსფერო. ამგვარ შემოქმედებით ატმოსფეროში ჩნდება ის ტენდენციები ქართული თეატრისა თუ კინოსი, რომელმაც საქართველოს დიდება მოუტანა. იმ ეპოქაში, როცა მინისტრობა ბევრისთვის კორუფციასთან ნილნაყარობა, ამბიციის დაკმაყოფილების ასპარეზი გახლდათ, აკაკი დვალიშვილი ქართულ კულტურის ასპარეზს უხსნიდა ხალოვანთ.

ბატონი აკაკი ჩემთვის სხვა კუთხითაც მნიშვნელოვანი პიროვნება იყო. იგი ქართულ თეატრალურ მემუარისტიკას უკავშირდება: ქართულ თეატრალურ ლიტერატურაში არის რამდენიმე საინტერესო მემუარული ხასიათის ნიგნი, მაგრამ თანამედროვე ქართული თეატრალური ლიტერატურა მრავალფეროვნებითა და ნიგნმრავლობით ვერ დაიკვეხნის. მას, ალბათ, ის გარემოება განაპირობებდა, რომ ჩვენი თეატრალური მოღვაწენი უფრო ზეპირი, ემოციური თხრობით იყვნენ გატაცებულნი, ვიდრ მემუარისტიკით ან ეპისტოლარული ჟანრით. ვასო აბაშიძის გზით ბევრი არ ნავიდა – მან ხომ თავისი დროის თეატრალური ყოფის მშვენიერი დოკუმენტი დაგვიტოვა. დააკვირდით: ყველამ, ვინც ნიგნიერებასთან ახლოს გახლდათ, შესანიშნავი თეატრალური ლიტერატურა დაგვიტოვა: კოტე მარჯანიშვილმა, აკაკი ვასაძემ, მიხეილ თუმანიშვილმა, სხვებმაც, მაგრამ ეს „სხვებმაც“ არც თუ ისე ბევრია. არადა, ძალიან საინტერესო ეპოქაში უხდებოდათ ცხოვრება.. თითქოს პარადოქსია: საბჭოთა, სოციალისტური რეალიზმის ეპოქაში ადამიანებს ძალიან მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ცხოვრება ჰქონდათ.

აკაკი დვალისძეოს თვალწინ ბევრმა რამემ ჩაიარა. იგი იყო ინსპირატორი ან მონაწილე მნიშვნელოვანი შემოქმედებითი პროცესებისა. არ ძალუძდა თავისი საქმე გადაედო და ხელში კალამი აეღო. ამ საქმეს მან სიცოცხლის ბოლო წლებში მოჰკიდა ხელი. მე კი, როგორც „თეატრისა და ცხოვრების“ რედაქტორი, ასეთ ინიციატივას ყოველთვის მივესალმები, ვცდილობ, რაც შეიძლება მეტმა ღირსეულმა მოღვაწემ ისაუბროს მის მიერ განვლილ გზაზე. ხოლო აკაკი დვალისძეოს მიერ განვლილი გზა დიდი წიგნის ცალკეული თავებია.

და ბ-ნმა აკაკიმ კალამს მოჰკიდა ხელი.

სარედაქციო მუშაობაში ძალიან კარგად ჩანს ადამიანთა ბუნება.

არსებობს ასეთი ფორმა: ავტორი რეკავს რედაქციაში და გეუბნება: „რაც მთხოვე, დავწერე, გამოაგზავნე ვინმე, რომ წაილოს“.

ჩემთვის გასაგებია, თუ როგორია ეს კაცი, რაგვარი წარმოდგენა აქვს თავის თავზე.

აი, მიხეილ თუმანიშვილი კი თავისი ფეხით მოდიოდა რედაქციაში და რაოდენ უცნაურიც არ უნდა გეჩვენებოდეთ, მორიდებით, დიდი მოკრძალებით შემოაღებდა კარს. ასე მოიგანა „ჯარისკაცის ჩანაწერები“, მაგიდაზე დააღაგა ხელნაწრი – მოსწავლის რვეული და მითხრა:

– აბა, ნახეთ, თუ ვარგა რამედ!

ვარგოდა კი არა...

აკაკი დვალისძეოს, მიუხედავად იმისა, რომ კარგა ასაკოვანი კაცი იყო, დამირეკავდა და მკითხავდა, რა დროს ხარ რედაქციაში, უნდა მოვიდე. მოვიდოდა, ხელნაწერს დატოვებდა და, თუ მისი მეგობარი გიგა ლორთქიფანიძე თავის კაბინეტში არ იყო, წავიდოდა, თან ჟურნალის ბოლო ნომერს გაიყოლებდა. ახლაც ვხედავ, თუ როგორი ჩქარი ნაბიჯით მიდის იგი ლეონიძის ქუჩაზე.

პირველმა დედანმა – მოგონებამ ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ამკარა იყო, იმ თეატრალურ მოღვაწეთა მცირერიცხოვან რიგს განეკუთვნებოდა, რომელთაც შეუ-

ძლიათ სწორედ კალმის მეოხებით გადმოსცენ თავიანთი დიდი ცხოვრების ამბავი. დაჯერეკე და მადლობა გადავუხადე ასეთი მშვენიერი მოგონება ჩვენთან რომ მოიტანა.

– არ მატყუებ, ბიჭო, მართალს ამბობ? – მეკითხება.

მე მინდა ამ „ბიჭოზე“ ვთქვა ორიოდ სიტყვა. ბატონი აკაკის მიერ წარმოთქმული „ბიჭო“ საუბრის განსაკუთრებულ აურას ქმნიდა. გიდასტურებდა, რომ მთქმელი იყო გულგახსნილი, უშუალო, შლიდა ასაკობრივ თუ თანამდებობით, ბიოგრაფიით მოპოვებულ ზღვარს, ავტორის წასაქეზებელი კომპლიმენტის ადგილსაც კი არ ტოვებდა.

არადა, მე მართლა გულწრფელად ვაფასებდი ხოლმე მის ნაწერს, რადგან ჩინებულად ხატავდა სიტუაციას, ენის საიდუმლოთა ფლობა კი იმას ადასტურებდა, რომ ქართულ მწერლობას კარგად იცნობდა. ანალიტიკოსიც მშვენიერი გახლდათ.

ასე რომ, ჟურნალის ავტორის გამხნევება კი არა, მადლობის თქმა მიხდებოდა, მადლობა იმის გამო, რომ ასეთი მშვენიერი პუბლიკაცია სწორედ ჩვენს ჟურნალს მისცა.

ადამიანის ნაწერი მისი სულის სარკეა. ყოველი ადამიანი ისე წერს, როგორც ცხოვრობს, ფიქრობს, თავის სულიერი სანყაო გადააქვს ქალღმრთელზე. აკაკი დვალიშვილის ოპუსები მის სულიერ სისავეს, ჯანსაღ სულისკვეთებას, ადამიანებისადმი პატივისცემას გვიდასტურებდა. და კიდევ იმას, რომ იგი ზნეობრივი პიროვნება გახლდათ. მისი ზნეობრიობა ყველაფერში ვლინდება. დასტურად მინდა მოვიშველიო აკაკი ხორავაზე დანერლი მისი შესანიშნავი მოგონება-პორტრეტი. დღეს, როცა ქართული თეატრის კორიფეებზე, უმეტესწილად, განმაქიქებელი, დამაკნინებელი სტატიების წერაში ჰპოვებენ შვებას, აკაკი დვალიშვილმა შექმნა ამ დიდი მსახიობის ჩინებული პორტრეტი, გვაჩვენა რაობა შემოქმედისა.

* * *

ამ ორიოდ წლის წინათ ბატონმა აკაკიმ ერთი ჩინებული ღამე მაჩუქა. ტელეფონმა საკმაოდ გვიან დარეკა:

– ხომ არ გძინავს, ბიჭო! – პაუზა – რას გეტყვი იცი? მე შენ ბოდიში უნდა მოგიხადო – ბატონი აკაკი ვიცანი.

– ბატონო აკაკი, გიცანით, თქვენ ისეთი რა უნდა გაგეკეთებინათ, მე რომ ბოდიში უნდა მომიხადოთ!

– რა არი, ბიჭო, იცი? იცი, რატო უნდა მოგიხადო ბოდიში? ნავიკითხე შენი რომანი „ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა“. არ ვიცოდი, თუ ასე კარგი მწერალი იყავი.

საუბარი დიდხანს გაგრძელდა.

მე იმ ღამეს ქართული მწერლობის ჩინებული მცოდნე, ეროვნული კულტურის დიდი გულშემმატკივარი, მისი მშენებელი მელაპარაკებოდა და ეს ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისა გახლდათ.

ცხოვრება უწყვეტი მდინარეა, არასოდეს არ ჩერდება. ცხოვრების გზაზე ათასგვარ პიროვნებასთან გვაქვს ურთიერთობა. მერე ამ ურთიერთობის ეპიზოდები ქრება, ყოველდღიურ მდინარეებაში ინთქმება. და რა გვრჩება ჩვენ, იმათ, ვინც ისევ აქა ვართ? – მხოლოდ სასიამოვნო განცდა იმის გამო, რომ ერთ დროს, ცხოვრების ამათუიმ ეტაპზე გვქონდა ურთიერთობა ღირსეულ, გამორჩეულ ადამიანებთან და ეს განცდა მთელი ცხოვრების განმავლობაში გდევს თან.

იქნებ, ეს ის არის, რაც წუთისოფელს გვილამაზებს!

გურამ ბათიაშვილი

სულნათელი

ჩვენი სულნათელი აკაკი დვალიშვილი დააკლდა ყველას, მის გარეშე განიძარცვა და გაფერმკრთალდა სამძო-სამეგობრო, რამდენ მადლსა და სიკეთეს დავემშვიდობეთ და მოვაკლდით მისგან განდობილნი და ძმად შეფიცულნი!

რამდენი რამ მაქვს მოსაგონებელი მარჯანიშვილის თეატრში, კულტურის სამინისტროსა თუ საპურმარილო სუფრასთან ერთ ჭერქვეშ, ერთად გატარებული დროის გასახსენებლად. რომელი ერთი გავიხსენო, რომელი ერთი აღმოვთქვა მისდა მისაგებლად სიტყვა საქებარი ანდა სამადლობელი – დიდი გრძნობით გაცხადებული, რასაც მუდამ იმსახურებდა, მაგრამ მუდამყამს გაკვირვებული შეიცხადებდა და გვაჩუმიებდა. ახლა კი დრო მინდა ვიხელთო და ხმამაღლა, ვინც მას ნაკლებად იცნობს, ვაუწყო: არ არსებობს სიტყვა საქებარი, მისთვის რომ არ მემეტებოდეს; და განა მარტო მე, ყველას, ვინც იცნობდა და ცხოვრების უკანასკნელ გზაზე მიაცილებდა ჩვენს გულმართალ, უკეთილშობილეს ადამიანს, სიკეთისა და სიყვარულის სახელით ნამოღვაწარს, მისი სიბრძნით უხვად მომადლებულს, ხელოვნების ეროვნულ ფასეულობათა მოდარაჯვსა და საიმედო მეციხოვნეს!

თეატრალური სამყაროს ემისრებს (და ასეთად მუდამ რეჟისორები მოიაზრებიან), ბევრთაგან ბევრს, შინ თუ გარეთ, თან დაჰყვებათ ამპარტავნობისა და ამბიციურობის გენეტიკური სენი.

ბატონ კაკოსთან კი ნურას უკაცრავად, გამადიდებელი შუშითაც რომ ვყოფილიყავით შეიარაღებულნი, მსგავსს ვერაფერს შევნიშნავდით და ამაოდ დავშვრებოდით ცნობისმოყვარე მაძიებლები.

იმ დროს, 50-იან წლებში, აკაკი დვალიშვილი რუსთაველის თეატრის რეჟისორი და თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი გახლდათ. მე და ვასილ კიკნაძეს, მესამე კურსის მერხებზე მსხდომ „თეატრალურ კრიტიკოსებს“, გვეყო სითამამე (უფრო კი თავხედობა) დაგვეწერა და გაზეთ „ლიტერატურული

საქართველოს” ფურცლებზე გამოგვექვეყნებინა ერთობლივი წერილი, რომელშიც გამანადგურებელი კრიტიკის ქარ-ცეცხლში იყო გატარებული სერგო კლდიაშვილის პიესის „დღესასწაული საკრეულაში“ დამდგმელი რეჟისორი აკაკი დვალიშვილი და უპირველესი ქართული თეატრის, რუსთაველის თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკა, რომელსაც ვითომ და სუსტად, „ცხოვრებისაგან მონყვეტილად და უღიმღამოდ“ წარმართავდნენ სცენის ტიტანები, აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე. ჩვენ სამივე აკაკისაგან აშკარად მოსალოდნელი რისხვისა გვეშინოდა და, როგორც კი გამოჩნდებოდა თუნდაც ერთი იმათგანი ინსტიტუტის დერეფანში, მე და ჩემი ძმაკაცი ერთმანთს ვასწრებდით და თავპირისმტვრევით გავრბოდით. ამ სირბილში აკაკი ხორავას კი გავექეცით, მაგრამ აკაკი დვალიშვილს ზედ არ გადავანყდით?! ამაზეა ნათქვამი: ვაის გავეყარე და უის შვეყყარეო.

ჩვენ დერეფნის კედელს მორცხვად ავეკარით. „ამპარტავანი“ და „ამბიციური“ რეჟისორ-ემისარი, ჩვენ რომ გვეგონა მეხივით დაგვაცხრებოდა თავზე და საყვედურებითა და ლანძღვით აგვიკლებდა, ღიმილით გამოემართა ჩვენკენ და, ნიშნად მშვიდობისა, ხელი გამოგვიწოდა, თან დასძინა: თქვენ მართლები ხართ, მე სპექტაკლი ჩამივარდა. ჩემთვის, მწერლისა და თეატრისათვის ეს ძალიან სანყენია. ასე უნდა გწყინდეთ თქვენც: სინანული, თანაგრძნობა და გულისტკივილი უნდა იგრძნობოდეს თქვენს კრიტიკულ ნაწერებში თეატრის მარცხის გამო. მხოლოდ ასეთი კრიტიკაა სასარგებლო. მე აქ ჩემს თავზე არა მაქვს ლაპარაკი, თეატრს მოფრთხილება სჭირდება და არა რისხვა და ანათემაზე გადაცემა.

დაახლოებით, ასე დაგვმოძღვრა და დაგვაკვალიანა ახლად გამომცხვარი კრიტიკოსები ჩვენმა კეთილმოსურნემ ზნეობრივ, ეთიკურ ნორმებთან დაკავშირებით, რასაც ის მუდამ იცავდა და ისიგრძეგანებდა საკუთარი უამბიციო, თავმდაბალი და კეთილშობილური ბუნებიდან გამომდინარე ყველგან და ყოველთვის, სულ ერთია, იყო ის რუსთაველის თეატრის რეჟისორი თუ უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგი, მარჯან-

იშვილის თეატრის დირექტორი, ამავე თეატრის სარეჟისორო კოლეგიის თავმჯდომარე, კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე თუ საქართველოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

ახლა, რაც შეეხება მის სპექტაკლებთან დაკავშირებულ მოგონებებს.

1954 წელია. მე ქუთაისში გამამწესეს ლალო მესხიშვილის სახელობის თეატრში სალიტერატურო ნაწილის გამგის თანადეობაზე სამუშაოდ. თეატრს გიგა ლორთქიფანიძე თავკაცობდა და მის საცხოვრებელ ოთახში ხშირად ვიკრიბებოდით და ვმსჯელობდით ქართული სათეატრო ხელოვნების აქტუალურ, საჭირობოროტო თემებსა და პრობლემურ საკითხებზე. თბილისიდან ახლად ჩამოსული რეზო ხობუა სიტყვის თქმას არავის აცლიდა, ისე იყო აღფრთოვანებული ბატონ კაკოს მიერ რუსთაველის თეატრში დადგმული მ. ჯაფარიძის „ჩვენებურებით“.

ჩვენ მაინც ჩვენი თეატრის ბედი გვანუხებდა და სიტყვას ვაწყვეტივით: რამ გაგაგაჟა, რა იყო, რა მოხდა ასეთიო?!

– მიხო ჩიხლაძე რომ აგატირებს და თვალცრემლიანი გამოგისტუმრებს მაყურებელთა დარბაზიდან, მეტი რაღა უნდა მოხდეს, თქვე დალოცვილებოო! (ბატონი მიხო, როგორც იტყვიან, ოჩოფეხებზე შემდგარი, ზეანეული, ყალბი რომანტიკულ-პათეტიკური თეატრის მსახიობის სიმბოლოდ აღიქმებოდა იმ დროის თეატრალურ წლებში. ეს პათეტიკა იმდენად მძლავრობდა მასში, რომ არა მარტო სცენაზე, არამედ ცხოვრებაშიც ყველგან დაჰყვებოდა და არც თუ ისე იშვიათად თავს ახსენებდა).

როგორც კი თბილისში ჩამოვედი და „ჩვენებურები“ ვიხილე, უმაღ ვირწმუნე, ჩვენი რეზოს უზომო აღტაცებასა და დიდ შთაბეჭდილებას უტყუარი, მყარი საფუძველი რომ გააჩნდა.

სიმართლისა და განცდა-გარდასახვის ურთულესი გზით გაცხადებულმა სცენურმა ესთეტიკამ აქ საშურ დონეს მიაღწია და ერთ-ერთ პირველ მძლავრ საპროტესტო განაცხადად

გაჟღერდა რუსთაველის თეატრში იმ დროს გამეფებული და დრომოჭმული შემოქმედებითი ტენდენციების საპირისპიროდ. ამას მოჰყვა „ახალგაზრდა მასწავლებელი“ და ამავე ესთეტიკის შთაგონებით რეალიზებული ბატონ აკაკის სხვა დადგმებიც. ასე აღმოჩნდა ხელოვანი განახლება-გარდაქმნისათვის მებრძოლი „შვიდკაცას“ უპირველესი თანამდგომი და თანაზიარი საქმით, რწმენით, მიზანდასახულობით, მაგრამ არა მათ „ამქარში“ გარეგნით. საამისოდ მას ბორკავდა სინდისი, მისთვის ესოდენ ნიშანდობლივი ზნეკეთილობა. ამორალურად მიაჩნდა სცენის გიგანტების, აკაკი ხორავასა და აკაკი ვასაძის, რომლებმაც მას, ახლად კურსდამთავრებულს უპირველესი ქართული თეატრის კარი გაუღეს და შემდგომშიაც არ აკლებდნენ ყურადღებას, წინააღმდეგ აშკარად ოპოზიციურ დაჯგუფებაში აღმოჩენილიყო, თუნდაც რიგით უკანასკნელიც კი.

შემდგომ მოვლენები ისე განვითარდა, რომ ბატონი აკაკი, ზემდგომი ორგანოების წინადადებით, რომელიც იმ პერიოდისათვის ბრძანების ტოლფასი გახლდათ, იძულებული შეიქნა დაეთმო სარეჟისორო ასპარეზი და 1957 წლიდან შედგომოდა სხვადასხვა ადმინისტრაციულ-სახელმძღვანელო პოსტზე მუშაობას.

ეს არ იყო მუშაობა. ეს გახლდათ ეროვნული, პატრიოტული, მოქალაქეობრივი ღრმა შეგნებით აღსავსე მოღვაწეობა ჭეშმარიტი მამულიშვილისა.

რა არ იღონეს, რა ბრძოლები არ გადაიტანეს ბატონმა აკაკომ და რეზო ჩხეიძემ, ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან განდობილებმა და მისგან დაკვალიანებულებმა (ვიყოთ ობიექტურები და მივაგოთ მისაგებელი ადამიანს, მიუხედავად მის გარშემო ამტყდარი ვაკხანალიისა!), ბოლშევიკური ტირანიის წინააღმდეგ დაძრული და პირველად საქართველოში აზვირთებული ტალღა რომ მოჰფენოდა დედამიწის ერთ მეექვსედს და შემდგომ მთელ მსოფლიოს ნეტარსენებული თენგიზ აბულაძის კინოშედეგის „მონანიების“ საჯარო დემონსტრირებით.

არანაკლებ წინააღმდეგობას წააწყდა აკაკი დვალისვილი ადრეც, როცა ის კულტურის მინისტრის მოადგილედ მუშაობ-

და და ცისფერ გალერეაში ლადო გუდიაშვილის ნამუშევრების ვრცელი, რეტროსპექტიული გამოფენის ნებართვის მისაღწევად თავგადადებული იბრძოდა.

ამ გამოფენის მოწყობას ბევრი მოწინააღმდეგე და მოშურნე ჰყავდა თანამდებობრივად აღზევებულ და გავლენიან მხატვრებშიც კი. ისინი ცენტრალური კომიტეტების იდეოლოგიურ მესვეურებს უმტკიცებდნენ, რომ არა თუ სოციალისტური რეალიზმის, რეალიზმის ნასახიც არ არის ლ. გუდიაშვილის ნამუშევრებში და მათი საჯარო დემონსტრირება სწორი გზიდან ააცდენს ახალგაზრდა გამოუცდელ მხატვრებს, სამხატვრო აკადემიის სტუდენტობას.

ბატონი აკაკი კი, პირიქით, მოძღვრავდა ზემდგომ ინსტანციის კაბინეტებში მოკალათებულ და გამოფენების სანქციის უფლებამოსილებით აღჭურვილ პერსონაჟებს და არწმუნებდა, რომ გარეგანი, ყოფითი სინამდვილის ფოტოგრაფიული ასახვის ეპოქა დიდი ხანია დამთავრდა და დროა მას დავემშვიდობოთ, რომ კაპიტალიზმს მარტო ეკონომიკურად კი არა, ამ მხრივაც უნდა დავენიოთ და გავუსწროთ. საფრანგეთში 20-იან წლებში ორჯერ გამოფინეს პრესტიჟულ საგამოფენო დარბაზებში ლადო გუდიაშვილის ნამუშევრები და ჩვენ რა ჯანდაბა გვჭირს, რა ღმერთი გვინყრებაო!

ჯანდაბას, რაც არის არისო და დართეს ნება.

1957 წლის 10 ნოემბერია, გამოფენის გახსნის წინა დღე. იმ დღეს ბატონმა კაკომ მოგვაკითხა სამეგობრო თანამშრომლებს, დროებით დაგვატოვებინა სამინისტროს შენობა და ცისფერი გალერიის მთელ კედლებზე გამოფენილი სწორუბოვარი ქმნილებების სანახავად ნაგვიძღვა საჭირო კომენტარებითა და საბრძოლო ბატალიების გახსენებით, რაც მას გადახდა გამოფენისათვის თანხმობის მისაღწევად.

ჩვენ არ ვტოვებდით არაფერს უნახავად. მივდიოდით ნელა. მივდიოდით კი არა, შთაბეჭდილებით აღტაცებულნი, მეცხრე ცაზე ვფრინავდით. მით უფრო მაშინ, როცა ჩვენს ჯგუფს ბატონი ლადოც შემოუერთდა, ჩვენდა დიდად გასახარად!

– არ აჩქარდეთ, ყურადღებით ათვალიერეთ ყველა ნამუ-

შევარი, – გვაფრთხილებდა ბატონი კაკო.

– არა, რას ამბობთ, ჩვენ ხვალაც აქა ვართ.

– ხვალ ვინ იცი, რა მოხდეს, – თავისთვის, ოდნავ გასაგონი ხმით ჩაილაპარაკა ბატონმა კაკომ. და მოხდა კიდეც!

მეორე დღეს, გამოფნის გახსნამდე ერთი საათით ადრე, აკაკი დვალიშვილის კაბინეტში მთავრობის ტელეფონის გაბმული ზარი ახმიანდა. ბატონმა კაკომ ტელეფონის ყურმილი აიღო. ტელეფონში გაისმა:

– გამოფენა არ უნდა გაიხსნას, ასეთია გადაწყვეტილება.

– კი მაგრამ! – იყვირა ბატონმა კაკომ, მაგრამ გამგონი ვინ იყო?! ტუ-ტუს გაბმულმა სიგნალმა ავტომატის ჯერივით გაიხმიანა. მე ისეთი თავზარდაცემული აღამიანი არ მინახავს, როგორც ბატონი კაკო იყო იმ წუთებში. ტელეფონის ყურმილი დაახეთქა, მაგიდაზე დალაგებული ქაღალდები სულ მიყარმოყარა. ჩანს, გამოფენის ნებართვას ეძებდა, მაგრამ რას მოძებნიდა, ისე იყო აღელვებული და მოთმინების ყველა ზღვარს გადაცილებული. შემდგომ, ერთი პირობა ჩაცხრა, ბობოქრობა შეწყვიტა, დინჯად დანვდა ტელეფონის მილს და კარგა ხანს იდგა გაფითრებული, ყოყმანობდა, საკუთარ თავს ებრძოდა, დაერეკა თუ არა.

– არა! – დაიღრიალა და ტელეფონის ყურმილი კვლავ დაახეთქა, რალაც ჩაიგინ-ჩაიბურტყუნა და გაცოფებული გაიჭრა გარეთ.

ცისფერი გალერიის წინ აუარებელი ხალხი იყო თავშეყრილი.

– ჩამომეცალეთ გზიდან, გამატარეთ! გალერეა დაკეტილია, არ გაიხსნება... მორჩა და გათავდა... მიბრძანდით შინ! – ხალხის ასაბუნტებლად გაჰყვიროდა ბატონი კაკო და კარებისაკენ გზას მიიკვლევდა, მაგრამ გზის გაკვლევისას, მარჯვნივ და მარცხნივ, იმავე ხალხს მათთან განდობილ მემამბოხესავით მოუწოდებდა: მიდით, მიდით მიაწეკით! რას დამდგარხართ, კარები უნდა შევანგრიოთ, ძალით უნდა გავხსნათ გამოფენა! ამის თქმა იყო და ხალხის ტალღამ ბატონი კაკო უმაღ კარებთან აღმოაჩინა.

– ხალხს ველარ ვაკავებ... მე ვარ, გააღე კარი!

– ახლავე, ახლავე, ბატონო კაკო – გაისმა შიგნდან გალერეის დირექტორის ხმა. გაიღო კარი და ერთი თვის მანძილზე არც დაკეტილა ხელოვნების მოყვარე ხალხთა სასიკეთოდ და საბედნიეროდ.

აი, ეროვნულ ფასეულობათა თავშენიწილი დამფასებლის, მოდარაჯისა და საიმედო მეციხოვნის სამსახური, რომლის აღსრულებას არასოდეს არ განერიდებოდა, არ დათმობდა და მიუჩუმათდებოდა იგი, რაოდენ დიდი განსაცდელიც არ უნდა დამუქრებოდა მის ბედსა და კეთილდღეობას.

აბა, მეგობრობის მაღლი და სიკეთის ძალა ვის გაჰკვირვებია, მაგრამ მაინც საოცარი გახლდათ ბატონი კაკოს თავგამოდება და მეხამრიდობა, როდესაც საფრთხე შეგვექმნებოდა ამა ქვეყნის მბრძანებელთა მხრიდან. ოღონდაც მისასვლელი პირი ჰქონოდა და უმალ მის კაბინეტში აღმოჩნდებოდა და ჩვენდა დასაცავად ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებულ და პირგამეხებულს ამშვიდებდა და აშოშმინებდა:

– აბა, რას ამბობ! ალეკო ხომ ჩვენია, ანდა ვასო ხომ... ნოდარი ხომ.. და ასე შემდეგ.. ჩვენიაო და საერთო საძმოს ალიანსის სახელით ანამუსებდა მისთვის ახლობელ, მაგრამ ჩვენთვის სრულიად უცნობ ახლად შეძენილ „მეგობარს“.

როგორ გვაკლია აკაკი დვალისძვილი, გულმართალი, სულნათელი, ზეციური საქართველოს ჭემმარტი ბინადარი!

ალექსანდრე შალუტაშვილი

ჩემი უზროსი მეგობარი

აკაკი დვალიშვილი 1957 წელს გავიცანი, როგორც მოსკოვში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის ხელმძღვანელი, იმ მხატვართა ჯგუფთან ერთად, რომლებიც კულტურის მინისტრის მოადგილის კაბინეტში საგანგებოდ ვიყავით მიწვეულნი, რათა დეკადის სარეკლამო პლაკატები და აფიშები შეგვექმნა. ამავე შეხვედრაზედ აღმოვაჩინე, რომ ეს სახელმწიფო მოხელე, საბჭოეთის მოხელეთა სტანდარტებს არ მიესაგაგებოდა.

ბატონი კაკო არა მხოლოდ თავისი ქებული შარმით გამოირჩეოდა, არამედ საქმიანი მკვირცხლი აზროვნებით, რომელსაც მისთვის დამახასიათებელი, მოყვასის „შინაური“ აურაც თან ახლდა.

საინტერესოა ისიც, რომ ამ ორმოცდაათი წლის წინათ შექმნილი აფიშები, რომლთა მიმართ სიმპათიები დღემდე შემორჩა საზოგადოების მეხსიერებას, მათ შორის ცოტამ თუ იცის, რომ ჩვენი წარმატების ერთ-ერთი საფუძველი აკაკი დვალიშვილის ქომაგობა იყო.

- არა თუ მათს სახელოსნოებში (მე, დავით დუნდუასა და ოთარ ჯიშკარიანს ერთი ოთახი რუსთაველის თეატრში გამოგვიყვეს), არამედ მათ შორიახლოსაც არავინ ვნახო ჩემი ნებართვის გარეშე გავლილიო, - ბრძანა დვალიშვილმა და ასეთი კატეგორიული ვერდიქტის გამოტანა იმისთვის გახდა საჭირო, რომ „ცეკა“ საყვედურებით აიკლეს – ამ გამოუცდელ ყმანვილებს ასეთი საპასუხისმგებლო საქმე რატომ ანდეთო.

ბატონი აკაკის კარტბლანში კი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ჩვენ ვაკეთებდით იმას, რაც მოგვწონდა და ვაკეთებდით ისე, როგორც იმჟამად შეგვეძლო (ასეთი მხატვართა ჯგუფი ოთხი იყო, რომლებთაც უშუალოდ ქართული გრაფიკის მეტრი ბატონი ლადო გრიგოლია ხელმძღვანელობდა). ეს კი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ქართულ სარეკლამო ხელოვნებასაც განეცვიფრებინა მოსკოვი.

მასსოვს, სახელისუფლებო დათვალეირების დღეს ასამდე აფიშა და პლაკატი რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გამოვფინეთ, სადაც ქართული კულტურის თვალსაჩინო საზოგადოებამ მოიყარა თავი.

„ბერძენიშვილების“ (ასე ერქვა ერთ ჯგუფს), ერთ-ერთ აფიშასთან (რეზო თაბუკაშვილის პიესა „რაიკომის მდივანი“), რომელიც დავით კაკაბაძის „იმერეთის პეიზაჟის“ სტილში იყო გაკეთებული, ბატონები: აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე და გუგული ყიფიანი „გორაკებზედ შეფენილ“ ლაქათა ფერადოვნებით დაინტერესდნენ.

– ეს ყვითელი რა არის?!..

– ჰურის ყანაა, ალბათ....

– მწვანე?

– მწვანე, ცხადია, სიმინდია.

– შავი, ეს შავი ლაქა?!..

– ეტყობა ხნულებია მინდორზე....

– კი, მაგრამ ეს წითელი ნეტავ რაღაა, წითელი ჩვენ, ქართველებს, რა გვაქვს? – ხმამაღლა იკითხა გუგული ყიფიანმა.

– ბოლოკი, ბატონებო! – უნებლიედ წამომცდა მე.

იქვე კაკო და მერაბი დგანან და სიცილს ძლივს იკავებენ.

კაკომ მომიხელთა თუ არა, ჩამილაპარაკა

– ესე იგი, ბოლოკი იმერეთში თავუკულმა ამოდის არა?!..

დეკადის პლაკატების „გამარჯვება“ ერთგვარი სავიზიტო ბარათი აღმოჩნდა ჩემთვის და მე ამჯერად უკვე ბატონ აკაკი დვალიშვილს სალმნიფო გალერეაში ვხვდები, როგორც ქართული სახვითი ხელოვნების საგამოფენო კომიტეტის თავმჯდომარეს და, თუ რა საპასუხისმგებლო ფრონტის ხაზზე განამწესეს თეატრალი დვალიშვილი, მათ გასაგონად ვიტყვი: - მხატვრების „ინტრიგა“ არაფრით ჩამოუვარდებოდა არტისტების „ინტრიგას“ და ბატონი კაკო, აქაც ინარჩუნებს თავისი სეფე სიტყვის მადლს.

– დამაკვალიანე ახლა შენ - აღმოდებულ კამათში, მკითხავდა და გამონაკლისი მე როდი გახლდით.

დღემდე მახსოვს ქალბატონ ელენეს ლაკონიური და კატეგორიული ლექსიკა: – ეტოტ ?.. დურაკ!

ბატონი სერგო ქობულაძე – დაა, ეტო ნე მიკელანდჟელო!..

– როგორია, არა!.. – კითხვას რომ სიცილით კითხვითვე პასუხობდა უჩა ჯაფარიძე.

და ეს „დაკვალიანება“ განსჯილ აზრთა ერთგვარი შეჯამება იყო, თორემ ნიჭიერი და უნიჭო არასდროს არეგია ერთმანეთში დვალიშვილს.

ბატონ კაკოს არც კინოკომიტეტში დავვინყებოვარ. მახსოვს, როცა „ქართული ფილმის“ გრაფიკული ლოგო გავაკეთე მასალაში გადასატანად, „მოსფილმში“ მიმავლინა. თბილისში განხილვისას სტუდიაში კი „კინოშნიკების“ ისეთმა ელიტამ მოიყარა თავი, რომ მათ მხოლოდ დვალიშვილი თუ გაუმკლავდებოდა, თუმცა ახალმა ხელისუფალმა უმაღლესად „მასზედ უკეთესი“ იპოვა, გუგუშვილის სახით, და ბატონი კაკო „უპარდონოდ“ გაისტუმრა სახლში.

კაკოს ისე, სხვათა შორის, შევეხმიანე.

– ბატონო აკაკი, არ მოგენატრეთ, სად ვარ, რას ვსაქმიანობ. მესტურეთ ერთხელ, როცა აქეთ გამოივლით-მეთქი.

ფანდმა გაჭრა. როცა მესტუმრა, ვუთხარა

– დღეის ამას იქით შენ და მე ერთად ნავალთ აქედან „დამსახურებულ პენსიაზე-მეთქი“ და ამით ჩემი ცხოვრების პრინციპის კიდევ ერთი ნატვრა ავისრულე.

ბოლომდე ვყოფილიყავი იმ ადამიანების გვერდით, რომლებსაც თავიანთი კეთილშობილება და უნარი უშურველად შეუძლიათ გაიღონ სამშობლოსა და მეგობრისათვის.

* * *

ბოლოსთვის მოვიტოვე ის, როცა მე უსახლკარომ, ერეკლეს მოედანზე ჩავირბინე, დვალიშვილების სახლში.

– მომეცით თუნდაც გამონაცვალის ბინა. (მხატვართა ფონდმა იმჟამად საცხოვრებელი სახლი ააშენა კავსაძეზე) -

ვთხოვე ბატონ კაკოს.

– ნადი შენ და ხვალ გეტყვიან პასუხს – მიპასუხა მან.

ხვალის პასუხი კი ის გახლდათ, რუსთაველის №32-ში ერთი გამონაცვალის ოთახი მომცეს.

ერთხელ, როდესაც რუსთაველზე მისვლირობდით და ჩემი ყოფილი ეზოს წინ შეეჩერდით, კაკოს ვკითხე:

– არ გაინტერესებს, ამ ორმოცდაათი წლის წინათ რა ბინა მომეცი?!...

როცა ბნელი ქვის კიბით ეზოს მეორე იარუსზე აღმოვჩნდით, სადაც ჩემი ოთახის ფანჯრები ერთი მტკაველით სცილდებოდა მიწას, გაკვირვებულმა კაკომ მკითხა:

– ეს რა, ნახევრად სარდაფში ცხოვრობდი?

– კაკო, ეს მაშინ ჩემი ოჯახისათვის ნახევარსარდაფი კი არა, ვერსალის სასახლე იყო! ვუპასუხე მე და კიდევ ერთხელ გადაუხადე მადლობა.

ქართული კულტურისა და რეკლამის საგამომცემლო ფირმა „ბენეფისში“ აკაკი დვალიშვილმა ერთხელ კიდევ გაიბრწყინა.

საქართველოს სახელმწიფო ატრიბუტიკის ის უმნიშვნელოვანესი ნიმუშები: ლარი, თეთრი, პასპორტი, კუპონი, ვაუჩერი, რომლთა კონცეფცია და დიზაინიც „ბენეფისში“ შეიქმნა და მას საგანგებოდ შექმნილი სამხატვრო საბჭო იხილავდა: აკ. ბაქრაძე, თ. ბუაჩიძე, ვ. ბერიძე, მ. კოკოჩაშვილი, გ. მირინაშვილი, მ. ლორთქიფანიძე, მ. ბერძენიშვილი, ზ. ლეჟავა, ვ. ასათიანი, მ. მალაზონია, თ. სიგუა, ა. სურგულაძე, ნ. ანდლულაძე, ბ. მალაზონია და სხვები, საბჭოს სხდომებს აკაკი დვალიშვილი უძღვებოდა და №1 ოქმმაც მისი ფაქსიმილე შემოგვინახა.

ნოდარ მალაზონია

ეროვნული მოღვაწე

აკაკი დვალისძევილი ეროვნული მოღვაწე იყო თეატრშიც და ფართო საზოგადო სარბიელზეც. ცხოვრებაში არ შემხვედრია მასზე უფრო მოკრძალებული, თავმდაბალი და თვითკრიტიკული ადამიანი. ბედნიერება იყო მასთან მეგობრობა.

ყოველთვის ვგრძნობდი მის ყურადღებას.

აკაკი დვალისძევილს ყველა იმედის თვალთ უყურებდა, უღალატო, ერთგული, მაღალზნეობრივი, სამართლიანი და საოცრად უპრეტენზიო, ყველაფერს ისე უბრალოდ აკეთებდა, რომ შენ უფრო გიფრთხილდებოდა, ვიდრე თავის თავს.

რამდენი გულისტკივილი შეხვედრია თავისი სიკეთის გამოც. საოცარი სულგრძელობით ითმენდა ირგვლივ გამეფებულ უმადურობას.

აკაკის სიკვდილამდე არ შეუცვლია თავისი მაღალი ჰუმანური დამოკიდებულება ადამიანებისადმი. ამ გაუხარებელ წუთისოფელში მაინც შეინარჩუნა რწმენა ადამიანებისადმი.

ჩვენ ერთად გავიარეთ ცხოვრების დიდი გზა. ერთმანეთს რუსთაველის თეატრში დავეუახლოვდით 1954 წელს, როცა სალიტერატურო ნაწილის გამგედ დავინიშნე. მაშინ იგი თეატრში უკვე ახალი თაობის ლიდერი იყო. ხდებოდა ახალი თაობის თანამოაზრეობის ფორმირება, მათი პიროვნული კავშირების განმტკიცება, პოზიციებისა და მოქალაქეობრივი პრინციპების გარკვევა, საჭირო იყო გამაერთიანებელი, საყრდენი ნერტილის” მოძებნა. ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო პრინციპული, მებრძოლი, ორგანიზატორული ნიჭითა და პიროვნული თვისებებით გამორჩეული ადამიანი-ლიდერი.

აკ. დვალისძევილის სპექტაკლები: გ. ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი“, ვ. როზოვის „ხალისიანი მეგობრები“ და, განსაკუთრებით, მ. ჯაფარიძის „ჩვენებურები“ პირდაპირ გახსნილი ბრძოლის გამოხატულება იყო ნეოკლასიციზმის ტენდენციების წინააღმდეგ. სცენაზე მონუმენტურ გმირებს ჩაენაცვლენ უბრალო ადამიანები, მინაზე დაეშენენ მეოცნებე რომანტიკოსები.

50-იანი წლების პირველი ნახევარი რეფორმისტული ძიებების გარდამავალი პერიოდი იყო რუსთაველის თეატრში და მასში უდიდესი როლი შეასრულა აკაკი დვალისვილიმა. ეს არის ისტორიული რეალობა.

ამის შემდეგ აკ. დვალისვილიმა ცხოვრებაში კიდევ უფრო რთული გზა აირჩია. ეს იყო მსხვერპლშენიერვა, საკუთარი თავის გამეტება საქვეყნო საქმისათვის, სხვების მხარში ამოდგომისა და დახმარებისათვის. მრავალი წელი მუშაობდა კულტურის მინისტრის პირველ მოადგილედ, კინოკომიტეტის თავმჯდომარედ და მარჯანიშვილის თეატრის დირექტორად, მოღვაწეობის საწყის ეტაპზე თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგიც იყო. სადაც კი მივიდა, ყველა ადამიანს სიხარული მოუტანა, ამიტომ თითოეული თანამშრომლისათვის ბედნიერება იყო მასთან მუშაობა, რადგან მათ გვერდით ედგა ნამდვილი მეგობარი, ლიბერალ-დემოკრატიული აზროვნების, კრისტალივით სუფთა, განონასწორებული ადამიანი.

დავით კლდიაშვილის ერთ-ერთ გმირს აქვს ფრაზა: „იმედი და მოთმინება“.

ასეთი იყო აკაკი დვალისვილის ცხოვრების კრედო. მუდამ იმედით უყურებდა საქართველოს მომავალს და ითმენდა ათასგვარ სიძნელეს.

ბ-ნი აკაკი ყველგან და ყოველთვის ზნეობრივ პრინციპს იცავდა. მისთვის ზნეობრიობა იყო მთავარი კრიტერიუმი. მახსოვს ის დღეები, როცა მინისტრები თ. ბუაჩიძე და ო. ქინქლაძე გადადგნენ. მაშინ ეს უპრეცედენტო მოვლენა იყო. ეკრანზე გამოვიდა ფილმი „თავმჯდომარე“. მთავარი გმირის როლს ულიანოვი თამაშობდა. ფილმი მძაფრი, კრიტიკული იყო, რომლის გასინჯვის შემდეგ ცეკას (დ. სტურუა) აზრით, ფილმი არ უნდა გასულიყო ფართო აუდიტორიის საჩვენებლად. ამ აზრს წინააღმდეგობა გაუწიეს კინოკომიტეტის თავმჯდომარემ ო. ქინქლაძემ, კულტურის მინისტრმა თ. ბუაჩიძემ და მისმა მოადგილემ აკ. დვალისვილიმა. გაიმართა ცხარე კამათი. არც ერთი მხარე არ თმობდა პოზიციას. ამას დაერთო რუსთაველის თეატრის ირგვლივ ატეხილი ამბები, დ. ალექსიძის თეატრიდან

იძულებითი წავლის ისტორია. მინისტრის კაბინეტში ყოველდღე იკრიბებოდნენ ოთხეული: თ. ბუაჩიძე, ო. ქინქლაძე, აკ. დვალიშვილი და პ. ინგოროყვა. აკაკი ყველა შეხვედრის ამბავს მიყვებოდა. გადწყვიტეს, რომ დ. სტურუას საკითხი დაეყენებინა ცეკას ბიუროს წინაშე. დაინერა წერილი. აკაკიმ ბიუროს სხდომის საკითხის განხილვის რეპეტიცია ჩაატარა, თუ როგორ უნდა მოეგოთ ბრძოლა. გათვალეს ვარიანტები, მხოლოდ მინისტრებმა მოანერგეს ხელი მიმართვას. აკაკის უნდოდა, რომ მასაც მოეწერა ხელი, სამივეს ერთი პოზიცია გვაქვს და ჩემი გვარიც უნდა იყოსო ხელმომწერთა შორის. მინისტრებმა მაინც თავიანთი გაიტანეს და არ მოანერგინეს ხელი. ამის გამო, აკაკი ნაწყენი იყო. ბიუროზე თ. ბუაჩიძემ და ო. ქინქლაძემ ბრძოლა წააგეს, რომელიც ბევრმა ფაქტორმა განაპირობა, მაგრამ ეს სხვა თემაა. ვასილ მჭავანაძემ ორივე დატოვა თავიანთ თანამდებობებზე, მაგრამ ბუაჩიძემ და ქინქლაძემ მაინც მოითხოვეს გადადგომა. ამის შემდეგ ისინი გათავისუფლდნენ. ამ ფაქტის გამო, მეორე დღეს აკაკიმ მითხრა, რომ ისიც აპირებდა გადადგომას. წამაკითხა მჭავანაძის სახელზე დაწერილი განცხადება, მე არ ვურჩიე, მაგრამ არაფრით არ შეიცვალა აზრი. განცხადებით წავიდა ვ. მჭავანაძესთან გადადგომის მოთხოვნით. აკაკის აზრით, არ იყო ზნეობრივი მისი თანამდებობაზე დარჩენა, როცა სამთავეს ერთი პოზიცია ჰქონდათ.

ვ. მჭავანაძეს მოეწონა აკ. დვალიშვილის ვაჟკაცური საქციელი, მისი გულახდილობა და პრინციპულობა. ამ თვისებების გამო მე არ გათავისუფლებო – უთხრა და განცხადება არ მიიღო.

აკაკი დვალიშვილს ყოველთვის ჩრდილში დგომა უყვარდა, საქმეს კი დიდს აკეთებდა. სრულიად განსაკუთრებულია მისი დამსახურება კინომსახიობთა თეატრის შექმნაში. ან რამდენი ფიქრი და ენერგია მოახმარა მარჯანიშვილის თეატრს. მის კაბინეტთან ყოველთვის ხალხის რიგი იდგა, ვინ რას სთხოვდა და ვინ რას, ყველას გასაჭირი გულთან მიჰქონდა!

შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ გენიალური მსახიობები, აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე, რომლებმაც განსაზ-

ღვრეს რუსთაველის თეატრის სამსახიობო ხელოვნების მაღალი დონე (მიუხედავად იმისა, რომ აკაკი დვალიშვილი დინების საწინააღმდეგო მიმართულებით მიდიოდა, რაც მათთვის მიუღებელი იყო) მაინც უდიდესი პატივისცემით ექცეოდნენ აკაკი დვალიშვილს. ამის შესახებ აკაკი ხორავა თავის მემუარებშიც წერს. დიდ მსახიობებს ხიბლავდათ დვალიშვილის თბილი, გახსნილი, გულლია და პატიოსანი პოზიცია, რომელიც არსად არ არღვევდა უფროს-უმცროსობის ეთიკურ ნორმებს. აკაკი დვალიშვილმა კარგად იცოდა გენიალური მსახიობების ფასი და დიდ პატივს მიაგებდა მათ. ამიტომ იყო, რომ მხატვრულ პოზიციათა განსხვავებულობა ხელს არ უშლიდა ურთიერთობებს.

რომელი ერთი ამბავი უნდა გავიხსენო. ხშირად ვურეკავდი ხოლმე, უთუოდ მოიკითხავდა მეგობრებს, მაგრამ ყოველთვის აინტერესებდა ქვეყნის ამბები.

სიკვდილამდე არ მოშორებია თავის ქვეყანაზე ფიქრი. ის იყო მისი ტკივილი.

აკაკი დვალიშვილი გამორჩეული პიროვნება, გამორჩეული მოღვაწე და ასევე გამორჩეული რეჟისორი იყო. მან მთელი თავისი ცხოვრება უანგაროდ შესწირა ქართულ კულტურას.

მისი შემოქმედების ყველა საუკეთესო თვისება გამოვლინდა სპექტაკლში მ. ჯაფარიძის „ჩვენებურები“. ეს იყო პრინციპული მნიშვნელობის მხატვრული მოვლენა, რომლითაც დაინწყო რუსთაველის თეატრის დერომანტიზაცია, ანუ რეფორმა, და სულ ტყუილად ცდილობენ ზოგიერთები დაამცრონ მისი ეს დიდი ღვაწლი.

1956 წელს შოთა რუსთაველის თეატრის ისტორიაში მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა – აკრძალეს აკ. დვალიშვილის სპექტაკლის, „ჩვენებურების“, ჩვენება.

მანამდე, ოც წელზე მეტი ხნის მანძილზე, მსგავსი შემთხვევა არ მომხდარა.

ოთხჯერ გასინჯეს და, ზოგიერთი შესწორების შემდეგ, დაგვრთეს წარმოდგენის საჯაროდ ჩვენების უფლება.

თითქოს რაღაც პარადოქსული რამ მოხდა. მანამდე ოფი-

ციოზი არასოდეს დაეჭვებულა არც აკ. ვასაძისა და არც. მ. თუმანიშვილის ძიებებში. თეატრში უკვე შექმნილი იყო ა. ვასაძის პეპიას უაღრესად ყოფითი ფსიქოლოგიური სახე, რომელსაც ახალი თაობისათვის მაშინ გარკვეული მხატვრული ორიენტირის მნიშვნელობა ჰქონდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მ. თუმანიშვილის გაბედული ექსპერიმენტები, მისი ძიებები, მაგრამ ყველაფერი მაინც ოფიციალურისა და თავად თეატრის ტრადიციისათვის მისაღებ ნორმებში მიმდინარეობდა.

ხალხი, პარტია, თეატრი შეეჩვია ათეული წლობით გამოუმუშავებულ თეატრალურ ხერხებს. დიდი იყო ინერციის ძალა, ზოგჯერ სასცენო ლექსიკის განახლების სერიოზული ცდებიც კი არ იწვევდა მკვეთრ რეაქციას, რადგან ყველაფერი მაინც რუსთაველელთა ესთეტიკური პრინციპებისათვის მისაღებად განიხილებოდა.

რუსთაველის თეატრში ხდებოდა ძიებათა აქცენტების გადაადგილება, რევოლუციური რომანტიკის დამკვიდრებისათვის მებრძოლად დ. ალექსიძეს, აკ. დვალიშვილსა და მ. თუმანიშვილს შორის მხოლოდ მიხ. თუმანიშვილი მოიაზრებოდა.

მ. თუმანიშვილის დადგმამ ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუამ“ კარგა ხნით ზღვარი დაუდო რევოლუციის თემას რუსთაველის თეატრში, რეჟისორმა კი სამუდამოდ ზურგი აქცია მას.

შეუძლებელია „ჩვენებურების“ ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟის ახსნა და, საერთოდაც, იმ წლების ყოველი მნიშვნელოვანი სათეატრო მოვლენის გარკვევა, თუ თეატრის წინარე ისტორიას არ გავიხსენებთ. თუმცა ისტორია ყოველთვის არ არის სამართლიანი!

თითქოს საამისო საფუძველიც არ არსებობს, მაგრამ რამდენი ადამიანია დაუმსახურებლად მივიწყებული და რამდენი სულ ტყუილად განდიდებული?! მაგალითი ბევრია, მათ შორის არის აკ. დვალიშვილის სახელიც, რადგან ჯეროვნად არ არის შეფასებული მისი რფორმისტული ძიებები, მისი ბრძოლა რუსთაველის თეატრის განახლებისათვის.

ისტორია ასევე არ იყო სამართლიანი, როცა ახმეტელის შემდგომი პერიოდის რუსთაველის თეატრში თითქოს ოცი

ნლის მანძილზე თითქმის ყველა სპექტაკლი თეატრის გამარჯვებად იყო მიჩნეული. თანდათან დამკვიდრდა სამეფო თეატრის სახელი. იგი ხალხის ცნობიერებაში წარმოდგებოდა როგორც განცალკევებული, იდეოლოგიური ცენტრი, რომელსაც უნდა განესაზღვრა მთელი ქართული თეატრის პოლიტიკური მიმართულება. რუსთაველის თეატრი თავისი დიდი ისტორიითა და ორი გენიალური მსახიობის /აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე/ ავტორიტეტის წყალობით, მართლაც, უდიდეს გავლენას ახდენდა მთელ ქართულ თეატრზე. მათ თეატრი აქციეს გარკვეულ შუქურად, ორიენტირად. ჯერ ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე, ხოლო შემდეგ მოსკოვში მტკიცდებოდა თეატრის რეპერტუარი /ხოლო პეტერბურგში გიორგი ერისთავის თეატრის რეპერტუარი/.

როდესაც რუსთაველის თეატრის ოცნლეულზე ვლაპარაკობთ/1935-1955/, უპირველესად, უნდა წარმოვიდგინოთ, თუ რა საოცრად რთულ პერიოდში უხდებოდა თეატრს მოღვაწეობა. ეს არის საშინელი რეპრესიების ეპოქა. თეატრმა საკუთარ თავზე გამოსცადა უდიდესი ტრაგედია. ტრაგიკული იყო ბედი არამხოლოდ იმათი, ვინც რეპრესირებულნი იყვნენ, არამედ იმათიც, ვინც ციხის გარეთ დარჩნენ და შიშის სინდრომით ცხოვრობდნენ. ადვილი არ არის სავსებით შევიცნოთ სულიერ დეპრესიათა სიღრმეები, რომლითაც თეატრი ცხოვრობდა.

ეს არის შექსპირისეული ტრაგიზმის ეპოქა!

როცა ახმეტელი და მსახიობები ციხეში სიკვდილს ელოდნენ, მათ თეატრში აკაკი ხორავა ოტელოს გენიალურ სახეს ქმნიდა /1937/.

იმსხვრეოდა ადამიანთა ზნეობისა და სიყვარულის ილუზიები...

ა. ახმეტელის რომანტიკული თეატრის გვირგვინი ფ. შილერის „ყაჩაღები“ /1933/ იყო. მას შემდეგ „ინტერვენცია“ და „ნაბიჭვარი“ დადგა, ისინი არც არაფერს მატებდნენ რეჟისორის სახელს და არც არაფერს აკლებდნენ.

„ყაჩაღებით“ დასრულდა რუსთაველის თეატრის, ანუ

„რომანტიკული თეატრის“, ეპოქა. როგორც ახმეტელმა თქვა: „ყაჩაღების“ შემდეგ იცვლება დრო და იცვლება ახმეტელის ბედიც. ახმეტელი გრძნობს, რომ ის, რაც დამთავრდა, ველარ განმეორდება. საჭიროა ახალი გზების ძიება. ძიებათა ამ საწყის ეტაპზე ილუპება კიდევ. ჩვენ არ ვიცით, როგორ განვითარდებოდა ახმეტელის თეატრი, რას მოუტანდა მისი ანტირომანტიკული ცდები, როცა დ. კლდიაშვილის „ნიღბებს“ და ლუარსაბ თათქარიძის სახეს უტრიალებდა. ვერასოდეს ვერ გავიგებთ საით წავიდოდა მისი თეატრი. დრო თეატრს კარნახობდა ახალ პირობებს. თანდათან ფეხს იკიდებდა სოციალისტური რეალიზმის დოქტრინა, რეპრესიები, ანუ „ხალხის მტრის“ განადგურება, ხაზგასმული პოლიტიკური ტენდენციურობა მოიაზრებოდა როგორც პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება. იგი ხელოვნებისაგან მოითხოვდა მასშტაბურობას, მონუმენტურ ფორმებს, ადამიანთა ჭანჭიკებად ქცევის პროცესი მიმდინარეობდა ინდივიდის შინაგანი სამყაროს უარყოფისა და სოციალურ-პოლიტიკური სახის წარმოჩენის გზით.

კომუნისტურმა პარტიამ გაანადგურა ოპოზიცია!

დადგა ტოტალიტარიზმის ეპოქა!

აბსოლუტური მონარქიის ეპოქა!

აბსოლუტიზმის იდეოლოგია რუსთაველის თეატრში გზას უხსნიდა ნეოკლასიციზმის ტენდენციებს. ხელოვნების ღრმა იდეოლოგიზაციის პროცესში ნათლად იკვეთება პოლიტიკური დითირამბების ფორმა. თავად ფორმა კი გარკვეულად ემორჩილება კლასიციზმის ესთეტიკისათვის ესოდენ ნიშნეული რეგლამენტაციის მკაცრ ნორმებს.

კომუნისტური პარტია, მთავრობა, რომელმაც გაანადგურა „ხალხის მტრები“, თეატრს უფლებას აძლევს გააგრძელოს „პოლიტიკური თეატრის“ ხაზი, ოღონდ ახმეტელის სახელის გარეშე, მაგრამ შეუძლია ამ მიძიმე ტვირთის აწევა თეატრის რეჟისურას? თეატრში აკ. ვასაძე, როგორც რეჟისორი, პირველ დამოუკიდებელ სპექტაკლს 1935 წელს დგამს /ს. მთვარაძის „შლეგი“/. ასე რომ, იგი ახალბედა რეჟისორია. ასევე ახალბედა დ. ალექსიძე, რომელიც 1936 წელს იწყებს მოღვაწეობას.

არც კ. პატარიძეა აღიარებული რეჟისორი, აკ. ვასაძის არტისტული გენია ბორკავს მის პირველ რეჟისორულ ნაბიჯებს. მიუხედავად ამისა, იგი ცდილობს დაიცვას პოლიტიკური თეატრის ხაზი, შეუნარჩუნოს თეატრს რესპუბლიკის სამეფო თეატრის სახე!

1935 წლიდან 1940 წლამდე, ე. ი. ხუთი წლის მანძილზე თეატრში, სადაც 22 ახალი სპექტაკლი დაიდგა, მხოლოდ ხუთი წარმოდგენა /„სასტუმროს დიასახლისი“, „უდანაშაულო დამნაშავენი“, „გუმინდელი“, „ღალატი“/ იყო, რომლებშიც უშუალოდ არ ვლინდებოდა პოლიტიკური ტენდენციურობა. დანარჩენი 18 მკვეთრად იდეოლოგიზებული იყო და თავისი არსით საკმაოდ ზუსტად ეხმიანებოდა ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს. თეატრს არ შეუძლია არ ემსახუროს თავის დროს, უამისოდ ვერც ერთი თეატრი ვერ იარსებებს. ეს ქრესტომათიული აქსიომაა, ამიტომ აზრი არა აქვს დემაგოგიურ შეძახილს – შეხედეთ! თეატრი კომუნისტურ იდეოლოგიას ემსახურებაო. დიახ, საბჭოთა თეატრს საბჭოთა ხალხი უყურებდა და მათ ისევე იცოდნენ სიყვარული და სიძულვილი, ტანჯვა და სიხარული, როგორც დღევანდელმა ადამიანებმა. სწორედ თეატრებმა გადაატანინეს მათ ბევრი რამ. სწორედ თეატრებმა გადაარჩინეს ქართული თვითმყოფადი კულტურა ნიველირებას. იდეოლოგიურმა ერთიანობამ ვერ მოსპო ეროვნულ კულტურათა თვითმყოფადობა. შინაგანი წინააღმდეგობანი, ახალ რეპერტუარზე ფიქრი და თეატრში ცვლილებათა აუცილებლობის შეგნება, იმ პოლიტიკურ დაპირისპირებებთან ერთად, რომლებშიც მას უხდებოდა ცხოვრება, აშკარად მიგვივითებს ახმეტელის თეატრალური ცხოვრების ევოლუციაზე.

რა შეიძლება ეწოდოს ოცნლეულის რუსთაველის თეატრს? ძალიან ძნელია ყველა თეატრალურ ეპოქასა თუ ეტაპს თავისი სახელი მოუძებნო. ეს რთული მეთოდოლოგიური პრობლემაა, რადგან არსებობს მეტად ჭრელი პერიოდები, ზოგჯერ ქაოსურად მიმდინარეობს პროცესები, დაულაგებელი და დაუდგენელია იგი, არ იკვეთება მთავარი ტენდენცია. რუსთაველის თეატრის ისტორიის ამ წლებს თავის უზოგადეს ტენდენციებში

საბჭოური ნეოკლასიცისტური ეტაპი შეიძლება ეწოდოს.

როცა რუსთაველის თეატრის ნეოკლასიცისტურ ტენდენციებზე, მის მსოფლმხედველობრივ სტილისტურ გამოძახილზე ვსაუბრობთ, ლაპარაკი არ მიმდინარეობს მწყობრ სისტემაზე. რომელიც ყოველ ქვეყანაში თავისებურ ტრანსფორმაციას განიცდის, იგი საინტერესო სახეს იძენს რუსთაველის თეატრშიც. მას ანალოგიები აქვს საბჭოთა კავშირის სხვა თეატრებშიც. მის ნიშან-თვისებებათაგან უმთავრესია ერთიანი იდეოლოგიური სისტემა. ნეოკლასიციზმის ფუნდამენტი აბსოლუტური მონარქიზმის მსოფლმხედველობაში ძევს. ნეოკლასიციზმის მაინც რა თვისებებზე ლაპარაკი რუსთაველის თეატრის შემთხვევაში?

თეატრში სახელმწიფო იდეოლოგიისათვის სასრგებლო ზნეობისა და იდეალის გამოხატვა. ამ თეზისს მტკიცედ იცავს რუსთაველის თეატრი. რუსთაველის თეატრში რეგლამენტირდება გმირულ-რომანტიკული სტილის სახეობა, რომელიც მთელი ოცი წელი ინარჩუნებს თავისებურ ფორმას.

სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე პიროვნების პასუხისმგებლობის იდეის დამკვიდრებისათვის ბრძოლა. თეატრი ერთგულად ასრულებს ამ ამოცანასაც.

გმირის ტრაგიზმი, როგორც სახელმწიფოებრივ ინტერესებთან პირადულის შეწირვის შედეგი /„დიდი ხელმწიფე“, „ხევისბერი გოჩა“ და სხვა/.

ფორმათა მასშტაბურობა, იმპოზანტურობა, სტატიკურობა, რაციონალისტური აბსტრაქტულობა, მკაცრი დისციპლინა და გონების პრიმატი თეატრში ვლინდება, როგორც სახელმწიფოებრივი წესრიგის გამოვლენა, იკვეთება იდეურობის წარმოჩენის უპირატესობა.

ნეოკლასიცისტური თვისებათა რღვევის პროცესი იწყება ბელადის /სტალინის/ სიკვდილის შემდეგ. დრო კი აბსოლუტური მონარქის ეპოქას განადიდებდა! . . .

აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე სხვებზე უკეთ გრძნობდნენ, თუ საით მიექანებოდა თეატრი. ამიტომ სწორედ მათ იზრუნეს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლაზე, სწორედ მათ დიდ ინტუიციას, მათ დიდ შემოქმედებითს უნარსა და შინაგან მო-

ქალაქეობრივ რწმენას უნდა ვუმაღლოდეთ, რომ თავი მოუყარეს ნიჭიერ და პერსპექტიულ ახალგაზრდობას. ეს თეატრის პერსპექტივის გადანყვეტასაც ნიშნავდა. ვერავითარი „შვიდკაცა“ ვერ გაჩნდებოდა თეატრში, რომ ხორავასა და ვასაძეს არ შემოეკრიბათ ახალგაზრდობა, რომელიც შემდგომ უთუოდ შეცვლიდა მათს გზას. ისინი თავიანთ დუბლიორებად ნიშნავდნენ ახალგაზრდა მსახიობებს /ე. მანჯგალაძეს. გ. გეგეჭკორს და სხვებს/, აწინაურებდნენ, რომ არ მოშორებოდათ მათი მუდმივი ყურადღება. ისინი, როგორც დიდ ტრაგიკულ ეპოქებს გამოვლილი მსახიობები, კარგად გრძნობდნენ, რომ სანამ არ შეიცვლებოდა პოლიტიკური კურსი, სანამ არსებობდა აბსოლუტური დიქტატურა, ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო სხვაგვარ აზროვნებაზე. სასტიკად იყო აკრძალული ყოველგვარი ჯგუფურობა. თანამოაზრეობა შესაძლებელი იყო მხოლოდ არსებულ იდოლოგიურ საზღვრებში და არა მის გარეთ. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ამ წლებში მკვეთრ ფორმათა ძიება ფორმალიზმის იდენტურ ცნებად იქცა, ხოლო თავად ფორმალიზმი პოლიტიკური დანაშაულის კატეგორიებად მოიაზრებოდა. ასე რომ, რეფორმისტული ცვლილებები, მით უფრო გადატრიალებანი, იმ სისტემაში შეუძლებელი იყო.

ა. ხორავასა და ა. ვასაძის კრიტიკოსებს ავინყდებათ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი – მ. თუმანიშვილსა და ა. დვალ-იშვილს ჩაუვარდათ სადიპლომო წარმოდგენები, მაგრამ დიდმა მსახიობებმა ისინი მიიღეს თეატრში.

მ. თუმანიშვილმა 1950-55 წლებში ექვსი სპექტაკლი დადგა. აქედან სამი რევოლუციურ თემაზე იყო. ეს მარტო დროისათვის ხარკის გადახდა არ იყო. იგი თავისი სპექტაკლებით სავსებით ბუნებრივად ექცეოდა თეატრის ინტერესების სფეროში. ი. ფუჩიკის „აღამიანებო, იყავით ფხიზლად“ აფართოებდა გმირულ-რომანტიკული თეატრის ესთეტიკის საზღვრებს, აახლებდა და აცოცხლებდა მის არსს, წმენდდა ცრუ პათეტიკისა და ნეოკლასიცისტური სქემებისაგან. ფსიქოლოგიურ-რეალისტური ნაკადი, რომელიც სულის სიღრმეებისაკენ გვიხმობდა, წარმოდგენას საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებდა. თეატრის

ძირითად ესთეტიკურ ტენდენციებთან მის რადიკალურ დაპირისპირებებზე ლაპარაკი ისტორიის გაყალბება იქნება, ამიტომ გახდა წარმოდგენა მისაღები და ახლობელი თეატრის ხელმძღვანელობისათვის, მაშინდელი პრესის მიერ წაკითხული იქნა, როგორც მგზნებარე ანტიფაშისტური წარმოდგენა.

ბრწყინვალე კომედიური სპექტაკლი ჯ. ფლეტჩერის „ესპანელი მღვდელიც“ იდეოლოგიურად თავისი ათეისტური მსოფლმხედველობით სავსებით ახლობელი იყო საბჭოთა იდეოლოგიისათვის. მისი სიახლე სულ სხვა სფეროში იყო.

მ. თუმანიშვილის ექვსი სპექტაკლიდან ოთხი მკვეთრად გამოვლენილი პოლიტიკური ტენდენციის პიესაზე იყო შექმნილი. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმო იყო ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“ /1955/.

რუსთაველის თეატრში აკ. დვალისმილი იყო პირველი, რომელიც დაუპირისპირდა თეატრის გმირულ-რომანტიკულ სტილს. მას ლიდერის მდგომარეობა ეჭირა. ისტორიულად ასე იყო და არ შეიძლება უკანა რიცხვით ისტორიის ჩასწორება.

მ. ჯაფარიძის „ჩვენებურები“ რუსთაველის თეატრის ნამდვილად რადიკალურად ანტირომანტიკული სპექტაკლი იყო. იგი წარმოადგენდა რუსთაველის თეატრის ტრადიციისაგან სრულიად განსხვავებულ სპექტაკლს. ეს იყო საკოლმეურნეო სოფლის დადგენილი სქემებით გააზრების უარყოფის მაგალითი. თითქოს მოულოდნელად ყველაფერი მიწაზე დაეშვა, მიწაზე, სადაც უბრალო ადამიანები ცხოვრობენ და არა გმირები. ასე გვეგონა, თითქოს თეატრში, სადაც ყველანი ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, რათა ორკესტრის ორმო გადაეფარა მათს ხმებს, სადაც ყველაფერი ფართო მასშტაბებში მოიზარებოდა და ცხოვრებაც ზეანეულ გრძნობებში განიცდებოდა, უცებ პატარა ბუღბუღის გალობასავით გაიჟღერა განსხვავებულმა მელოდიათა ჰეროიკულ თეატრში.

ა. დვალისმილმა თეატრში სულ რაღაც ხუთი-ექვსი წელი იღვანა, მერე კი მთელი სიცოცხლე სახელმწიფოებრივ თანამდებობებს შეაღია, სადაც დიდი ეროვნულ საქმეებს აკეთებდა. მაგრამ, თუ მკვლევარები არ დაივიწყებენ ისტორიზმის პრინ-

ციბს, მაშინ დარწმუნდებიან, რომ სრულიად განსაკუთრებულია ა. დვალიშვილის ღვაწლი და ადგილი რუსთაველის თეატრის გარდაქმნათა მიჯნაზე.

საგულისხმო ფაქტია, რომ ა. დვალიშვილის მიერ დადგმული შვიდი სპექტაკლიდან არც ერთი არ იყო რევიოლუციურ-რომანტიკული სტილისა. რეჟისორის იდეალი იყო სცენაზე მსახიობის აზროვნება. მთელი ყურადღება გადატანილი ჰქონდა მსახიობის მართალ სიტყვაზე. „ხალისიან მეგობრებში“ აღწევდა კიდევ მიზანს, განსაკუთრებით იმ სცენაში, როცა ახალგაზრდები ცხოვრების გზას ირჩევენ. ისინი საოცრად მართლები და აზრიანები იყვნენ თავიანთი გრძნობების გამოხატვაში. ეს არის დიალოგი ახალგაზრდების მომავალზე, დიდი ცხოვრების დასაწყისზე. ისეთი სცენა, როგორც „ხალისიან მეგობრებში“ იყო, მანამდე არც ერთ სპექტაკლში არ ჰქონია. თეატრის ახალი თაობა სიხარულით შეხვდა წარმოდგენას. მას წარმატება ჰქონდა მაყურებელში.

გარეგნულად არაეფექტური იყო ა. დვალიშვილის ძიებანი, თვალს არ იტაცებდა საზეიმო თეატრალობა, ფეიერვერკული არტისტიზმი. მისი რეჟისურა თავისი ესთეტიკით უფრო ახლოს იყო ფსიქოლოგიურ თეატრთან, ვიდრე პირობით, სანახაობით თეატრთან.

ა. დვალიშვილის ძიებათა მთელი არსი ყველაზე სრულყოფილად „ჩვენებურებში“ გამოიხატა. აქ თავისებურად შეჯამდა ყველა თვისება, რასაც ახალგაზრდა ესწრაფოდა და რის დამკვიდრებასაც ცდილობდა.

პრემიერის წინა დღეებში თეატრში დიდი მითქმა-მოთქმა და ფუსფუსი იყო. მართალია, წარმოდგენაში ყველა თაობის მსახიობები მონაწილეობდნენ, მაგრამ ასევე ყველა თაობა მღელვარებით ელოდა სპექტაკლს. ხდებოდა რაღაც უჩვეულო ამბავი. იძაბებოდა ატმოსფერო. თეატრის სათავეში აღარ იყვნენ ა. ხორავა და ა.ვასაძე. თითქოს ქარიშხალმაც გადაიარა, რომელიც ძველი ხელმძღვანელობის შეცვლას ახლდა.

... სცენაზე არაფერი იყო გამორჩეული და თეატრალური. ყველაფერი ზუსტი და უბრალოა. სცენაზე იდგა არჯევანის

/ბ. ზაქარიადე/ პატარა, ფიცრული სახლი, ეზოში მარჯვნივ ხეზე თივის ზვინი, სადღაც ისმის ძაღლის ყეფა, მამლის ყვილი. სახლში ტრიალებს არჯევანის მეუღლე სალომე /ლ. ღამბაშიძე/, თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. ჩვეულებრივი იმერული სახლ-კარისა და ყოფის ილუზიაა. არავინ თამაშობს არტისტული თამაშით, რადგან ქართველი კაცი /ისიც იმერელი/ ისედაც მუდამ თამაშობს, მუდამ გარედან უმზერს თავის თავს, რალა საჭიროა სცენაზე ზედმეტი თამაში, ოღონდ შეინარჩუნე ბუნებრივი ცხოვრებისეული თამაშის წესი და სავსებით საკმარისია სცენისათვის. ასეა დაწერილი მ. ჯაფარიძის პიესა. მისი გმირები უბრალო და ზნეობრივი ადამიანები არიან. უყავრთ და საოცრად უფრთხილდებიან ერთმანეთს. რალაც შინაგანი იმპულსებით მუდამ ერთმანეთისაკენ მიისწრაფიან, რადგან სხვაგვარად ვერც კი წარმოუდგენიათ ცხოვრება, ლუკმაპურს იყოფენ, ერთმანეთს თვალეში შესციცინებენ, უსიტყვოდ გრძნობენ ერთმანეთის წადილს, კაცთმოყვარეობის რალაც ღვთაებრივი შუქი ადგას თითოეულს... ძალიან უჭირთ, ომმა და მწირმა მიწამ დარია ხელი, მწირ მიწაზე დაეჭიდა ომი ქართველ გლეხობას, თითქოს გამოცდას უწყობს, თუ რამდენად კეთილნი და მაღალზნეობრივნი დარჩებიან ამ დიდი გაჭირვების ჟამს, მაგრამ ვერაფერი ვერ არყევს მათს სულს.

წარმოდგენა ყოფითი, ღრმა ფსიქოლოგიური, რეალისტური ხასითისა იყო. ჩვენ ამაოდ დავიწყებთ მასში ტრადიციის კვალის ძიებას, ამაოდ შევეცდებოდით იგი რაიმეთი დაგვეკავშირებინა რუსთაველის თეატრის აღიარებულ სტილთან. წარმოდგენაში ყველაფერი, ძველიცა და ახალიც, თანამოაზრე გახდა, შინაგანად მტკიცე, შეკრულმა მხატვრულმა მთლიანობამ ისე გააერთიანა უფროსი და ახალი თაობის შემსრულებლები, ისე დაემორჩილნენ ისინი რეჟისორის ნებას, ისე მკვეთრად შეიცვალა მათი ინტონაციები და გამოხატვის ფორმები, რომ თვით ყველაზე პათეტიკურად მოლაპარაკე მ. ჩიხლაძეც კი ადამიანურად ამეტყველდა. მისი ტარიელი სცენაზე ცოცხლობდა რალაც დიდი შინაგანი ტკივილით. უცნაურად სევდიანი

იყო ტარიელის გამოხედვა, ხმის ინტონაცია, საუბრის კოლო, მისი ტარიელი არ იყო კოლმეურნეობის ტრადიციული თავმჯდომარე. ხასიათს ქმნიდა არა თავმჯდომარეობა და მისი საქმიანი წრიალი, არამედ გაუმხელებელი სევდა, რომელიც მუდამყამს თან სდევდა მის ყოველ ფრაზას, გამოხედვას. ამ შინაგანი სამყაროს გამოვლენის ყველაზე კრიტიკულ წუთებში მ. ჩიხლაძემ ისეთი სულში ჩამწვდომი ინტონაციით უთხრა მინაგოს თავის ფრონტზე წასულ შვილზე „გოგია, აღარ გვყოლია, ბიჭო“, რომ მთელ დარბაზს ჟრუანტელმა დაუარა, მ. ჩიხლაძის ტარიელს თვალებიდან ცრემლი მოსწყდა, გამოაგნებელი დუმილი ჩამოვარდა, სუნთქვა შეეკრა ხალხს. ტარიელმა მალულად მოიწმინდა ცრემლი, დაბნეული და გაოგნებული იდგა გ. გეგეჭკორის მინაგო. შორს, თითქოს სადღაც, ძალიან შორიდან გაისმა სევდიანი სიმღერის ხმა, უფრო ახლოს გაიჟღერა გიტარის ემოციურმა მელოდია, თითქოს ომის სიომ დაჰქროლა სცენაზე, ომი და მნუხარება მოვიდა ყველას ოჯახში, ყველას სულში. თითქოს იმ სევდიან ხმებში ისმოდა ფრონტზე სასიკვდილოდ განწირული ჭაბუკების ხმაც.

თეატრისათვის სრულიად მოულოდნელი იყო ასეთი სტილის სპექტაკლი.

თეატრიდან წავიდა ორგანოებში წერილები, ირეკებოდა ზარები, საკოლმეურნეო სოფლის საბჭოთა ადამიანები არ დგანან სცენაზე, სტერეოტიპული კოლმეურნის ცეკვა-სიმღერას შეჩვეული ხალხი ვერ შეეგუა სხვაგვარ სოფელს. ყველა თავის თავს უფრთხილდებოდა, თავს იცავდა. არ უნდა დაგვაზინყდეს, რომ ეს ხდება 9 მარტის წინა პერიოდში, ურთულეს პოლიტიკურ ატმოსფეროში. თეატრის უფროს თაობას და მათ თანამოაზრეებს სურთ, რაც არ უნდა დაუჯდეთ, არ დაუშვან წარმოდგენის საჯაროდ ჩვენება.

მოენყო ერთი განხილვა, მოენყო მეორე, დრამატურგისაგან მოითხოვენ, რომ მოხდეს ჩასწორება. ყოველ გასინჯვაზე საოცარი აჟიოტაჟი იყო, დარბაზში ხალხის ტევა არ იყო, ახალგაზრდობა გააერთიანა წარმოდგენამ. ზოგიერთი პარტიის მანდატების დატოვებით იმუქრებოდა, თუ წარმოდგენას გაუშ-

ვებენო. ეს უკანასკნელი მუქარა იყო მცირე მიზეზი შეჩერებისა. სიგნალებს ხომ მაშინ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა. ჩემთვის, ამ ორომტრიალის ცენტრში ვიყავი, ყოველი დღე ცხოვრების დიდი გაკვეთილი იყო. ბრძოლა სულ უფრო მწვავე ფორმებს იძენდა. ზემოთ იბარებდნენ აკ. დვალიშვილს. იგი საოცარი პირდაპირობით, თავგანწირვით იცავდა თავის პოზიციას. როგორც გამოირკვა, მისმა ამგვარმა პრინციპულობამ ხელი შეუწყო დაწინაურებას. როგორც თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგეს, უფლება არ მქონდა სპექტაკლზე წერილი დამეწერა. არადა, მინდოდა სადმე, პრესაში დაბეჭდილიყო დადებითი წერილი, რათა მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში გამომდგომოდა. „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორი გ. ნატროშვილო მოვიწვიე სპექტაკლზე. წარმოდგენა ძალიან მოეწონა. შევთანხმდით, რომ სხვისი ხელმოწერით დავწერდი რეცენზიას. მართლაც, ჩემი მეგობრის კ. სეფიაშვილის გვართ გამოვაქვეყნე პოლემიკური წერილი /„უბრალო ადამიანები სცენაზე“/. წერილის პათოსი იყო იმის მტკიცება, რომ სპექტაკლი არ იყო ანტისაბჭოური და „თეატრმა გვიჩვენა თავისი შემოქმედებითი ძალების მრავალფეროვნება“. ამიტომ სტატიაში ხაზგასმულად არის გამოკვეთილი ორივე ტენდენცია. ამ სრულიად არაპოლიტიკური სპექტაკლის განხილვის დროს საგანგებოდ ვლაპარაკობ მის ვითომდა განსაკუთრებულ პარტიულ, საბჭოურ მნიშვნელობაზე. წარმოდგენის ჰუმანისტური კონცეფცია ჩემ მიერ ასე იყო ინტერპრირებული: „რეაქციულ-ბურჟუაზიულ ლიტერატურაში არაერთხელ აუწერიათ, რომ გაჭირვების დროს ადამიანები კარგავენ თავიანთ სახეს და მოქმედებენ პრინციპით – „ადამიანი ადამიანისათვის მგელია“. აქ კი, საბჭოთა მწერლის ნაწარმოებში, მწირ მიწაზე მცხოვრები ადამიანის ხელმოკლეობა ოდნავადაც ვერ ჩრდილავს მის დიდ ზნეობასა და კეთილშობილებას“.

ეს ამბავი მართლაც სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

ბრძოლები მძაფრი იყო. ახმეტელის შემდეგ „ჩვენებურებამდე“ რუსთაველის თეატრმა არ იცოდა, რას ნიშნავდა წარ-

მოდგენის აკრძალვა ან შეჩერება.

აკ. დვალიშვილი პიესის შესახებ წერს /წერილი ჩემს არქივში ინახება/: „პიესა ქართველი გლეხკაცის სულისმიერი სარკისებური ასახვაა. შეგშურდება, როგორ ცხოვრობს ხალხი, გაჭირვება, მჭადი არა აქვს ომის დროს, მაგრამ გულს არ იტეხს და კაცობას არ კარგავს. როცა პიესა ახლა გადავიკითხე, იმედი მომეცა, რომ გადავრჩებით. ქართველ ხალხში კოდირებულია რაღაც უხილავი ძალა, რომელიც მფარველობს“. სპექტაკლის დეკორაციულ გადანწყვეტასა და გმირთა ჩაცმულობაში ჩანდა საშინელი სილატაკის ატმოსფერო, მაგრამ იმდენად ეთიკური და ზნეობრივი იყო გმირთა ურთიერთობა, რომ „სურვილი გაგიჩნდებოდა ამ სილარიბეში გეცხოვრა იმ ხალხთან ერთად“ /ა. დვალიშვილი/.

ყველგან, თითქმის ყოველ მიზანსცენაში ყველაფერი სიმართლის გამოხატვის პრინციპს ემყარებოდა, სწორედ პრინციპს და არა საერთო განწყობილებას. რეალისტური სახე კონკრეტული დეტალების ერთობის გარეშე ვერ წარმოიდგინება და იგი სცენაზე ქმნის განწყობილებათა ერთიან, შინაგან უწყვეტობას. არსებით მნიშვნელობას იძენს დეტალი. აქ არ არის სანახაობის ეფექტები, ათასგვარი რეჟისორული ტრიუკები და დახვავებული მეტაფორები.

ისტორიულ ფაქტად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ სწორედ აკ. დვალიშვილის სახელს, მის „ჩვენებურებს“ უკავშირდება რუსთაველის თეატრის სრული დერომანტიზაცია, „ჩვენებურებში“ მოხდა რადიკალური შემობრუნება ყოფითი ფსიქოლოგიური თეატრისაკენ. ჩვენ არ ვიცით, როგორ განვითარდებოდა „ჩვენებურების“ გზა დვალიშვილის შემოქმედებაში, შეძლებდა თუ არა ამ გარდატეხის მიჯნიდან ახალ ეტაპზე გადასვლას და თავისი ესთეტიკური და მოქალაქეობრივი მრწამსის გამოხატვას ისე, როგორც ეს შეძლეს ალექსიძემ და თუმანიშვილმა. დ. ალექსიძემ „ოიდიპოს მეფისა“ და „ბახტრიონის“ დადგმაში შექმნა სრულიად ახალი მხატვრული სინამდვილე. მ. თუმანიშვილი კი შემდეგ მთლიანად გაემიჯნა რევოლუციურ თემატიკას, შეუპოვრად და დაჟინებით გააგრძელა გაბედული

ექსპერიმენტული ძიებები, კლასიკურ სრულყოფილებამდე მიყვანა ახალი სათეატრო აზროვნება.

აკ. დვალისვილი კი „ჩვენებურებთან“ შეჩერდა და თეატრიდან წავიდა. მკითხაობის სფეროს განეკუთვნება, თუ როგორ გააგრძელებდა თეატრში რომ დარჩენილიყო, მაგრამ ის, რაც გააკეთა რეჟისორმა, სრულიად განსაკუთრებულ ადგილს იჭერს რუსთაველის თეატრის ისტორიაში.

ვასილ კიკნაძე

მოადგილეობიდან მებოზრობამდე

„ვინც ნრფელი გულით,
პატიოსნებით რაიმეს შექმნის,
იყო და არის შემოქმედი ახალი ქვეყნის“
/გალაკტიონი/

აკაკი დვალისძე ილთან 17 წლის მანძილზე ერთად მუშაობის პერიოდთან დაკავშირებით მოსაგონარი და გასახსენებელი, მართლაც, ბევრი მაქვს, მაგრამ ძალიან გამიძნელდა დაწერა და მივხვდი, რომ ბატონ კაკოს ცხოვრებასთან დაკავშირებული საქმიანობის აღწერას კარგი ანალიზის უნარის მქონე ლიტერატორი ან პროფესიონალი ჟურნალისტი სჭირდება, რადგანაც ეპოქა, რომელშიც ის ცხოვრობდა, სავსე იყო დიდი პარადოქსებით.

სხვათა შორის, დღეს მოდად არის ქცეული იმ ეპოქის მხოლოდ კრიტიკა და ქილიკი, არადა საზოგადოებრივი ცხოვრების ამ ეტაპზეც არსებობდნენ ადამიანები, რომელთა კრედო იყო შრომა, ერთგულება, პროფესიონალიზმი, ნიჭისა და აზრის დავასება, ადამიანთა შორის კეთილი ურთიერთობა, სიყვარული, პატივისცემა და ყველა იმ სასიკეთო საქმის დანახვა, რაც ადამიანისათვის ღირსების მომტანი იყო.

მართალია, ხშირ შემთხვევაში, ამ პერიოდში, კეთილი საქმის კეთება სარისკოც იყო, რადგანაც ზოგჯერ სიმართლე არ იმარჯვებდა და კიდევ უფრო მეტი, თუ ეს სიმართლე ვინმეს არ მოეწონებოდა, საფრთხეც დიდი იყო. მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრებისა და განვითარების არც ერთ პერიოდში ადამიანი შეცდომებისგან დაზღვეული არასოდეს ყოფილა.

აკაკი დვალისძეს მე ვიცნობდი ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, ვიდრე მასთან ერთად დავინწყებდი მუშაობას. ჩვენი საქმიანი შეხვედრები ხშირი იყო, როდესაც იგი საქართველოს კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე იყო, მე კი საქართ-

ვლოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში (გოსპლანი) კულტურისა და განათლების განყოფილების უფროსი.

კაკო დვალისვილი საქართველოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნა 1973 წლის აგვისტოში და იგი ამ თანამდებობაზე მუშაობდა ეროვნული მოძრაობის მესვეურების ქვეყნის სათავეში მოსვლამდე.

აკაკი დვალისვილის კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნის დროს მე მივლინებული ვიყავი ქ. მოსკოვში საკავშირო საგეგმო კომიტეტში რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის დარგების განვითარების წლიური და პერსპექტიული გეგმების დასაცავად.

ქ. მოსკოვში შევხვდი ბატონ კაკოს და მთხოვა, რომ თბილისში დაბრუნებისთანავე მივსულიყავი მასთან, ხოლო რასთან დაკავშირებით, ეს მას არ დაუზუსტებია და არც მე მიკითხავს, რადგანაც ვიფიქრე, რომ, ალბათ, აპირებდა ახალ თანამდებობაზე დანიშნვასთან დაკავშირებით წვეულების მონყობას და გავთვალისწინებული ჰქონდა ჩემი იმ ღონისძიებაზე დაპატიჟება.

მოსკოვიდან თბილისში დაბრუნებისთანავე გამომიძახეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში და იმ დროისათვის ამ მაღალ ორგანოში დამკვიდრებული სტილითა და ტონით გამომიცხადეს, რომ მე უნდა გადავსულიყავი სამუშაოდ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის, ე. ი. აკაკი დვალისვილის, მოადგილედ და მაშინ გამახსენდა ქ. მოსკოვში ბატონ კაკოსთან შეხვედრა და გასაგები გახდა, რომ კინემატოგრაფიაში ჩემი გადაყვანის ინიციატორი და მოთავე ის იყო.

აკაკი დვალისვილის სახით მე შევიძინე ის ადამიანი, რომელიც ადვილად იგებდა ჩემს ჩანაფიქრს, ხელს მინყობდა ყოველგვარი ინიციატივის განხორციელებაში და, თუ რამე შემეშლებოდა, გულახდილად, სათანადო მორიდებითა და თავშეკავებით გამისწორებდა კიდეც, მაშინ როდესაც ჩვენს შორის ასაკში დიდი სხვაობა არ იყო (კაკო ჩემზე მხოლოდ 3 წლით იყო უფროსი), მაგრამ სათანადო აღზრდისა და ცხოვრებისეული გამოცდილების გამო, იგი უფრო დაბრძენებული და ყოვ-

ელთვის თავდაჭერილი იყო, ჩემში კი ცოტა უფრო სჭარბობდა ქალაქური აღზრდის მენტალიტეტი, და, აქედან გამომდინარე, ბოლომდე გამოყოლილი სიფიცხე და თავშეუკავებლობა.

მახსენდება კომიტეტის კოლეგიის სხდომაზე მომხდარი ერთი ინციდენტი:

საერთოდ, გადასაღებ კინოფილმზე დამტკიცებული ხარჯ-თაღრიცხვა გათვლილია გადასაღებად საჭირო დამტკიცებულ ვადაზე. ხოლო, გადაღების პერიოდში თუ გაირკვა, რომ ეს დრო საკმარისი არ არის, სხვადასხვა მიზეზების გამო, შეიძლებოდა მისი გაგრძელება, საკავშირო კონოკომიტეტის თანხმობით, თუ იქნებოდა რესპუბლიკის კინოკომიტეტის კოლეგიის შუამდგომლობა. ამ გაგრძელებას ეწოდებოდა „პროლონგაცია“, რაც იწვევდა ფილმზე გათვალისწინებული ხარჯების ზრდას.

კოლეგიის ერთ-ერთ სხდომაზე შემოტანილ იქნა საკითხი ახალგაზრდა რეჟისორის ფილმის „პროლონგაციის“ შესახებ. გაირკვა, რომ ამ ფილმზე გადაღების ვადა უკვე 6-ჯერ იყო გაგრძელებული და საკითხი ე. წ. „პროლონგაციაზე“ დგებოდა მეშვიდედ. ჩავთვალე, რომ ეს იყო მოუთმენელი და, როგორც თავმჯდომარის მოადგილემ და კოლეგიის წევრმა, წამოვაცენე წინადადება, ამ ახალგაზრდა რეჟისორის დასახმარებლად გამოცდილი რეჟისორის გამოყოფის შესახებ. ჩემი წინადადება იმდენად დამამცირებელი გახდა ამ რეჟისორისთვის, თავი ვერ შეიკავა და აღელვებულმა, შეურაცხმყოფელი გამოთქმებით დატოვა სხდომის დარბაზი. კოლეგიის წევრებმა კი, რასაკვირველია, არ გაიზიარეს ჩემი წინადადება და მეტიც, კოლეგიის ერთ-ერთმა წევრმა ბრალიც კი დამდო საკითხისადმი მიდგომის არაკომპეტენტურობაში.

კოლეგიის შემდეგ ბატონმა კაკომ მთხოვა დავრჩენილიყავი მასთან კაბინეტში. შემომხედა თავისი სანდომიანი თვალებით და მორიდებული, რბილი ხმით მითხრა: – რეჟისორისთვის ფილმი არის როგორც ღვიძლი შვილი და, როგორც შვილის სიყვარულს ნორმალური ადამიანი სხვას არ გაუზიარებს, ასევე ნამდვილი ხელოვანი თავის შემოქმედებაში სხვას ცხვირს არ ჩააყოფინებსო.

მიუხედავად იმისა, რომ მივხვდი ჩემს შეცდომას, მე მაინც შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი და გადავწყვიტე მისვლელი-ყავი იქ, სადაც საჭირო იყო და მეთხოვა ჩემი სხვა სამუშაოზე გადაყვანა, თუნდაც სულ დაბალ თანამდებობაზე, მაგრამ ბატონმა კაკომ ჩემს ამ მცდელობას ხელი შეუშალა.

ჩემი და ბატონი კაკოს მუშაობის ერთად დანყების პერიოდისთვის, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის სტრუქტურაში შედიოდა: კინოსტუდია „ქართული ფილმი“, სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია, ქალაქებისა და რაიონული სახელმწიფო კინოთეატრების დიდი ქსელი და კინოგაქირავების რესპუბლიკური და სარაიონთაშორისო კანტორები, კინოსაინფორმაციო სამსახურთან ერთად, აგრეთვე, „საქინორემმონტაჟი“, როგორც დამხმარე საწარმო.

კინემატოგრაფიის კომიტეტის ხელმძღვანელთა შორის განაწილებული ფუნქციების თანახმად, მე, როგორც თავმჯდომარის მოადგილეს, დავალებული მქონდა დარგის საგეგმოსაფინანსო და სამეურნეო საქმიანობის კურირება. კინოქსელისა და კინოგაქირავების მუშაობას ხელმძღვანელობდა თავმჯდომარის კიდევ ერთი მოადგილე, ხოლო „ქართულ ფილმსა“ და სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიების სამხატვრო-შემოქმედებითი საქმიანობას სათავეში ედგა ბატონი აკაკი, როგორც კომიტეტის თავმჯდომარე.

როგორც ცნობილია, ორმოცდაათიან და სამოციან წლებში კინოშემოქმედებაში მოდის ახალგაზრდა თაობა, რომელთაც დახვდათ ძველი, უკვე სახელგანთქმული კინომამები და აუცილებელი იყო ძველი და ახალი თაობის შემოქმედებითი ურთიერთობისათვის მეტად გააზრებული და ფაქიზი ხელშეწყობა. აკაკი დვალისვილიმა კინემატოგრაფში მოსვლის შემდეგ პირველი რიგის ამოცანად ჩათვალა ამ საკითხისადმი ყურადღების გამახვილება და კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ ორგანიზაციული-საკადრო საკითხების მონესრიგება.

ბატონი აკაკის მიერ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორის თანამდებობაზე შერჩეულ იქნა იმ დროისათვის

ახალგაზრდა კინორეჟისორი, რეზო ჩხეიძე, რომელსაც უკვე გადაღებული ჰქონდა ისეთი გახმაურებული და სხვადასხვა ფესტივალზე პრემირებული ფილმები, როგორებიცაა: „მაგდანას ლურჯა“ (თ. აბულაძესთან ერთად); „ჩვენ ეზო“, „მაია ნყნეთელი“, „განძი“, „ლიმილის ბიჭები“; „ნერგები“ და სამამულო ომის თემაზე მსოფლიოში აღიარებული კინოფილმი „ჯარისკაცის მამა“.

მიუხედავად იმისა, რომ რ. ჩხეიძის კანდიდატურის მიმართ მეტად კატეგორიული წინააღმდეგობა გამოხატა მისი კოლეგების ერთმა ჯგუფმა, რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობის მიერ მაინც მოწონებულ იქნა ბატონ კაკოს დასახელებული კანდიდატურა და რ. ჩხეიძე 1974 წლიდან, თითქმის 30 წელზე მეტი ხნის მანძილზე, წარმატებით უძღვებოდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ საწარმოო და შემოქმედებითს საქმიანობას, როგორც კინოსტუდიის დირექტორი.

ბატონი აკაკის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეობისა და რეზო ჩხეიძის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორობის პერიოდში შექმნილია 150-ზე მეტი სრულმეტრაჟიანი მხატვრული და სატელევიზიო ფილმი, ე.ი. საშუალოდ ყოველწლიურად კინოსტუდია „ქართული ფილმში“ იქმნებოდა და გამოდიოდა ეკრანზე 7-8 სრულმეტრაჟიანი მხატვრული, 6-7 სატელევიზო ფილმი, რომელთა ავტორები იყვნენ უკვე ცნობილი და სტაჟიანი და მათთან ერთად ახალგაზრდა დამწყები რეჟისორები. ამასთან ერთად, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ბაზაზე დამწყები კინორეჟისორებისათვის შეიქმნა გაერთიანება „დებიუტი“.

ამ პერიოდშია შექმნილი და გადაღებული ისეთი გახმაურებული და საყოველთაოდ აღიარებული ფილმები, როგორებიცაა: „მონანიება“ და „ნატვრის ხე“ - რეჟისორი თ. აბულაძე; „თეთრი ბაირალები“ და „დათა თუთაშხია“ - რეჟისორები გ.ლორთქიფანიძე და გ. გაბესკირია; „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“ და „შერეკილები“ - რეჟისორი ე. შენგელაია; „ვერის უბნის მელოდიები“, „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, „ხარება

და გოგია“ და „ქვიშანი დარჩებიან“ - რეჟისორი გ. შენგელაია; „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ და „ორომტრიალი“ - რეჟისორი ლ. ლოლობერიძე; „კაცია ადამიანი“, „გაქცევა გათენებისას“, - რეჟისორი ს. დოლიძე და „კუკარაჩა“ - რეჟისორი ს. დოლიძე ქეთი დოლიძესთან ერთად და ბევრი სხვა ფილმი ისეთი ნიჭიერი რეჟისორებისა, როგორებიც არიან და იყვნენ: ნიკოლოზ სანიშვილი, დევი აბაშიძე, ნოდარ მანაგაძე, გიული ჭოხონელიძე, მერაბ კოკოჩაშვილი, რეზო ესაძე, ყარა-მან (გუგული) მგელაძე, თემურ ფალავანდიშვილი, ნანა მჭედლიძე, ნანა ჯანელიძე, დავით ნაცვლიშვილი, თემურ ბაბლუანი, ალექსანდრე რეხვიაშვილი, ძმები ხოტივარები და სხვები.

ამავე პერიოდში რეზო ჩხეიძემ, მიუხედავად დირექტორის პოსტზე მისი დაკავებულობისა, გადაიღო ორი დიდი ფილმი, „მშობლიური ჩემო მიწავ“ და „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩო პანჩოსი“.

ბატონი კაკოს ინიციატივითა და დიდი რისკის ფასად იქნა დაბრუნებული კინოხელოვნებაში, ხანგრძლივი იძულებითი გაცდენის შემდეგ, ისეთი დიდი ნიჭიერი ხელოვანი და შემოქმედი, როგორიც იყო სერგო ფარაჯანოვი, რომელსაც მიეცა საშუალება გადაეღო ფილმები: „ამბავი სურამის ციხისა“ და „აშიკ-ქერიბი“- რეჟისორ დ. აბაშიძესთან ერთად.

ოთარ იოსელიანმა საქართველოში რამდენიმე ფილმის შემდეგ მისი ბოლო ფილმი „პასტორალი“ გადაიღო 1976 წელს და ამის შემდეგ მოღვაწეობა გააგრძელა საფრანგეთში.

გარდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ხელმძღვანელობისა, ბატონ აკაკის მიერ ასეთივე წარმატებული პიროვნებები იქნა შერჩეული კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად – მიხეილ თუმანიშვილი და ამავე თეატრის დირექტორად – ეროსი მანჯგალაძე; სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების დირექტორად – ჭაბუა ამირეჯიბი და ბევრი სხვა, რომელთა შერჩევასა იგი ხელმძღვანელობდა ამ პირთა პროფესიონალიზმით, ცხოვრებისეული გამოცდილებითა და კეთილსინდისიერებით.

კაკო დვალისხილი თვითონ იყო მაღალი ინტელექტუალი.

მისი პიროვნული ხიბლი, კეთილშობილება, საოცარი პრინციპულობა და, ამავე დროს, თავმდაბლობა იყო მისი პიროვნების დამახასიათებელი მარჯვენებლები. არასოდეს არ ავიწყებოდა ზრუნვა ახალგაზრდობის მომავალზე.

აქვე მინდა გავიხსენო გაზეთ „დეილი უორლდის“ კორესპონდენტის, მაიკ დავიდოუს, ავტორობით ქართველი საზოგადოებისათვის შედარებით უცნობი ინგლისურ ენაზე გამოცემული წიგნი სახელწოდებით „საბჭოთა მესამე თაობა“. აღნიშნული წიგნის ავტორს, ამ ნაშრომის ერთი თავი მიძღვნილი აქვს ქართული კინოსადმი სათაურით – „მშვენიერი საქართველოს შემოქმედებითი ახალგაზრდობა“. (თავი VI, გამომცემლობა „პროგრესი“, 1983 წ.).

ამ ნაშრომის ავტორი შემთხვევით გავიცანი ქ. მოსკოვში 1986 წელს და, როცა გაიგო ვინც ვიყავი, გადმომცა ეს წიგნი სათანადო წარწერით.

აღნიშნული გავიხსენე იმასთან დაკავშირებით, რომ წიგნის ამ ზემოაღნიშნულ თავში, მოთხრობილია მისი, ე.ი. ავტორის, აკაკი დვალისვილთან შეხვედრა: ...“მე მქონდა სასარგებლო და საინტერესო საუბარი საქართველოს კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარესთან, აკაკი დვალისვილთან. ლამაზ, მომხიბვლელ, 60 წელს მიტანებულ, რუსულად აქცენტით მოლაპარაკე კაცთან, რომელმაც მიმიღო ქართველებისთვის დამახასიათებელი სტუმართმოყვარეობით, გამიმასპინძლა საუკეთესო ღვინით და ხილით.

საუბრის დროს დვალისვილმა აღნიშნა, რომ ქართულ ფილმს სამი მასაზრდოებელი წყარო აქვს – ოქტომბრის რევოლუცია, ქართული კლასიკა და თანამედროვე ცხოვრება, ლიტერატურა და ხელოვნება – სამივე გავლენას ახდენს ქართულ კინოზე და სამივე აისახება ეკრანზე.

ქართველი რეჟისორების ორმა თაობამ, იოსელიანის ჩათვლით, რომლებიც ორმოცდაათიანი წლების წარმომადგენლები არიან, განათლება მიიღეს საკავშირო კინემატოგრაფიის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1975 წელს თბილისში გაიხსნა კინემატოგრაფიის ფაკულტე-

ტი და ექვსწლიანი სწავლებით 15 კურსდამთავრებულის პირველი გამოშვება იყო. დვალისეილმა ხაზგასმით აღნიშნა ამ მოვლენის მნიშვნელობა – ახლა კინოსა და თეატრისათვის ჩვენი კადრი მთლიანად საქართველოში მზადდება. რა სჭირდება ახალ თაობას ჩემი თაობისაგან? მჭერმეტყველურად იკითხა მან – დახმარება საკუთარი თვალთახედვის ჩამოყალიბებაში, რადგანაც ჩვენ დიდი ხანია ვუყურებთ ცხოვრებას და ჩვენი თვალეები ბევრის მომსწრეა... ჩვენ, შესაძლოა, სხვაგვარად ვხედავთ ვიდრე ახალგაზრდები, მაგრამ ისინი ხომ ჩვენი მომავალია, ამიტომ ჩვენი ვალისა, გამოვუმუშავოთ რწმენა ახალგაზრდა რეჟისორებს, მივცეთ ფართო გასაქანი – ის შეყოვნდა, შემდეგ თვალეების ანცი ციმციმით დასძინა – რასაკვირველია, აუცილებელია ნიჭიერება...

რა მიგაჩნიათ თქვენს ძირითად პრობლემად? – შევეკითხე. ერთხანს დაფიქრდა და შემდეგ მიპასუხა – ხიდი გავდოთ ტალანტსა და ობიექტურ სინამდვილეს შორის არსებულ სიცარიელესთან“...

აღნიშნულ წიგნში ავტორის საუბარი ბატონ აკაკისთან კიდევ დიდხანს გრძელდება კინომსახიობთა თეატრის შექმნის, ახალგაზრდა მწერლობის, დრამატურგიის, ქართული ტელევიზიისა და სხვა საინტერესო საკითხზე.

ასეთი იყო აკაკი დვალისეილი, უცხოელი ავტორის თვალთ დახახული. ამ ავტორთან საუბრისას, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბატონი აკაკი აღნიშნავდა, რომ 1975 წლიდან თბილისში გაიხსნა კინემატოგრაფიის ფაკულტეტი, მაგრამ ახლა ბევრმა ალბათ არ იცის, თუ რა წვლილი მიუძღვის ბატონ კაკოს ამ ფაკულტეტის დაარსებასა და ამ ფაკულტეტზე კინოსარეჟისორო სპეციალობის გახსნაში, რაც იმ პერიოდისათვის ადვილი არ იყო, რადგანაც უმაღლესი და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, ახალი სპეციალობის სწავლების შემოღებისათვის, საჭირო იყო საკავშირო საგეგმო კომიტეტისა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების საკავშირო სამინისტროს ნებართვა. სხვათა შორის არა ისე, როგორც დღესაა, როცა შეგიძლიათ ნებისმიერ სადარბაზოში გახსნათ უნივერსიტეტი!

ნებისმიერი სპეციალობის სწავლების შემოღებისათვის საჭირო იყო ამ სპეციალობებზე კადრების დასაბუთებული მოთხოვნებისა და სათანადო მატერიალური ბაზის, ე.ი. შენობების, ლაბორატორიების, დანადგარებისა და აპარატურის არსებობა. ამასთან ერთად, საკითხს ართულებდა ის მდგომარეობა, რომ კინორეჟისორები კავშირის მასშტაბით მზადდებოდნენ ქ. მოსკოვის კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტში და ამის აუცილებლობა რესპუბლიკაში არ არსებობდა, რასაც, აგრეთვე, მხარს უჭერდა რესპუბლიკის კინემატოგრაფიის ზოგიერთი წინამორბედი ხელმძღვანელისაგან საქართველოდან ოფიციალურად გაგზავნილი წერილები.

უნდა ვაღიარო, რომ კინორეჟისორების თბილისში მომზადების საკითხს მეც არ ვიზიარებდი, ზემო აღნიშნული მიზეზებისა და, აქედან გამომდინარე, საკითხისადმი ჩინოვნიკური დამოკიდებულების გამო. ბატონმა კაკომ არათუ გადამათქმევინა ჩემი შეხედულება, არამედ მაიძულა რამდენიმეჯერ მასთან ერთად ჩავსულიყავი მოსკოვში და მერბინა იმ საკავშირო ორგანიზაციების ლაბირინთებში, რომელთაც ეს საკითხი უნდა გადაეწყვიტათ და რომელიც მე კარგად ვიცოდი საგვემო კომიტეტში მუშაობის გამოცდილებით.

აკაკი დვალისხმევის ამ ძალისხმევისა და სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის შედეგად, მიღებული იქნა ნებართვა, თბილისის თეატრისა და კინოს ინსტიტუტში, შემდეგ უკვე უნივერსიტეტში, სარეჟისორო სპეციალობით სწავლების შემოღების შესახებ, რამაც, მართლაც, დიდად შეუწყო ხელი ეროვნული სულისკვეთების მქონე კინორეჟისორთა მომავალი თაობის აღზრდის საქმეს.

როგორც აღვნიშნე, აქაც მე ვცდებოდი და ბატონი კაკო, როგორც ყოველთვის, მართალი იყო.

* * *

რაც შეეხება კინოგაქირავებისა და კინოქსელის საკითხებს, აქაც საჭირო და აუცილებელი იყო მთელი რიგი ღონისძიებების გატარება, როგორც ორგანიზაციული და საკადრო, ასევე მატე-

რიალური ბაზის გაუმჯობესების საქმეში, რათა დამყარებულიყო სათანადო წესრიგი კინოგაქირავების საქმიანობაზე და გაუმჯობესებულიყო კინოთეატრებში მყურებელთა მომსახურება.

აქ პირველი რიგის ამოცანა იყო კინოთეატრების შენობა-ნაგებობათა სრულყოფილ მდგომარეობაში მოყვანა, რომელთა დიდი ნაწილი მოითხოვდა გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, რისი ცენტრალიზებული წესით შესრულება შეუძლებელი იყო, სათანადო ფულადი და მატერიალური სახსრების უქონლობის გამო. ადგილობრივი საქალაქო და რაიონული ორგანოები ამისთვის ნაკლებად ზრუნავდნენ, ცალკეული გამონაკლისის გარდა.

ფინანსური წყარო, რომელიც სარემონტო სამუშაოებისათვის იყო გათვალისწინებული თითოეულ ობიექტზე, საამორტიზაციო ანარიცხების დარიცხვის წესით, ქალაქის თუ რაიონის მასშტაბით მცირე იყო და საჭირო სამუშაოების ჩატარების საშუალებას არ იძლეოდა, სხვა წყარო კი არ არსებობდა.

ბატონი კაკოს წინადადებითა და მისი ამ საკითხში აქტიური ჩართვით, თხოვნით მივმართეთ რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს, რათა რესპუბლიკის მასშტაბით გაგვეერთიანებინა ცალკეული ქალაქისა და რაიონის კინოთეატრის შენობაზე დარიცხული ეს ყოველწლიური საამორტიზაციო თანხები და ჩვენი შეხედულებით მიგვემართა ერთ ცალკეულ კინოთეატრზე აუცილებლად საჭირო სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად, რაზეც მაშინდელმა ფინანსთა მინისტრმა, ბატონმა ფარნაოზ ანანიაშვილმა, რომელიც დიდი პატივისმცემელი იყო ბატონი კაკოსი, მხარი დაგვიჭირა და ამით მოგვეცა საშუალება, ყოველწლიურად გაგვერემონტებინა ორი-სამი ქალაქის ან რაიონის კინოთეატრი. გარდა ამისა, თავისი მორიდებული და დაჟინებული თხოვნით ხშირად მიმართავდა ცალკეული ქალაქისა და რაიონის ხელმძღვანელობას გამოენახათ ადგილობრივად სათანადო სახსრები, სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად.

სარემონტო სამუშაოებს კი ატარებდა კინემატოგრაფიის კომიტეტთან არსებული რესპუბლიკური ორგანიზაცია „საქკინორემმონტაჟი“.

გატარებული ღონისძიებების შედეგად, მოსახლეობის კინომომსახურების დარგში მიღწეული წარმატებები, ოთხმოციან წლებში, რამდენიმეჯერ იქნა აღნიშნული საკავშირო კინემატოგრაფიის კომიტეტის მიერ.

უნდა გავიხსენო აგრეთვე ქალაქებში ბათუმში, სოხუმში, ქუთაისსა და თელავში ჩატარებული რესპუბლიკური კინოფესტივალები, აგრეთვე ქ. თბილისში 1987 წელს მაღალ დონეზე ჩატარებული საკავშირო კინოფესტივალი, რომლის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი დვალიშვილი იყო.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც შეიძლება არ იყო კინემატოგრაფიის ძირითადი პროდუქციის – კინოფილმის – შექმნის აუცილებელი კომპონენტი, მაგრამ ბატონ კაკოს მიაჩნდა, რომ შენობა, სადაც იმ დროისთვის განთავსებული იყო კინემატოგრაფიის კომიტეტი, შეუფერებელი და მოუხერხებელი იყო კომიტეტის აპარატის ნორმალური მუშაობისათვის და საჭიროებდა სხვა შენობაში გადაყვანას, რაც ბატონი აკაკის მონდომებით განხორციელებულ იქნა და 1975 წლის ბოლოსთვის კომიტეტის აპარატი გადავიდა ძველი კინოსტუდიის გვერდით, ყოფილი მუსიკალური სასწავლებლის უნიკალურ შენობაში. სწორედ აქ გავატარე ჩემი ცხოვრების გარკვეული ნაწილი, ისეთ შესანიშნავ პიროვნებასთან ერთად, როგორც აკაკი დვალიშვილი იყო, რომლისგანაც ბევრი შევიძინე და ვისწავლე.

ჩვენი ერთად მუშაობა იყო უანგარო, საქმიან ურთიერთობაზე აგებული, სულიერი გრძნობებით გაჟღენთილი, თანამოაზრეთა მეგობრობის იშვიათი მაგალითი, რომელსაც ალამაზებდა მისი შესანიშნავი თეატრალური ოჯახი, ყველასათვის საყვარელი ქ-ნი მარინე თბილელი და ქალიშვილი, შესანიშნავი მსახიობი ბაია დვალიშვილი.

ღმერთმა ქნას, კიდევ ბევრი ჰყოლოდეს ქართველ ერის მომავალს აკაკი დვალიშვილისნაირი ადამიანები, დიდი ინტელექტუალური, ზნეობრივი პრინციპებით აღჭურვილი მამულიშვილები.

მიშა ქუთათელაძე

ღირსეული ადამიანი

აკაკი დვალისძე ჩემი პირველი პედაგოგი იყო სამსახიობო ოსტატობაში და ინსტიტუტში პირველი ლექციაც მან ჩავიკითხე. მაშინ იგი კულტურის მინისტრის მოადგილე იყო. სულ მესმოდა, რომ ძალიან ნიჭიერი ადამიანი იყო. არასოდეს დამავიწყდება ის პირველი ლექცია. მაშინ მე ჩვიდმეტი წლისა ვიყავი და ჩვენი მეგობრობა გაგრძელდა შემდეგაც. როცა ნახავდა ჩემს სპექტაკლს, ამოვიდოდა თეატრში, ვსაუბრობდით, ფრთხილად მეტყოდა შენიშვნებს, ხან დამირეკავდა, წერილს გამომიგზავნიდა. რალაცნაირად, პედაგოგიც იყო ჩემთვის და მეგობარიც. ძალიან მწყდება გული იმაზე, რომ ბოლოს, როცა ავად გახდა, დაიბარა, რობიკო მოვიდეს, მინდა ველაპარაკო. მეგონა, კიდევ დიდხანს იცოცხლებდა და, სამწუხაროდ, ჩემი მოუცლელობის გამო, ვერ მოვახერხე მასთან შეხვედრა.

როცა ცეკვაში დაიბარეს და მინისტრის მოადგილეობა შესთავაზეს, ის თავიდან არ იყო თანახმა, მაგრამ მიხეილ თუმანიშვილმა და მისმა „შვიდეკაცამ“, რომელთაც უნდოდათ რუსთაველის თეატრის რეფორმა, გადააწყვეტინეს წასულიყო, რომ სამინისტროდან დახმარებოდა მათ თავიანთი ესთეტიკის დამკვიდრებაში... და ბ-ნმა კაკომ გაიღო ეს მსხვერპლი. მართლაც, ძალიან დიდი ხელშეწყობა ჰქონდა „შვიდეკაცას“ მისგან, მაგრამ ა. დვალისძე სულ მუდამ ჩრდილში იდგა, ასეთი იყო მისი ცხოვრების სტილი. მახსოვს, მ. თუმანიშვილი და ა. ჩხარტიშვილი სულ ეუბნებოდნენ: კაკო, დადგი თეატრში რამე სპექტაკლი. მერე, როცა მე გავხდი თეატრის ხელმძღვანელი, ვთხოვე: ბ-ნო კაკო, დადგი რამე ჩვენს თეატრში-მეთქი.

– რობიკო, ძალიან მეშინია, მგონი დამავიწყდა ჩემი ხელობაო – მიპასუხა ძალიან სევდიანად. მაშინ წარმოვიდგინე ტრაგედია რეჟისორისა, რომელმაც ძალიან კარგად დაიწყო თავისი კარიერა და მერე წავიდა თეატრიდან იმიტომ კი არა, რომ თავისი ადგილი ვერ იპოვა ან უნიჭო იყო, არამედ იმისთვის, რომ დახმარებოდა თავის მეგობრებს, რომ მათ შეექმნათ რალაც ახალი მიმდინარეობა რუსთაველის თეატრში.

აკაკი დვალისძე იყო ძალიან ნიჭიერი ადამიანი, მოხუცებულიც კი ახალგაზრდული იყო, ხალასით, იუმორით სავსე, მობილური ტვინის პატრონი, ყოველთვის იცოდა რა ხდება სამყაროში, უაღესად საინტერესო ადამიანად დარჩა. ბ-ნი კაკო ყველას უყვარდა, იქნებოდა სათეატრო თუ სამთავრობო წრეები. ყველგან, თეატრში და ჩინოვნიკის თანამდებობაზე, მან შეინარჩუნა რაინდული თვისებები.

არიან სახელები და ადამიანები, რომლებიც სამუდამოდ რჩებიან შენს მეხსიერებაში. თეატრში ცხოვრება წარმოვიდგინოთ უდაბნოდ, სადაც დგას რამდენიმე ლამაზი ხე, რომლებსაც ვეთაყვანები. ასეთები იყვნენ ჩემთვის დ. ალექსიძე, მ. თუმანიშვილი და ა. დვალისძე. ჩვენ, სამწუხაროდ, საფლავებზე აღარ დავდივართ და იმ ღირსეულ სახელებს თუ ვიხსენებთ, ვიხსენებთ არც თუ ისე ხშირად, მაგრამ ცხოვრებაში რაღაც განსაცდელის დროს აუცილებლად მოგაგონდება ვიღაც და ჩემთვის მათ შორის არის ბ-ნი კაკო. მიხარია, რომ მისნაირ ღირსეულ ადამიანებს არ ივინყებენ და ეს წიგნი დარჩება აკაკი დვალისძის ძეგლად!

რობერტ სტურუა

